საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გვილოცავენ

### მის მაღალაღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

ღრმად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

უკრაინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

თქვენმა ქვეყანამ რთულ პირობებში შეძლო არა მარტო განემტკიცებინა თავისი დამოუკიდებლობა, არამედ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინისა და საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის დროით ნაცადი მრავალწლიანი გამოცდილება მომავალშიც შეივსება ახალი შინაარსით და ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების წინაშე მდგარი, რთული ამოცანების გადაწყვეტას.

ნება მიბოძეთ, ღრმად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, გისურვოთ ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები, ხოლო მეგობარ ქართველ ხალხს – ბედნიერება, მშვიდობა და კეთილდღეობა.

ღრმა პატივისცემით,

**ლეონიდ კუჩმა,**
უკრაინის პრეზიდენტი.

### მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, მაქვს პატივი, იტალიელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით ვუსურვო ქართველ ხალხს დიდი წარმატება, ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება. გიდასტურებთ იტალიის ვალდებულებას – მხარი დაუჭიროს დემოკრატიული სტრუქტურების კონსოლიდირებასა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების ახალ შესაძლებლობათა იმედით, მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა და პირადი კეთილდღეობა.

**კარლო აძელიო ჩამპი,**
იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## დეპუტატობის კანდიდატი

# ჯამლეთ ბაბილაშვილის „სამი ხ[illegible]

### ბიულეტენში ერთადერთი გვარია

სულ რაღაც 15 წლის წინათ არც ერთი რანგისა და ხარისხის არჩევნები მოსახლეობაში არანაირ ემოციას და ინტერესს არ იწვევდა. მიიღებდი-არ მიიღებდი მონაწილეობას, მნიშვნელობა არ ჰქონდა – კანდიდატს მაინც 99 პროცენტით ირჩევდნენ. თანაც კანდიდატიც ერთი იყო!

გამოხდა ხანი და არჩევნებმა (ნებისმიერი რანგისა და ხარისხისამ) ხალხისთვის „სასიცოცხლო“ მნიშვნელობა შეიძინა. ჩვენს მოქალაქეებს დღეს პურს ნუ აჭმევ, ოღონდ საარჩევნო სიამოვნება არ მოაკლო.

რაც უფრო პრესტიჟულია ადგილი, მით უფრო მეტია მსურველი.

რაც უფრო მეტია მსურველი, მით უფრო მეტია საარჩევნო ვნებათაღელვა.

2 ივნისს ადგილობრივი არჩევნებია. პარალელურად ქვეყნის ოთხ რაიონში სამგორში (თბილისი), მცხეთაში, გურჯაანში, საგარეჯოში საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს აირჩევენ.

მცხეთაში 2 კანდიდატი იყრის კენჭს;

გურჯაანში – 4.

სამგორში – 5.

და მოულოდნელად: საგარეჯოში – მხოლოდ 1.

ყველას, ვისაც კი თვალი გაუდევნებია ბოლო ათწლეულის სისხლისმღვრელი საარჩევნო ბატალიებისთვის, დაბეჯითებით იტყვის, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა (და შეიძლება კიდევ დიდხანს აღარ მოხდეს) საქართველოს უახლეს ისტორიაში – ქვეყნის პარლამენტის დეპუტატის არჩევნები ერთი კანდიდატით!

შევადაროთ: ქ. საგარეჯოს გამგებლის ადგილზე 7 კანდიდატი იყრის კენჭს, ხოლო ქალაქის საკრებულოს 7 ადგილზე... 62 კაცი აცხადებს პრეტენზიას.

1 ადგილზე – 9 კაცი!

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“
[signature]

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №130-131 (4190) პარასკევი, 31 მაისი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

## „ლიფსიტები“ დიდ კორუფციაში

# 17 ავტობუსი განუბაჟებელი საქონლით

### ორი უწყება ერთობლივად შეუდგა კონტრაბანდასთან ბრძოლას

საქართველოში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების, დაუცველი სახელმწიფო საზღვრის გამო ქვეყნის ტერიტორიაზე, კერძოდ, თბილისის მიმართულებით საბაჟო და საგადასახადო წესების დარღვევით შემოდინებული აღურიცხავი საქონლის გადაადგილებისა და რეალიზაციის გამოვლენა-აღკვეთის, აგრეთვე, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების თანამშრომელთა მონაწილეობით განხორციელებულიყო ერთობლივი ოპერატიულ-პროფილაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები.

იხ. მე-2 გვ.

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საბაჟო „წითელი ხიდის“ თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოსული „იკარუსის“ მარკის 17 ავტობუსი, რომლებიც დატვირთული იყო სამრეწველო საქონლით და არ გააჩნდათ მისი წარმომავლობის საბუთები. განბაჟების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 28.400 ლარი.

## სკოლასთან დამშვიდობება

# გუშინ ბოლო ზარი დაირეკა, გუშლამ სკოლადამთავრებულები არ ამინებდნენ თბილისს...

გუშინ საქართველოს სკოლებში 40.000 მეთერთმეტე კლასელისთვის ბოლო ზარი დაირეკა... დაირეკა თბილისის 122-ე სკოლაშიც, სადაც საზეიმო განწყობილება სუფევდა: მშვიდობით და გმადლობთ, სკოლავ!... სიბეჯითით გამორჩეულთა შორის 16 წლის ნინო ქინქლაძეც არის.

ასე იყო თბილისის 51-ე სკოლაშიც, სადაც ნატო ჯლამაძის, სალომე ქოქიაშვილის, მარი დარჩიაშვილის, სოფო რონიაშვილის, მაია გვარამაძის, ლაშა მაჭავარიანისა და სხვებისთვისაც დაირეკა ბოლო ზარი...

სკოლის დირექტორებმა იზა ჯიქიამ (122-ე სკოლა) და ინეზა იამანიძემ (51-ე სკოლა) ახალგაზრდებს გზის დალოცვასთან ერთად მოვალეობაც შეახსენეს, რომელიც ქვეყნისა და ერის წინაშე ეკისრებათ.

ვულოცავთ ყველას, ვისთვისაც გუშინ სკოლის ბოლო ზარი დაირეკა!

გუშლამ სკოლადამთავრებულები ქუჩებში დასეირნობდნენ... მშვიდობით, სკოლავ!

**ნათელა ფაილოძე.**
ჯავარ ლომაძის ფოტო.


თბილისი, 2002 წლის 30 მაისი.

## კონფლიქტის ზონა

# სამშვიდობო ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი 30 ივნისამდე უნდა მომზადდეს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი 30 ივნისამდე უნდა მომზადდეს. ეს განაცხადა 30 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა. როგორც მან თქვა, პროექტი განსახილველად წარედგინება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებს კიშინიოვის სამიტზე ოქტომბერში.

ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ დოკუმენტის დასკვნებისა და წინადადებათა მოსამზადებლად, აგრეთვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელთა ძალების მანდატის კორექტირებისათვის კონფლიქტის ზონაში, რასაც მოითხოვს ქართული მხარე, ნათქვამია იტარ-ტასის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

# თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობის მეთაურებმა ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები განიხილეს

**გრძელდება საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში, სადაც იგი თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობის მეთაურთა საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობს.** ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი შეხვდა უზბეკეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრებს – უტკირ სულთანოვს, იმანგალი ტასმაგამბეტოვს, ანატოლი კინახსა და ანდრანიკ მარგარიანს.



შეხვედრებისას განიხილეს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის, ორმხრივი და რეგიონალური თანამშრომლობის გაფართოების საკითხები.

იხ. მე-2 გვ.

## გიხაროდეს!

# მადლობის მეტი რა გვეთქმის

29 მაისს, გვიან ღამით, ჩემი ახლობელი მაია მამისაშვილი და მისი ჩვილი ექიმებმა გადაგვირჩინეს; ღამის 3 საათზე ფეხზე დადგა დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლის (მთავარი ექიმი დალი გაბიძაშვილი) მთელი სამედიცინო პერსონალი, საკეისრო კვეთით ექიმ-გინეკოლოგმა ზაზა ავალიანმა, მისმა ასისტენტმა ახმათ ქოიავამ, მთავარმა მეღდმ ტატა ხუჭუამ და ანესთეზიოლოგმა თემურ სულამანიძემ დედა-შვილი გადაარჩინეს; პატარა მარიამი 4 კილოსა და 100 გრამს იწონის. მადლობა პედიატრ მარინა წივწივაძესაც, რომელიც ჩვილს მზრუნველობას არ აკლებს...

მაია და მისი გოგონა თავს ახლა კარგად გრძნობენ და დღეს



სამშობიარო სახლიდან გაეწერებიან, მადლობის მეტი აბა რა მეთქმის. მადლობა „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც ყოველდღე თავისი პირველი გვერდიდან ახალი სიცოცხლის დაბადების მაუწყებელია... ქართველ ერს გოგონებისა და ბიჭების ჯანსაღი თაობა რომ ემატება, ჩვენც მომავლის იმედი გვეძლევა...

**ნარგიზა ლომთაძე,**
ჟურნალისტი, თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– ხელჩანთასთან ერთად დავკარგე „ალდაგის“ პოლისი. მეუბნებიან, რომ პოლისის აღდგენის უფლება არ გაქვსო. ვის შეიძლება მივმართო პოლისის აღდგენის თაობაზე?**

**გოგუცა ბუჩუხიშვილი.**

– როგორც სადაზღვევო კომპანია „ალდაგიდან“ გვაცნობეს, კომპანია 3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო მკურნალობას აღარ აფინანსებს, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელება ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის კომპეტენციაში გადავიდა, ამიტომ დახმარებისათვის გირჩევთ მათ მიმართოთ, მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის 29ა.

აქვე გაცნობებთ, რომ სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ აუქმებს ყველა იმ პოლისს, რომელიც მათ მიერ არის გაცემული და ამდენად, თქვენ, დაკარგული პოლისის აღდგენას ვერ შეძლებთ.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

## არჩევნების წინ

# ენერგეტიკა ააღორძინებს მრეწველობას – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს,

### ანუ საქართველოში პრივატიზებისა და უცხოური ინვესტიციების გარეშე ყოფილა შესაძლებელი დანგრეული ენერგოობიექტების აღდგენა. ბიუჯეტში კი – მილიონების გადახდა


თემურ ჩიჩინაძე.

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### „მოქალაქეთა კავშირიც“ გამოჩნდა

„მოქალაქეთა კავშირმა“ წინასაარჩევნო კამპანია გვიან დაიწყო. 30 მაისს თბილისის მერიისა და საკრებულოს შენობაში ამ პარტიის საარჩევნო სიის პრეზენტაცია გაიმართა. 69-კაციანი სიის ხუთეულში ლადო კახაძე, რობინზონ თუშურაშვილი, დავით რევიშვილი, ვლადიმერ გომაძე და გიორგი ასანიძე არიან.

### ფულიანი გაუნათლებლები

პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ 2 ივნისს დანიშნული თვითმმართველობის არჩევნების პროცესში ისეთი „შავბნელი“ ძალებია ჩაბმული, რომ მათმა გამარჯვებამ საქართველოს შეიძლება უფრო უარესი შედეგი მოუტანოს, ვიდრე აფხაზეთის ომმა და თბილისის მიწისძვრამ.

მისი თქმით, მსგავსი აქტიურობა წინასაარჩევნო პერიოდში არასოდეს ყოფილა, გაუნათლებელმა ადამიანებმა დიდძალი ფული იშოვეს და დღეს მათ, პრაქტიკულად, არჩევნების ყიდვა არაფრად უღირთ.

### უხეში ჩარევა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შესაძლოა, საპროტესტო ნოტით გამოვიდეს ბათუმში დისლოცირებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის სარდლის, გენერალ-მაიორ ვიაჩესლავ ბორისოვის განონათქვამების გამო, რომლებიც მოტანილია „საპარლამენტო გაზეთისთვის“ მიცემულ მის ინტერვიუში.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ. იგი თვლის, რომ ივნისის დასაწყისში მოსკოვში დაგეგმილ რუსეთ-საქართველოს სამხედრო მოლაპარაკებებზე გენერალ ბორისოვის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

### მალე უნდა წავიდნენ

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი სერგო ძაგნიძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამის შესახებ მან პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა ბათუმსა და ახალქალაქიდან რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხზე ივნისში დაგეგმილ რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

### შეხვედრა მინისტრთან

30 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა.

როგორც კობა ნარჩემაშვილმა აღნიშნა, პანკისის ხეობას აკონტროლებენ და ყველა ღონეს იხმარენ ამ ხეობაში კრიმინალების თარეშის აღსაკვეთად.

მან განაცხადა, რომ უკვე ცნობილია ქართველი ფეხბურთელის კალაძის ძმის გამტაცებელთა ვინაობა და სასურველ შედეგსაც სულ მალე მიაღწევენ.

რაც შეეხება მოახლოებულ არჩევნებს, მისი თქმით, ყველაფერი კეთდება დესტაბილიზაციის ასაცილებლად.

### „იტერა“ გადავადებაზე თანახმაა

საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერა“ დათანხმდა მის მიმართ საქართველოს მხრიდან დაგროვილი ვალის 7 წელიწადში დაფარვის თაობაზე.

ამასთან, როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა „იტერას“ წარმომადგენელმა საქართველოში თამაზ პატარიძემ, ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხზე ქართულ მხარესა და „იტერას“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ერთ-ერთი თემაა ამ ვალების რაოდენობის შესახებ შეთანხმების მიღწევა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## ტელეეკრანი

# «ჯანმრთელობა» და მოზარდი თაობა

### ტელევიზიის I არხით, დღეს 19.10 საათზე



ხვალ, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღს ეძღვნება მანანა ნოდიას საავტორო პროგრამა „ჯანმრთელობა“, რომელშიც ცნობილ პედიატრებს ყარამან ფაღავას, ნუგზარ უბერს, ნანა გელაძეს, ლალი გუჯაბიძეს და სხვებს შეხვდებით. ისინი გესაუბრებიან პედიატრიის მიღწევებსა და პრობლემებზე.

გადაცემის ავტორები კიდევ ერთხელ დაგარწმუნებენ, რომ ბავშვის სწორად აღზრდა მის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას გულისხმობს. საზოგადოების, სახელმწიფოს უმაღლესი ფასეულობა და ეროვნული სიმდიდრე სწორედ ბავშვთა ჯანმრთელობაა. ჯანმრთელი მომავალი თაობა ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი ძლიერების წყაროა...

**ნახეთ „ჯანმრთელობის“ მორიგი გამოშვება. თქვენ მრავალ სიახლეს შეიტყობთ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებზე, პედიატრების როლზე ჯანსაღი თაობის ჩამოყალიბების საქმეში.**

## უკანასკნელ საათს



აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას ინდოეთსა და პაკისტანში ქაშმირის კრიზისის მოგვარების მიზნით გაგზავნის თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს.

რფ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოლაპარაკებებში ჩართვის სურვილი გამოთქვა.

ავღანეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა ხამიდ კარზაიმ ინდოეთსა და პაკისტანს მოუწოდა, კარგად დაფიქრდნენ, თუ რა კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს ომი.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +20; დღისით +25;
მთაში: ღამით +16; დღისით +20.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით +18; დღისით +29.
მთაში: ღამით +13; დღისით +22.

**თბილისში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით. ღამით +18; დღისით +29.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

*31 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.226 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2105 ლარი |
| ევრო | 1 | 2.0518 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 ლარი. |

## ინტერპანორამა

ისრაელის ტანკები და ფეხოსნები გუშინ კვლავ შევიდნენ დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ხევრონში, დააპატიმრეს ათამდე პალესტინელი და დატოვეს ქალაქი.



ალჟირში პოლიტიკური მკვლელობების თანხლებით იმართება საპარლამენტო არჩევნები. ოპოზიცია ბოიკოტისკენ მოუწოდებს მოსახლეობას. მუსულმანი ექსტრემისტების ორგანიზებული თავდასხმისას 23 ადამიანი დაიღუპა.



მაგთი MAGTI GSM

შპს „მაგთიკომი“
MAGTICOM Ltd

მაგთი GSM-ის სიურპრიზი ფეხბურთის მოყვარულებს

ფეხბურთში მსოფლიოს XVII ჩემპიონატთან დაკავშირებით მაგთი GSM საშუალებას გაძლევთ მატჩების დღეებში, ნებისმიერ დროს, თქვენი მობილური ტელეფონიდან დარეკოთ ნომერზე 2002 და რამდენიმე წამში მიიღოთ ტექსტური შეტყობინება:
– მიმდინარე თამაშების ანგარიშები;
– დღის დასრულებული თამაშების შედეგები.

თითო ზარის ღირებულებაა 24 თეთრი.
აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია საკრედიტო, საავანსო და მონო + სისტემის აბონენტებისათვის.
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25-00-00, 25-11-11, მობილურიდან – 525. ინტერნეტგვერდის მისამართი: www.magtigsm.com

დაზუსტება: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 30 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ „მაგთიკომის“ ანალოგიურ განცხადებაში „მონოს“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „მონო +“.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

## გვილოცავენ

## მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მსურს ბედნიერება და კეთილდღეობა გისურვოთ როგორც პირადად თქვენ, ასევე ყველა თქვენს თანამემამულეს.

**ალბერი,**
ბელგიის მეფე.

## მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს შესაძლებლობა იორდანიის ჰაშემიტთა სამეფოს მთავრობისა და ხალხის სახელით გულმხურვალედ მოგილოცოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, შემდგომი წინსვლა და აყვავება ვუსურვო თქვენს ქვეყანას და ჯანმრთელობა და ბედნიერება პირადად თქვენ.

**აბდულა II,**
იორდანიის მეფე.

## მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს ეროვნულ დღესთან დაკავშირებით მაქვს პატივი კვიპროსის მთავრობისა და ხალხის, პირადად ჩემი სახელით გადმოგცეთ მხურვალე მოლოცვა. გულწრფელად ვუსურვებ თქვენს აღმატებულებას ჯანმრთელობას და ბედნიერებას, საქართველოს მეგობარ ხალხს – მუდმივ წინსვლას და აყვავებას.

მწამს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ახლო მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მომავალ წლებშიც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

**გლავკოს კლირიდისი,**
კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

შრი ლანკას დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით მაქვს დიდი სიამოვნება გადმოგცეთ ჩვენი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

საქართველოს და შრი ლანკას შორის არსებული ურთიერთობა მეგობრულია და ორმხრივი კეთილი ნების გამოხატულებაა. ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდეს და განმტკიცდეს.

თქვენო აღმატებულებავ, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და პირადი კეთილდღეობა, შემდგომი პროგრესი და აყვავება – საქართველოს.

**ჩანდრიკა ბანდარანაიკე კუმარატუნგა,**
შრი ლანკას დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს ეროვნული დღის ბედნიერ შემთხვევასთან დაკავშირებით მაქვს პატივი გადმოგცეთ მხურვალე მოკითხვა და მოლოცვა. მწამს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ახლო მეგობრული ურთიერთკავშირები მომავალ წლებში უფრო მეტად განმტკიცდება.

გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ქართველ ხალხს კი – მშვიდობას, წინსვლასა და აყვავებას.

**პროფ. ა. ძ. მ. ბადრუდოზა ჩოუდჰარი,**
ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## დეპუტატობის კანდიდატი

# ჯამლეთ ბაბილაშვილის „სამი ხარი“

### ბიულეტენში ერთადერთი გვარია



(პირველი გვერდიდან)

ამ ჯარში, ცოტა არ იყოს, გართულდა გარკვევა, თუ ვინ ვინ არის. საგარეჯოში ბარე 5 გიორგი ქვლივიძე ცხოვრობს და როცა ერთ-ერთი მათგანი ამ 62-კაციან ბიულეტენში შეიყვანეს, ხალხი რომ დაეკვალიანებინათ ამ ხუთიდან რომელზე იყო ლაპარაკი, ადგნენ და კანდიდატის სახელის ნაცვლად თიკუნი „ქისტა“ მიაწერეს (მოგეხსენებათ, მამის სახელი, რუსული გავლენააო და, დოკუმენტებში აღარ შეაქვთ).

ჰოდა, რის მანიშნებელია ერთკაციანი არჩევნები?

იმისა, რომ ყველამ, რიგითმა ამომრჩევლებმა თუ დეპუტატის სავარძლის დაკავების მსურველებმა, უკვე წინდაწინვე გადაწყვიტეს, თუ ვინ არის ყველაზე ღირსეული ამ პოსტზე, იმდენად უცილოდ ღირსეული, რომ მეტოქეობაც არ ღირს.

მართლაც. შვიდმა მსურველმა შეიკავა თავი, როცა შეიტყო, რომ ის აპირებდა თავისი კანდიდატურის წამოყენებას, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმაც კი, რადგან მშვენივრად უწყის: სწორედ ის შეიძლება იყოს რაიონის წარგზავნილი ქვეყნის პარლამენტში, მხოლოდ მას ძალუძს ყველაზე უკეთ თავისი ავტორიტეტით, გავლენით, ცოდნა-გამოცდილებით რაიონსა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შორის შუამავლობა.

და ეს ერთკაციანი არჩევნები ყველასათვის ბუნებრივ მოვლენად არის აღქმული, რადგან ეს ერთადერთი კაცი ჯამლეთ ბაბილაშვილი გახლავთ.

### გზა განვლილი

დაიბადა 1942 წელს ქ. საგარეჯოში, ცნობილი იურისტის გიორგი ბაბილაშვილის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წელი მუშად იმუშავა მშენებლობაზე და ქარხანაში, სამი წელი ჯარში იმსახურა. ჩამოვიდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაც წარჩინებით დაამთავრა. მალე გამოჩენილი მეცნიერი-კრიმინალისტის, აკადემიკოს თინათინ წერეთლის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1977 წელს საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობის მოთხოვნით და რეკომენდაციით, რაიონის პროკურორად ინიშნება. მან სწორედ საგარეჯოში აიდგა ფეხი როგორც პრაქტიკოსმა იურისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ. შემდეგ იყო მძიმე და ხანგრძლივი საქმიანობა იუსტიციის ფრონტის სხვადასხვა პასუხსაგებ უბანზე.

იგი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით დანიშნული ქვეყნის პირველი გენერალური პროკურორია. ამ მაღალ პოსტზე 7 წელიწადი (1993-2001) იმუშავა. ეს წლები საქართველოს უახლეს ისტორიაში შევიდა, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლისა და ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის უმძიმესი ხანა: სამოქალაქო ომი, ნგრევა, ომი აფხაზეთში, შეიარაღებული ხალხის თარეში, გაუთავებელი ძარცვა-გლეჯა, შინაგამცემლობა, მუხანათობა და ყოველ ნაბიჯზე ღალატი უშუალოდ აისახებოდა საქართველოს გენერალური პროკურორის ყოველდღიურ საქმიანობაზე და მისგან მოითხოვდა ადეკვატურ ქმედებას – მძიმე და საბედისწერო სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებას, რასაც ის არასოდეს გაქცევია.

დიდია მისი წვლილი ქვეყანაში ტერორიზმის, ბანდიტიზმისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების აღკვეთა-ალაგმვის საქმეში, წესრიგის, სამოქალაქო მშვიდობისა და ელემენტარული კანონიერების აღდგენაში, კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყებაში. ამიტომაც გამოუცხადა საქართველოს პარლამენტმა უმაღლესი ნდობა და ორჯერ ზედიზედ დანიშნა ქვეყნის გენერალურ პროკურორად.

ამჟამად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა – ლექციებს კითხულობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე გამოქვეყნდება მისი სქელტანიანი წიგნი „სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა“, რომელიც დღევანდელობის ერთ-ერთ აქტუალურ და ურთულეს საკითხს ეხება და სამომავლოდ სადოქტორო დისერტაციადაა მოაზრებული.

იმავდროულად შესანიშნავი მეურნე და მეოჯახეა. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, შვილიშვილები, მას ხშირად ნახავთ საგარეჯოში, მამა-პაპეული სახლის ეზოში – გულისაშვილის №12-ში, კახური ქუდით მოფუსფუსეს სასხლავითა თუ ბარით ხელში – კახელი კაცი ვაზის გარემოცვაში შრომით ისვენებს.

### ხაშმელები ტაშს უკრავენ და... ხმაურობენ

ხაშმი საგარეჯოს რაიონის ძირძველი, ღონიერი სოფელია, განთქმული თავისი პურ-ღვინითა და, რაც მთავარია, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანებით. მარტო იმის თქმაც იკმარებდა, რომ ამ სოფლის შვილები იყვნენ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი და მწერალი რეზო ინანიშვილი.

მაგრამ ბოლო ხანს ამ ქედძლიერ სოფელს სიძაბუნე მოეძალა, დამჭლევდა და გაუფერულდა. ისე რომ, ხაშმელებს ბევრი სამდურავი დაუგროვდათ გულში.

იმ დღეს სოფლის კულტურის სახლის საკმაოდ ვრცელი დარბაზი პირამდე იყო გაჭედილი. უადგილოდ დარჩენილთ მთელი გასასვლელიც შეევსოთ. ისინი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატს ჯამლეთ ბაბილაშვილსა და სოფლის საკრებულოს წევრობის კანდიდატებს ხვდებოდნენ.

ისე მოხდა, როგორც ველოდით და როგორც მანამდე წარიმართა შეხვედრები პატარძეულში, მანავში თუ თოხლიაურში...

როცა რაიონის გამგებლის მოადგილემ ნუგზარ იმედაშვილმა შეკრებილთ სტუმარი წარუდგინა, საერთაშორისო მასშტაბის სპორტულმა მოღვაწემ მოთა ზუკაკიშვილმა, პედაგოგმა ნოშრევან ქოქრაშვილმა და სხვებმა ამომრჩეველთა სახელით განაცხადეს, რომ სოფელი ერთსულოვნად უჭერს მხარს ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილის კანდიდატურას. საქებარი სიტყვები არ დაიშურეს, ვიცნობთ, ვენდობით, გვეიმედებაო. იყო ტაში, ღიმილი, კმაყოფილი გადაძახილი...

მაგრამ შემდეგ, როცა სოფლის საკრებულოს შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, დარბაზი დაიძაბა, ახმაურდა და ამოძრავდა. ამ ათი წლის მანძილზე სოფელი გაოხრდაო, სკოლა თავზე გვენგრევა, არა გვაქვს სასმელი წყალი, სოფელი ჩაბნელებულიაო, საშინელი ქურდობაა, ხალხს გომურებში სძინავს, რომ ავაზაკებმა პირუტყვი არ გალალონ. ერთი მოსაცდელიც კი არ არის, ტრანსპორტის მოლოდინში წვიმამ, რომ არ გაგლუმპოსო, უნიათობა უსაყვედურეს სოფლის ამჟამინდელ გამგებელს.

ერთი სიტყვით, პარლამენტისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატთა (ისინი 14-ნი არიან, მათგან 5 კაცია ასარჩევი) წინაშე წიგნივით გადაიშალა ხაშმის სატკივარი.

არადა, როცა მონდომებაა, ბევრი რამის უმტკივნეულოდ გადაჭრა შეიძლება. მოვლენებს გავუსწრებთ და ერთ მაგალითს მოვიყვანთ: იმდღევანდელ შეხვედრას ესწრებოდა თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის განყოფილების უფროსი, ქირურგი დავით მამუჩიშვილი. მან ითავა თბილისში მომუშავე მასავით წარმოშობით ხაშმელ ექიმებთან (სულ ცოტა 10-12 კაცი მაინც იქნება) მოლაპარაკება, რათა პერიოდულად (ვთქვათ, თვეში ერთხელ) ჩავიდნენ სოფელში და იქაურთა უფასო სამედიცინო გამოკვლევა მოაწყონ ხოლმე.

ბატონი ჯამლეთ ბაბილაშვილი კარგად იცნობს რაიონის, მათ შორის ხაშმის, პრობლემებს. მის საარჩევნო პროგრამაში საფუძვლიანად არის წარმოდგენილი ადგილობრივი ამოცანების გადაჭრის გზები. ამის თაობაზე იგი ვრცლად ესაუბრა კულტურის სახლში შეკრებილ ამომრჩევლებს.

ისტორიას ჩაბარდა საგარეჯოში მსხვილი კომპლექსებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის, დიდი და ამბიციური პროექტების განხორციელების ხანა. დღეს, პირიქით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პატარა საწარმოებზე. ამის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მხარს დავუჭერ ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სპეციალური მუხლის შემოღებას. ამ მუხლის მიხედვით ყოველწლიურად განისაზღვრება ის აუცილებელი თანხები, რომლებიც ასეთი საწარმოების განვითარებას უნდა მოხმარდეს; ამასთან, ვიზრუნებ საშეღავათო საგადასახადო გარემოს შესაქმნელად, ეროვნული მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონლის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის გასატარებლად; ვიბრძოლებ, რათა კახელი გლეხის მიერ ნალოლიავები ვენახიდან მოწეულმა ყურძენმა და ღვინომ ჩვენი ბაზრებიდან განდევნოს ფალსიფიცირებული და საეჭვო წარმოშობის უცხოური ალკოჰოლური სასმელები, – თქვა ბატონმა ჯამლეთმა.

იგი ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად აყენებს ქვეყანაში კერძო სექტორის საბოლოოდ ჩამოყალიბებას. მიწის რეფორმის შედეგად საგარეჯოელთა საკუთრებაში გადავიდა 13280 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გრძელვადიანი იჯარით კი გაცემულია 71576 ჰექტარი სავარგული.

თავისთავად ის ფაქტი, რომ საგარეჯოს ასეთი მდიდარი სავარგულის რესურსი აქვს, სერიოზული კაპიტალდაბანდების შესაძლებლობაზე მეტყველებს და მას გონივრულად უნდა გამოყენება. ამასთან, საჭირო და აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს ფერმერული მეურნეობის წარმოება. შესაბამისად, უნდა დაიხვეწოს საკრედიტო სისტემა (ფერმერს უნდა შეეძლოს გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხის აღება), სადაზღვევო მექანიზმები (სტიქიური მოვლენებისაგან მოსავლის დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში) და, საერთოდ, უნდა შეიქმნას ჯანსაღი საინვესტიციო გარემო. მით უმეტეს, დღეს, როდესაც კახეთში ასეთი ბუმია საფერავის ჯიშის ვენახების გასაშენებლად...

ასეთია დეპუტატობის კანდიდატის ხედვა რაიონის პრობლემათა გადაჭრისა. რაც შეეხება ხაშმელთათვის უპირველესს – ქურდობას, უწყლობასა და უშუქობას, ამაზე განაცხადა, გარკვეული მოსაზრებები მაქვს და მათ გადასაჭრელად მთელს ჩემს ნაცნობობასა და გავლენას გამოვიყენებ, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, საერთოდ მთელს საზოგადოებაში.

### მთავარი საყრდენები

საერთოდ კი ბატონ ჯამლეთის წინასაარჩევნო პროგრამა „სამ ხარს“ ეყრდნობა:

1. **ძლიერი სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტი** (ქვეყნის ერთიანობა, რაც სრულებითაც არ გამორიცხავს მის ასიმეტრიულ ფედერაციულ მოწყობას; ფედერალური ცენტრიდან უფლებების მაქსიმალურად გადაცემა ადგილობრივი ორგანოებისადმი, მათი ფუნქციებისა და ავტორიტეტის გაზრდა; სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და წესრიგის დამყარება; ბრძოლა კორუფციასთან, არა მარტო როგორც შედეგთან, არამედ გამომწვევ მიზეზებთან, კორუფციულ გარემოსთან, სრული სამართლებრივი რეფორმის განხორციელება, პროკურატურისთვის კონსტიტუციური პრეროგატივის აღდგენა – სისხლისსამართლებრივი დევნის მხოლოდ პროკურატურის ორგანოებისათვის დაკისრება; მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღება და ა. შ.).

2. **ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური და საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის კონკრეტული მიმართულებები და ძირითადი პრიორიტეტები უახლოესი პერიოდისათვის** (ეკონომიკური რეფორმის შემდგომი გაღრმავება; მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება; საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, ანტიმონოპოლიური საქმიანობის გააქტიურება; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ფულად-საკრედიტო სფეროს გაუმჯობესება; საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება; ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება).

3. **სოციალური სფეროს პრობლემათა გადაწყვეტის პერსპექტივები** (სახელმწიფო საპენსიო სისტემის გვერდით კერძო საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება; სპეციალური კანონის მიღება გაუფასურებული ფულადი ანაბრების განაღდებასთან დაკავშირებით და ვალის დაფარვა ნაწილ-ნაწილ; ბრძოლა მოსახლეობის შრომითი დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად; განათლების სფეროს დაწესებულებებისათვის შესაბამისი ბიუჯეტებით განსაზღვრულ ასიგნებათა გამოყოფა, მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის, პირველ რიგში – შრომის ანაზღაურების, მოგვარება და ა. შ.).

**შემდეგ, ხაშმიდან თბილისამდე მგზავრობისას, როცა უკვე „მორიდან“ ვიხსენებდით იმდღევანდელი შეხვედრის მომენტებს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა ღრმად იცნობს რაიონის პრობლემებს ბატონი ჯამლეთი და რამდენად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს საგარეჯოს რაიონის მოსახლეობა, თუ მას მისცემს ნდობის მანდატს, ამით იგი მხარს დაუჭერს ბრძოლას ქვეყანაში უზნეობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ბრძოლას თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების ღირსეული მომავლისათვის.**

**ალეკო ასლანიშვილი,**
**ბონდო გულიაშვილი.**

## „პეელეტ პაკარდი“ საქმიანობას აფართოებს

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე მოქმედი ცნობილი კომპანიის „ჰეულეტ პაკარდის“ განახლებული სტრუქტურის შესახებ ჟურნალისტებს აცნობს 30 მაისს სასტუმრო „შერატონ-მეტეხი-პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე. „ჰეულეტ პაკარდი“ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა პროდუქტების მიწოდების, ტექნოლოგიებისა და მომსახურების სფეროში, როგორც ინდივიდუალური, ისე კორპორაციული მომხმარებლისათვის.

## საექსპორტო მიწოდება გაიზრდება

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტები გამოთქვამენ პროგნოზს, რომ 2002 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში გაიზრდება ექსპორტი. მათი მონაცემებით, პირველ კვარტალთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაორკეცდება და 530-560 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. საცალო ვაჭრობა 460 მილიონიდან 1050 მილიონ დოლარამდე მოიმატებს, ხოლო საქონლის ექსპორტი 150 მილიონ დოლარს გადააჭარბებს მაშინ, როცა პირველ კვარტალში 65 მილიონს შეადგენდა.

## ძლივს წერეთლის მოსაზრება

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში შედის.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში ირაკლი წერეთელმა საქართველოსა და ამერიკის სამხედრო თანამშრომლობას „დიდი მოვლენა“ უწოდა და რწმენა გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში ერთობლივი ძალებით შესაძლებელი გახდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.

იგი დარწმუნებულია, რომ აშშ სამხედრო დახმარების პროგრამის დასრულების შემდგომ, ამერიკელების მიერ მომზადებული საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში დაამყარებენ წესრიგს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაშვებულია კორექტურული შეცდომა: მერვე გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოს – „ძეგლი“ – წარწერა უნდა იკითხებოდეს ასე: გელათი. XII საუკუნე.

## სახელმწიფო მინისტრი

# თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობის მეთაურებმა ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები განიხილეს

(პირველი გვერდიდან)

– საქართველოსა და უკრაინას შორის ერთიანი სავაჭრო ზონა შეიქმნება, – მოსკოვის შეხვედრის ფარგლებში ამაზე შეთანხმდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და უკრაინის პრემიერ-მინისტრი ანატოლი კინახი.

მხარეებმა განიხილეს ივლისში თბილისში დაგეგმილი საქართველო-უკრაინის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

უზბეკეთის მთავრობის თავმჯდომარემ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ყურადღება გაამახვილეს სატრანსპორტო დერეფნის – „ტრასეკას“ განვითარების პერსპექტივაზე. უტკირ სულთანოვის თქმით, სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას უზბეკეთისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს, რადგან უზბეკეთს სწორედ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების გამოყენება აძლევს შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობას. უზბეკეთის პრემიერ-მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძეს გააცნო ინიციატივა, კერძოდ, კი, ივნისის დამლევისათვის მან თავის ქვეყანაში მიიწვია საქართველოს ექსპერტთა დელეგაცია, სადაც ორი ქვეყნის წარმომადგენლები „ტრასეკას“ ფარგლებში განიხილავენ საქართველო-უზბეკეთის თანამშრომლობის პერსპექტივასა და დასახავენ სამოქმედო გეგმას.

ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრისას ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა იმანგალი ტასმაგამბეტოვმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტში ყაზახეთის აქტიური მონაწილეობისადმი. აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის პოტენციალი სრულად უნდა იყოს ათვისებული, რაც მომავალში საქართველოსა და ყაზახეთს შორის საქონელბრუნვის გაზრდაზე აისახება.

თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობის მეთაურებთან გამართული ორმხრივი შეხვედრებისას სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ იმსჯელა რეგიონში უშიშროების ერთობლივი მექანიზმების შემუშავებასა და რეგიონული კონფლიქტების მოგვარების შესახებ, კერძოდ, აქტიურად განიხილეს აფხაზეთის პრობლემა.

**საქინფორმი.**

## რეაქცია

# საქართველოს განათლების სამინისტროს პრესცენტრის განცხადება

28 მაისს „რუსთავი-2“-ის ეთერით „ღამის კურიერში“ ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა ბატონმა გივი თარგამაძემ განაცხადა: **„მე, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი ვაცხადებ, რომ უახლოეს დღეებში წარმოვადგენ მასალებს, კონკრეტულს, ალეკო კარტოზიას კორუმპირებულობის შესახებ, წარმოვადგენ ამას საზოგადოების წინაშე და ასევე ანტიკორუფციულ საბჭოშიც, და, საბოლოო ჯამში, პირობას ვიძლევი, რომ ბატონ ალეკო კარტოზიას მოვახდევინებ ბოდიშს მის მიერ მოტყუებული საზოგადოების წინაშე“.** (სტილი დაცულია).

ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს სურს, გამოხატოს თავისი პოზიცია.

რამდენადაც ანტიკორუფციული საბჭოს სახელით განცხადების გაკეთების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საბჭოს მდივანს, უნდა დავასკვნათ, რომ ბატონი გ. თარგამაძის განცხადება ანტიკორუფციული საბჭოს გადაწყვეტილებას ან დამოკიდებულებას კი არ ასახავს, არამედ ბატონი გ. თარგამაძის პირად აზრს გამოხატავს.

თუკი ბატონი გივი თარგამაძე მართლაც ფლობს განათლების მინისტრის კორუმპირებულობის მამტკიცებელ მასალას, მაშინ გაკვირვებას იწვევს ის, თუ რატომ დუმდა ანტიკორუფციული საბჭოს წევრი იმ მომენტამდე, სანამ განათლების მინისტრთან ტელედებატებში წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევდა პარლამენტის წევრ მიხეილ სააკაშვილს.

თუკი ბატონი გ. თარგამაძე მართლაც ფლობს განათლების მინისტრის კორუმპირებულობის მამტკიცებელ მასალას, მაშინ უდავოა, რომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, აუცილებელია ამ მასალის დაუყოვნებლივ გამომზეურება. ამიტომ განათლების სამინისტრო უფლებამოსილია დაბეჯითებით მოითხოვოს ბატონი გ. თარგამაძისაგან ამ მასალების დაუყოვნებლივ – და არა გაურკვეველი ხანგრძლივობის „უახლოეს დღეებში“ – წარმოდგენა. ამასთანავე, განათლების სამინისტრო მოკრძალებით სთხოვს ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს, ბატონ გ. თარგამაძეს მასალების დაუყოვნებლივ წარდგენა ანტიკორუფციულ საბჭოში.

ვფიქრობთ, ბატონ გ. თარგამაძეს სავსებით აქვს გაცნობიერებული მის მიერ გამოთქმული ბრალდების მთელი სიმძიმე და ისიც, რომ ამ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში განათლების მინისტრის პასუხისმგებლობა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ბოდიშის მოხდით საზოგადოების წინაშე.

29 მაისი, 2002 წელი.

## „ლიფსიტები“ დიდ კორუფციაში

# 17 ავტობუსი განუბაჟებელი საქონლით

### ორი უწყება ერთობლივად შეუდგა კონტრაბანდასთან ბრძოლას

(პირველი გვერდიდან)

ამის თაობაზე 16 მაისს გამოიცა შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილისა და ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის ერთობლივი ბრძანება. შემუშავდა საქართველოში აღურიცხავი და კონტრაბანდული პროდუქციის შემოდინების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით განსახორციელებელი ოპერატიულ-პროფილაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა გეგმა, შეიქმნა დროებითი მთავარი საკოორდინაციო შტაბი; გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ადგილებზე განხორციელების უზრუნველსაყოფად შსს მიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის სამხარეო, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოებში ასევე შეიქმნა დროებითი საკოორდინაციო შტაბები. შტაბების მუშაობაში ჩაერთვნენ ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის რეგიონული განყოფილებების უფროსები.

ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, საგანგებო ლეგიონისა და საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საგზაო პოლიციის თანამშრომლებიც.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ხორციელდება არსებული საპროცესო კანონმდებლობის განუხრელად დაცვით. კანონის დარღვევით შემოსული და გადაადგილებული ტვირთები შემდგომი რეაგირებისათვის გადაჰყავთ შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო ტერმინალებში. გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ეგზავნება შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოსა და საგანგებო ლეგიონის მოკვლევის სამმართველოს. უკვე აღიძრა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე.

ერთობლივი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობაზე მეტყველებს 2002 წლის პირველი ოთხი თვისა და მაისის თვის შედეგების შედარებაც:

წლევანდელ 4 თვეში ქვეყანაში ყველა სამართალდამცავი ორგანოს მიერ გამოვლენილი, კონტრაბანდის 33 ფაქტი. აქედან 16 გამოვლენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და მისი ადგილობრივი დანაყოფების მიერ. ამოღებულია 260.000 ლარზე მეტი ღირებულების კონტრაბანდული საქონელი.

ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა მაისში. ოციოდე დღეში შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა გამოავლინა ქვეყანაში აღურიცხავი და საბაჟო წესის დარღვევით საქონლის შემოტანის 26 ფაქტი. განბაჟების მიზნით საბაჟო ტერმინალებში შეტანილია 542.141 ლარის ღირებულების სხვადასხვა საქონელი. უკანონო ბრუნვიდან ასევე ამოღებულია 5.442 ლარის ღირებულების 10.600 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და სხვა.

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, 17 მაისიდან, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფების მიერ ქ. თბილისში, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა კონტრაბანდასთან ბრძოლის ეფექტიანობა. გამოვლენილი და საბაჟო ტერმინალებში განბაჟების მიზნით უკვე შეტანილია 813.369 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი და კვების პროდუქტები, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 100.438 ლარი.

მაგალითად, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და „სადახლოს“ საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა საბაჟო „სადახლოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს სომხეთის რესპუბლიკიდან შემოსული 2 სატვირთო ავტომანქანა სხვადასხვა ელექტროტექნიკური საქონლით. ტვირთის განბაჟების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს შეემატა 53.118 ლარი.

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა საბაჟო „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს აზერბაიჯანიდან შემოსული „იკარუსის“ მარკის 11 ავტობუსი, რომლებიც დატვირთული იყო სხვადასხვა სამრეწველო საქონლით და არ გააჩნდათ ტვირთის წარმომავლობის საბუთები. ავტომანქანებში მოთავსებული ტვირთის განბაჟების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 18.920 ლარი.

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საბაჟო „წითელი ხიდის“ თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოსული „იკარუსის“ მარკის 17 ავტობუსი, რომლებიც დატვირთული იყო სამრეწველო საქონლით და არ გააჩნდათ მისი წარმომავლობის საბუთები. განბაჟების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 28.400 ლარი.

ორი სამინისტროს მიერ ერთობლივად განხორციელებულმა ოპერატიულ-პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა ერთხელ კიდევ წარმოაჩინა რამდენიმე სერიოზული პრობლემაც. სამართალდამცველთა ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ნეიტრალურ ზოლში, რომელიც რამდენიმე კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ხდება დიდი ოდენობით კონტრაბანდული საქონლის შემოტანა როგორც სატვირთო ავტომანქანებით, ისე სამგზავრო ავტობუსებით. შემდეგ ეს საქონელი გადაიტვირთება მსუბუქ ავტომანქანებში და კონტრაბანდული გზით შემოედინება საქართველოს ტერიტორიაზე როგორც საბაჟოს გაველით, ასევე უამრავი შემოვლითი გზით. თვითონ საბაჟოს ტერიტორიაც არ არის სათანადოდ მოწყობილი, რის გამოც ხშირია ტვირთის ძალადობით უკანონოდ შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე.

კერძოდ, 23 მაისს მარნეულის რაიონის სოფელ მეორე ქესალოსთან დააკავეს საბაჟო „წითელი ხიდიდან“ საბაჟო წესების დარღვევით მოძრავი ავტომანქანა „გაზ-24“ უცხოური წარმოების სხვადასხვა სამრეწველო საქონლით. ეს ავტომანქანა დაიტვირთა აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში არსებულ ბაზრობაზე აზერბაიჯანიდან შემოსული იკარუსის მარკის ავტობუსიდან. „გაზ-24“ არ დაემორჩილა საბაჟოს თანამშრომლებს და მოძრაობა განაგრძო თბილისის მიმართულებით. საბაჟოდან 2 კილომეტრში მდგარი საგზაო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნაზე მძღოლმა კვლავ არ გააჩერა ავტომანქანა, დიდი სიჩქარით გადაუხვია გზიდან სოფელ მეორე ქესალოს მიმართულებით, მოცურდა და ჩავარდა ხევში. მძღოლი, ჯერჯერობით, დაუდგენელი პიროვნება, გადმოვიდა ავტომანქანიდან და მიიმალა.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ თუ არ გამაგრდება საბაჟო გამშვები პუნქტები და ისინი არ მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების დონეზე, დამნაშავე ელემენტებს საშუალება ექნებათ ქვეყანაში შემოიტანონ განუბაჟებელი და კონტრაბანდული საქონელი, შეუძლებელი გახდება ფისკალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# ხიდები საქართველოს აღდგომისათვის



### 4. ხმელეთზე ჩაძირული ფლოტისა და ქანთარიას მერობის 100 დღის შემდგომი პერსპექტივის შესახებ

ფოთი კი უამრავი არტერიით, აურაცხელი არტერიოლითა და კაპილარით განიტოტება (ენერგომატარებელთა დაბოლოებებით) შავი ზღვის აუზის ქვეყნებისკენ: თურქეთისკენ, ნორვეგიისკენ, დიდი ბრიტანეთისკენ, უფრო შორს — იაპონიისკენ და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ, რომელიც საუკუნის პროექტად სახელდებულ „ევრაზიის დერეფნით“ (კლინტონი), გვევლინება ერთა შორის ეკონომიკურ-სულიერი დაახლოების ნიშანსვეტად XXI საუკუნეში.

30 მარტის იმედიანი დილასისხამია.

სამეგრელოს მოედნიდან გავცქერი ფაზის-ქალაქს.

პოსტამენტზე ამაყად შემართულა ჰუნეზე ამხედრებული მხარბეჭარწივიანი ცოტნე — ერთიანი საქართველოს სიმბოლო და მოყვასისათვის თავდადებული კაცის გენია.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბატონ ნუგზარ ნადარაიას მერობის დროს ფოთში, ამ მონუმენტის დადგმითაც მადლიერად მოიგონებენ ფაზისელები...

დავით ქანთარიამ ფოთში მერად ყოფნის 100 დღეში ყველა რეკორდი მოხსნა ფინანსური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურად ჩაოხრებული სიტუაციის გამოსასწორებლად.

თვეობით ჩაწკვარამებული ნათურებიდან შუქი გამოკიანთდება;

ჟანგისგან მომთობილ ონკანებში წყალი აჩხრიალდება;

წყალსადგურის სისტემაში ლაბორატორიისათვის გამოიძებნება სახსრები სასმელი წყლის საანალიზო მოწყობილობათა შესაძენად და მშვიდ ძილს მიეცემა წვრილშვილი ფაზისელი. დარიგდება თვეობით გაუცემელი ხელფასები, პენსიები.

ელვისებურად აიმართება ხარაჩოები ქალაქის მუსიკალური სკოლის, სკოლა-ლიცეუმის, პოლიკლინიკის პარმაღებთან.

სოლომონ მორბელაძის მსგავსად ათი წელიწადი ჯაგლაგით მოჩინდრიკე სასწრაფო დახმარების სამსახურს ორი რეანიმაციული მანქანა გადაეცემა — ფაზისურ ინფარქტებს სულზე მიუსწრებს.

არაფერს ვამბობთ ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობის შესადარ ძალისხმევაზე ავგიას თავლებთან მიმართებაში, რადგანაც ემწარება ზოგს ჰიგიენური ქინაქისა ესე. ხოლო ჩემი სამურზაყანოელი შარადმწყანე პარლამენტარი მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის შემსრულებლად შერაცხავს პირდაპირი მნიშვნელობით ბატონ დავით ქანთარიას, მაგრამ დიდია უფლის განგება და საბედნიეროდ, ყველაფერი მის ნება-სურვილზე ჰკიდია.

სამეგრელოს მოედნიდან საკათედრო ტაძრისკენ გადავინაცვლებ.

მხურვალედ მლოცველ მრევლს შევეყრები. კანდელები იღვენთება. შეწყობილად გალობენ. აღმართულია ჯვრები თავსზემოთ. მაღალ ღმერთს შესთხოვენ თეატრალების მიერ მისაკუთრებული ეკლესიის დაბრუნებას. მაგრამ, მოდი, მოვლენებს გავუსწროთ და დღეების მერმე, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარესთან მოგელი ტყებუჩავასთან გამართული დიალოგის ფრაგმენტი მოვიმეორეთ:

— ჩვენი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები მხოლოდ და მხოლოდ კანონია — რესპონდენტის ცნობით, ასეთი კანონი 300-ზე მეტი გამოუციათ, თუმცა მათ შესახებ მოსახლეობამ ნაკლებად უწყის თურმე, ვინაიდან, წაკაპიწებული ხელებისგან განსხვავებით, იგი დროის ხანგრძლივი მონაკვეთის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე — ქალაქის მერს ჰყავს ზემდგომი, რომელთა წინაშეც ანგარიშვალდებულია. ესენია საკრებულო და პრეზიდენტი, მაგრამ მერი დღეს წარმოადგენს არა მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებას საკრებულოში, არამედ — სახელმწიფო მმართველ ორგანოსაც. იქმნება დისბალანსი, თუმცა ვიმედოვნებ, ახალი კანონი ყველაფერს მოაწესრიგებს, — ბატონი მოგელი ტყებუჩავა გამომცდელად მომაჩერდება. დიდრონი თვალები აგზნებით უელავს. ნეტარხსენებული ბიძის, ვალერიან გეგიძის ტემპერამენტი უეჭველად ახლავს ფრიად ერუდირებული დისშვილის ქოლერიკულ მეტყველებასაც, — ეკლესიისა და თეატრის გარშემო შექმნილი ბაქკანალია განვიხილოთ.

წლების მანძილზე სულ ასე განქიქების საგანი გახლდათ საკათედრო ტაძრის დაბრუნება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ფოთის ეპარქიაზე. ამისი საშუალება და უფლება მიეცა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, — წამით შეყოვნდება, ამოწმებს ყურადღებით ვუსმენ თუ არა, — ჩვენ მივიღეთ ნორმატიული აქტი. გამოვეცით ისტორიული დეკრეტი ბოლო 100 წლის მანძილზე და დავუბრუნეთ მეპატრონეს საკათედრო ტაძარი, ანუ დღევანდელი შენობა, სადაც თეატრია განთავსებული. კეთილი ნება გამოხატა ეპარქიამ, როცა მოგვცა საშუალება თეატრის აშენებამდე დასი აღნიშნულ შენობაში ყოფილიყო. აქ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და შევქმენით მშენებარე დირექცია. გარკვეული თანხები უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტში — თეატრს ტერიტორია რუსთაველის ქუჩაზე დავუთმეთ. ფოთის სინამდვილეში უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ. იქით ეკლესია, საკათედრო ტაძარი; აქეთ — თეატრი, მერიისა და საკრებულოს შენობა, სასტუმრო „კოლხიდა“, მოკლედ, სულიერების მთელი ანსამბლი ერთად შეიყრება ცენტრალურ მოედანზე. ასე რომ, აღსდგება დიდი ნიკოსდროინდელი სქემა ქალაქის მოწყობისა და თორმეტი მოციქულის სიმბოლო — თორმეტი ქუჩა ძველებურად დაირაზმება საკათედრო ტაძრის გარშემო.

დაახლოებით ასეთნაირად დამელაპარაკება დღეების შემდეგ ბატონი მოგელი ტყებუჩავა. დახვეწილი მანერებისაა, ელეგანტური, საუბარში ჩამთრევი, მაგრამ ჯერ ისევ 30 მარტის გარიჟრაჟია და კაბინეტური კანონშემოქმედების აკვიატებას უმწეო ცალმხრივობად მივიჩნევ ა-პეპატიგის დარღუბალას ხელის ერთი მოსმით მომმთობ დათო ქანთარიას თუნდაც ერთპიროვნულ სანგვინიკურ ძალასთან შედარებით.

ნავსადგურისკენ მივუყვები ტროტუარს.

„მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს ქალაქზეო“, ამგვარი დასახელების წიგნი დაუსტამბავს ფოთის მაჟორიტარს პეტრე ბერაიას — ავტორისგან წამოწეულ საქართველოს საზღვაოსნოს პრობლემებს სიღრმისეულად რომ ჩავუღრმავდებით, თავმოყრილი სინამდვილე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს:

დაკარგულია სტაბილური სატვირთო ბაზარი, სამეურნეო კავშირები;

გაზრდილია გემების მოცდენები;

ვაჭრობის ლიბერალიზაცია საზღვა სატრანსპორტო სექტორს ქაოსითა და უკონტროლობით შემუსრავს; მოხდება მისი მაქსიმალური დეგრადაცია და გემების მნიშვნელოვანი ნაწილი საეჭვო არგუმენტაციით ჩამოიწერება, რათა შემდგომ უპრობლემოდ გაიყიდოს ჯართის ფასად.

ასე და ამგვარად, მიყოლებით გასხვისდება ოცდაათიოდე წლის 42 გემი: „თამარი“, „მოთა“, „მედეა“, „ფალიაშვილი“, „მახარაძე“, „ბაგრატიონი“... ქორჭილა ტანკერები სათქმელადაც არ ღირს ამ გიგანტების გვერდით. ჰოდა, ჩვენი სანაქებო ფლოტილია ჯართის ბედს გაიზიარებს უმუხლისძარღვო ბედოვლათების წყალობით ანძაკიჩო-ღუზიანად.

აწ ჩაძირული ფლოტილიის ჭირისუფლებს გულხელდაკრეფის მეტი რაღა დაგვრჩენია ქვეითნგარეული დერინის მხარდამხარ, მაგრამ ისევ დავით ქანთარიასნაირთა პრინციპულობის გვეიმედება!

ბატონ პეტრე ბერაიას წიგნისგან შევიტყობ ფოთის ნავსადგურის 27 მილიონ ლარად პრივატიზების გეგმების აბსურდულობასაც. დაინტერესებულ პირებს 30 წლის განმავლობაში განუზრახავთ თურმე ნავსადგურის არენდით აღება და სანაცვლოდ 150 მილიონი ლარის შემოსავალს გვპირდებიან წელიწადში, როცა ნავსადგურს თავადვე ხელეწიფება 250 მილიონი ლარის შემოტანა სახელმწიფო ხაზინაში დროის იგივე მონაკვეთში. აქ არსებული სხვაობა — 100 მილიონი ლარი საყველპურო არითმეტიკითაც ირკვევა, თუ ვის ჯიბეში საჩხრიალოდ ისწორებს ფრთებს.

— თუკი მაინცდამაინც ქვეყნის მერმისზე გვეთუთქება გული, ნავსადგურს ჯერჯერობით მოვეშვათ, ფოთის უნიკალურ გემთმშენებელ ქარხანას მივხედოთ, — გვაგულიანებს ბატონი პეტრე, მაგრამ მისი ინვესტორი „დარლინგუორთ ლიმიტედი“ თურმე მთლად გოგოლის „მკვდარი სულების“ ამქრისაა, მისი ასავალ-დასავალი ზესიმძლავრის ოპტიკური ხელსაწყოებითაც ველარ იძებნება დედამიწის ზურგზე. სამაგიეროდ, ამ უჩინმაჩინი ინვესტორის უკან უცოდველი გამომეტყველებით გატრუნულან წლების წინანდელი მრეწველობისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროები „ზოგიერთი გავლენიანი პირის“ თანხლებით.

100 ათას დოლარად გასხვისებულა ქარხანა, რომელსაც სტაპელზე არაერთი წყალქვეშაფრთიანი ხომალდი „კოლხიდა“ დაუმზადებია, აღნიშნულ თანხაზე 15-ჯერ მეტი ღირებულებისა.

დიახ, ჩაძირული ფლოტილიის გულდამწვარი ჭირისუფლები ვართ ჩვენ უკლებლივ, კამეჩის შუბლტყავიანი ზოგიერთის გამოკლებით და აქ დავით ქანთარიასნაირთა უდრეკლობის გამორიცხვით სრული გაცამტვერება გველის!

ქვეყნის პრეზიდენტის თვითმფრინავი დაეშვება ოდესღაც გაკრიალებულ ფოთის აეროპორტის შამბმორეულ ასაფრენ ზოლზე.

მოვლენები კალეიდოსკოპურად წაეწყობა ერთმანეთს.

დაათვალიერებს ქვეყნის პრეზიდენტი გასამაგრებელ სანაპირო ზოლს: მოინიშნავს გასადები ხიდების ადგილმდებარეობას.

კუდში მივყვებით ესკორტს. მაგრამ მთავარი სტუმარი უკვე ნავსადგურისკენ მიქრის, დიდი ნიკო ნიკოლაძის ადგილნაცვალი ძეგლისკენ. ჩავაღწევთ იქამდეც, თუმცა ახლა ბატონი ედუარდი დაძირული ქართული ფლოტის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომის მახარობლად მოევლენილ მიწახაპია გემ „ნიკო ნიკოლაძეზეა“. იგი პირველი მერცხალია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ნავსადგური აკვატორიის გასაწმენდად მილიონნახევარ ლარს ხარჯავდა ყოველწლიურად, მაგრამ ააგო პორტმა საკუთარი სახსრებით გემი და ამიერიდან შინაური საქმიანობის მოსტუმრების შემდეგ, სხვა ნავსადგურებსაც მოემსახურებიან ფინანსურად წელში გასამართად.

თავაწეულია ნავსადგურის უფროსი ჯემალ ინაიშვილი. აქაური ტერიტორია თვალშისაცემად კრიალებს დანარჩენი ფოთისგან განსხვავებით. გხიბლავს სავაჭრო ობიექტების სიკოხტავე და ევროპული სტანდარტების დონის სასტუმრო „ანკორი“; პირნათელია პორტი ქვეყნის და ქალაქის ბიუჯეტებთან. აწი ტყებუჩავამ და ქანთარიამ იმტვრიონ თავი, თუ როგორ გადაანაწილებენ მოკრებილ თანხებს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად; ეს მელიამ და ბერაიამ უფრიალონ ერთმანეთს ცხვირწინ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, თუ რომელია ლეგიტიმური მაჟორიტარი. ბატონ ჯემალ ინაიშვილს სხვა საზრუნავიც თავზესაყრელად მოგროვებია.

ფოთის ნავსადგური შეუფერხებლად აწარმოებს ექსპორტ-იმპორტს. საქართველოს რკინიგზის გერგილიანი მუშაობის წყალობით თანადროულად მიეწოდება ტვირთი აზერბაიჯანს და სომხეთს, და მაინც მთელი გულისყური ტრასეკას პროგრამისკენაა მიპყრობილი, სამომავლოდ ასაგები 4 ტერმინალისაკენ, რომელიც ერთიორად გაზრდის ფოთის ნავსადგურის საერთაშორისო მნიშვნელობას.

ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტის ეპიცენტრი ჩინებულად გასრულებულ მეზღვაურთა სახლშია. ამ ინტერკლუბის მოსაწყობად ფოთის ნავსადგურს 190 910 დოლარი დაეხარჯება, მაგრამ ძვირადღირებული სიამოვნება გატყვევებს, გუნსხავს ინტერიერის ჰაეროვნება, დიზაინი, საბილიარდო თუ 100 კაცისთვის გათვლილი დარბაზი.

ბრიფინგზე ჟურნალისტები პრეზიდენტის ვიზიტს ფოთში დავით ქანთარიას ზურგის გამაგრებად მონათლავენ, თუმცა ქვეყნის მესვეური ჩვეული იუმორით ამგვარად დაასრულებს საუბარს:

— რაღა დროს ზურგის გამაგრებაა, როცა ნახევარი ფოთი აუშენებიაო.

**გური ოტობაია.**

**P. S. 14 მაისსა — ადგილობრივი არჩევნების ციებ-ცხელების მუაწელი.**

**დავითმა დააფიქსირა თავისი პოზიცია არჩევნებთან დაკავშირებით, რომ განზე გადგებოდა, მაგრამ აზვირთდა საზოგადოებრივი აზრი: პირველი და მეორე საშუალო სკოლები, ქალთა კონსულტაცია, საავადმყოფო, სატყეო მეურნეობა, ქორეოგრაფიული სტუდიები, ქალაქის ინტელიგენცია... და წერილობითი თხოვნით წარსდგებიან მის წინაშე, რათა გადალახოს უხერხულობის მომენტით მიღებული გადაწყვეტილება — ფოთელების სახელით დადგეს დავით ქანთარია ფაზის-ქალაქის ხვალინდელი დღის სადარაჯოზე.**

**მხარდამჭერი ახალგაზრდების ჯგუფებია საარჩევნო შტაბის დერეფანში. თვითონაც 35-ისაა. 9 წელიწადი იგამგებლა წალენჯიხის რაიონში. სამი ხიდი ააშენა იქ საქართველოს აღსადგომად და ოცზე მეტი ობიექტი. ფოთში 100 დღე ითავკაცა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიბლიური ასერგასის დღეს. ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს იყრის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატურა (59) ნომრით.**

**ჯინსის შარვალ-ხალათი აცვია. მალთაყველ ამომრჩევლებს შეხვედრია და აქ მომლოდინე ბიჭებთან მოსვლა ამიტომაც დაგვიანებია.**

**— 5 ათასი ლარი დაჯდა ჩემს წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქცია, — გვეუბნება შეკრებილებს, — მე კი 3 ათას ლარად ჩემს ოპონენტებს ცხვირწინ გაუდაბურებელი ტყე-პარკი ეკალბარდისაგან გავუკაფე. საარჩევნო კამპანიაში მიშველი ხელებით ვებმები, „რანტავოო“ ჩექმითა და ბრეზენტის მოსასხამით...**

**2 ივნისის შემდეგ კვლავაც მივუბრუნდები გაწყვეტილ საუბარს ფოთის მერთან, ოღონდ უკვე სხვა რანგის და ხარისხის მესვეურთან, — ხალხის მიერ ხელდასხმულთან და ზედმიწევნით დავასრულებ ნაფლეთ-ნაფლეთ შეკოწიწებულ ჩვენს სულთახდომას.**

**გ. ო.**

## არჩევნების წინ

**ნუ გაიოცებთ, რასაც ახლა გეტყვით, სულაც არ გახლავთ ფანტაზიის ნაყოფი. ეს ორთაჭალჰესის, ამჟამად უკვე შპს „ორთაჭალა-ენერჯის“, საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშებში თეთრზე შავითაა დაფიქსირებული. ამ პატარა ჰიდროელექტროსადგურმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გაჩერებული და თითქმის მთლიანად გაძარცვული იყო, 1994 წლიდან დღემდე 400 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა და სახელმწიფო ბიუჯეტში 4,5 მილიონზე მეტი ლარის გადახდა შეძლო.**

# ენერგეტიკა ააღორძინებს მრეწველობას — მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს,

## ანუ საქართველოში პრივატიზებისა და უცხოური ინვესტიციების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი დანგრეული ენერგოობიექტების აღდგენა, ბიუჯეტში კი — მილიონების გადახდა

— ასეთი პატარა ჰესისათვის ეს ძალზე სერიოზული შედეგია. როგორ ფიქრობთ, რა მოცულობის უცხოური კაპიტალია დახარჯული მის სარეაბილიტაციოდ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ძია სემს მის აღსადგენად ერთი ცენტიც არ დაუხარჯავს. იგი მთლიანად ქართველი მეწარმეების, ინჟინრების ხელით გაიმართა და დღეს სრული საპროექტო — 18 მეგავატის სიმძლავრით მუშაობა შეუძლია.

შპს „ორთაჭალა-ენერჯიმ“ იგი 1994 წელს აიღო იჯარით და დღემდე მის სარეაბილიტაციოდ მილიონ ნახევარზე მეტი ლარი დახარჯა. არადა, 1959 წელს აგებულ და უკვე საკმაოდ ამორტიზებულ ექსპერიმენტულ ელექტროსადგურს, ქართველმა ბიზნესმენებმა თემურ ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით სწორად გათვლილი მენეჯმენტისა და ბიზნესგეგმის წყალობით სიცოცხლე დაუბრუნეს, იგი ქვეყნისა და დედაქალაქის სამსახურში ჩააყენეს. ორთაჭალჰესი თავისი ტექნიკური მახასიათებლებით ძველი, მაგრამ უნიკალური სადგურია, რომელსაც ენერგოსისტემის ავარიულად გათიშვის დროსაც კი ავტონომიურ რეჟიმში სტაბილურად შეუძლია მუშაობა და სასიცოცხლო ობიექტების მინიმალური ენერგიით მომარაგება.

საყურადღებოა ისიც, რომ დღეს ორთაჭალჰესის აქციების 100-ვე პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა, თუმცა ჰესს, მას შემდეგ, რაც სადგური მეწარმეებმა აღადგინეს და ენერგიის გამომუშავება დაიწყეს, ბევრმა დაადგა თვალი. დატრიალდა უჩინარი ბორბალი და მისი ხელში ჩაგდებაც მოინდომა. მოიჯარეებს მრავალი სასამართლო დავის, უთანასწორო ბრძოლის გადახდა თუ დაუძლეველი ჩინოვნიკური ზღუდის გადალახვა მოუხდათ. თუმცა სამართალმა პური მაინც ჭამა. ისინი დღეს ამ ბატალიებს მწარე ღიმილით იხსენებენ და არც ყურადღებას აღუნებენ: საქართველოში ჯერ კიდევ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ბატონი თემურ ჭიჭინაძე თბილისის საკრებულოს წევრი, მოიჯარე ჰესებისა და შპს „ჟინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. იგი ბლოკ „მრეწველობა“ გადაარჩენს საქართველოს“ პარტიული სიით კვლავ მონაწილეობს ადგილობრივ არჩევნებში და მომავალშიც დედაქალაქისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შეძლებს. ბატონი თემური დღეს ჩვენი სტუმარია.

— ენერგეტიკის დაღმასვლისა და დაკნინების პერიოდში თანამოაზრეებთან, პროფესიონალ ენერგეტიკოსებთან ერთად, რამდენიმე ამორტიზებული ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა გადავწყვიტეთ, — მეუბნება ბატონი თემური. ორთაჭალჰესი, რომელიც წლების განმავლობაში გაჩერებული და გაძარცვული იყო, და „ჟინვალჰესი“, სადაც ხეირიანად ერთი აგრეგატიც არ მუშაობდა, იჯარით ავიღეთ, თანხები მოვიძიეთ. ადგილობრივ საწარმოებს — საავიაციო ქარხანას, ჩარხმშენებელს შევუკვეთეთ სათადარიგო ნაწილები და ყველაფერი ადგილზე, ჩვენივე ძალებით დავამზადეთ. დღეს ორთაჭალჰესში სამივე 6-6 მეგავატიანი აგრეგატი გამართულია და სრული სიმძლავრით მუშაობს. ასევეა ჟინვალჰესშიც.

ჟინვალის ჰიდროკვანძზე ასევე საკუთარი ძალებით შევძელით წყალსაცავის მოცულობის 120 მილიონი კუბური მეტრით გაზრდა, თუ მანამდე, შემოდგომიდან, მტკვარში წყლის შემოდინების საგრძნობლად კლების გამო, ზაჰესი და ორთაჭალჰესი ჩერდებოდნენ, ამის შემდეგ მათაც მიეცათ სტაბილურად მუშაობის შესაძლებლობა, ჩვენ შევძელით მტკვრის დებეტის რეგულირება. დღეს ამ მხრივ პრობლემა აღარ აქვთ. ჟინვალჰესის პარალელურად ამ სადგურებშიც იზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება. „ჟინერი“ და „ორთაჭალა ენერჯი“ საქართველოში პირველი კერძო ოპერატორები არიან, ვინც ელექტროსადგურების მართვა-ექსპლუატაციის განხორციელება დაიწყო, როგორ ვახერხებთ ამას, მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლებიც მოწმობს.

ორთაჭალჰესზე მე უკვე მოგახსენეთ, „ჟინერმა“ — კი დიდი წინააღმდეგობისა და გაჭიანურებული სასამართლო პროცესებისა თუ ათასგვარი ხელშემშლელი პირობების მიუხედავად, 1994 წლიდან 2002 წლის იანვრამდე 83 მილიარდამდე კუპონი და 11 მილიონი ლარი გადაუხადა მეიჯარეს, (სახელმწიფოს), ხოლო ბიუჯეტში 800 მილიარდამდე კუპონი და 15 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა. მაგრამ ჟინვალი ჰიდროელექტროსადგურითა და მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით არ გახლავთ საყურადღებო. აქ ძირითადი თბილისის წყალმომარაგების სათავო ნაგებობა — წყალსაცავია, რომელიც დუშეთის, მცხეთის, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას ამარაგებს სასმელი წყლით.

თავის დროზე, როცა ეს წყალსაცავი პროექტდებოდა, მაშინ აქ ჰიდროელექტროსადგურის აშენებაზე სერიოზულად არც არავინ ფიქრობდა, რადგან საბჭოთა ენერგოსისტემისთვის ასეთი სიმძლავრის სადგური თითქმის არაფერს ნიშნავდა. ენერგეტიკოსების მოთხოვნით ბოლო მომენტში გადაწყდა მისი მშენებლობა, რადგან გვირაბში გამავალი წყლის ენერგიად გარდაქმნის უნიკალური პირობები არსებობდა და, მართლაც, იგი უქმად რატომ უნდა დაკარგულიყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს წყალსაცავი რომ არ არსებობდეს, რა დღეში ჩავარდებოდა დღეს თბილისი. ამიტომაც ვამბობთ, ღირებული უფრო ეს სათავო ნაგებობაა, ვიდრე სადგური.

იმისათვის, რომ დედაქალაქმა შეუფერხებლად მიიღოს წყალი, „ჟინერი“ საკმაოდ შრომატევად და ერთულეს სამუშაოს ასრულებს. ჩვენი დაკვეთით აქ სამი ინსტიტუტი მუშაობს. წყალსაცავისა და კაშხალის მომსახურება ყოველწლიურად 120-130 ათასი ლარი გვიჯდება, აღარაფერს ვამბობთ სარემონტო თუ სხვა გადაუდებელ სამუშაოებზე. ძირითადი თანხები სწორედ ჰიდროკვანძს ხმარდება და არა ელექტროსადგურს, რადგან აქ ნაკლები პრობლემები გვაქვს. აგრეგატები გამართულია, ისინი რომც არ მუშაობდეს, მათი გაჩერებით ქვეყანა არ დაიქცევა, აი, კაშხალის მოუვლელობა და უმეთვალყურეოდ მიტოვება კი დედაქალაქს გადაუჭრელ პრობლემებს შეუქმნის.

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ეს უნიკალური ჰიდროკომპლექსი სახელმწიფოს შენარჩუნებოდა და არ გაეყიდა. დღეს ხომ ყველა ხედავს, უცხოელები როგორი პრეტენზიულებიც არიან, ულტიმატუმის ენით საუბარსაც არ თაკილობენ.

ყოველწლიურად დედაქალაქსა და მის მიმდებარე რაიონებს მილიარდნახევარ კუბურ მეტრ მთის საუკეთესო, ანკარა წყალს ვაწვდით. დათვლილი აქვს ვინმეს, რა სიმდიდრეა ეს? გამართლებული იქნება, რომ იგი უცხოელებს ჩაუგდოთ ხელში და მერე მუხლებზე დაჩოქილებმა ვეხვეწოთ, იქნებ შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში, წყალი არ შეგვიწყვიტოთო და ასე შემდეგ? „თელასის“ მაგალითზე უკვე ამის საკმაო გამოცდილება გვაქვს. ჩვენ კი უპრეტენზიოდ და შეუზღუდავად იმდენ წყალს ვაწვდით მომხმარებელს, რამდენსაც ითხოვს. ამაში არავის არაფერს ვახდევინებთ, უცხოელებისაგან განსხვავებით არც დანახარჯებს ემალავთ და არც მოგებას.

იგივე „თელასი“ ჩვენს მიერ წარმოებულ ელექტროენერგიაში, რომელსაც 2,2 თეთრად ვაძლევთ მომხმარებელს, ვთქვათ იგივე „თბილწყალკანალს“, იმისათვის, რომ ტრანზიტით, საკუთარი ქსელით, თავის ობიექტამდე რომ მიატანინოს მომხმარებელს ელექტროენერგია, ყოველ კილოვატსაათში ოთხ თეთრამდე ახდევინებს. არადა, ეს გადამცემი ხაზები ჩვენი, ქართველი ენერგეტიკოსების აშენებულია, „თელასს“ აქ ახალი არაფერი გაუკეთებია. ამ დროს კი თავად „ეი-ი-ეს“-ი სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით ორთაჭალის გამანაწილებელ ქვესადგურში ტრანზიტით გატარებულ ელექტროენერგიისთვის 0,07 თეთრს გვიხდის, ვითომ რატომ უნდა ღირდეს მათ ქსელში გატარებული ენერგია ჩვენს ქსელებში ტრანზიტით გაელილ ენერგიაზე ძვირი? იმიტომ რომ, თუ მათ კაპრიზს არ შეასრულებენ, მომხმარებელს დენს გაუთიშავენ და ჩვენც იძულებული ვხდებით მათ დაკრულზე ვიცეკვოთ. იგივე „თელასს“ უკვე რამდენი ხანია ორთაჭალჰესისათვის ასეულ ათასობით ლარი აქვს გადასახდელი, მაგრამ არ იხდის, ჩვენ რომ გვქონდეს მათი ვალი, აქამდე დაგვახრჩობდნენ, ისე როგორც ახრჩობენ მოსახლეობას.

**— ბატონო თემურ, დღეს საუბარია თბილისის წყალმომარაგების სისტემის გარკვეული პერიოდით უცხოელებისათვის სამართავად გადაცემის თაობაზეც?**

— თუ საუბარია უცხოელ პარტნიორზე, რომელიც უნდა შემოვიდეს ქალაქში, კი ბატონო, მაგრამ თუ მთლიან სისტემაზე, არ ვიცი, ჩვენ ამ საქმეს უკვე 8 წელიწადია ვახორციელებთ, რაიმე დაბრკოლება შეგვიქმნია დედაქალაქისთვის? თუ თანხები იქნება, ქალაქშიც, ასევე წარმატებით შეგვიძლია გავართვათ საქმეს თავი. მთავარია კაპიტალი, ამ ფულს თუ მსოფლიო ბანკი იძლევა, ქალაქის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია ჩვენს სპეციალისტებსაც შეუძლიათ და უცხოელებზე უკეთესადაც.

**— თქვენი დევიზი — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მომხიბვლელია, ამაში ჭეშმარიტების დიდი მარცვალი დევს, თუმცა მრეწველობა ენერგეტიკის და ენერგეტიკა მრეწველობის გარეშე ვერ იარსებებენ. ამ კუთხით საკრებულოში ხელახლა არჩევის შემთხვევაში, რის გაკეთებას აპირებთ?**

— ჩვენ ისევე წარმატებით შეგვიძლია სხვა ელექტროსადგურების რეაბილიტაცია და მართვა, როგორც ეს ორთაჭალჰესსა და ჟინვალჰესზე განვახორციელეთ, მაგრამ საქართველომ მსოფლიო ბანკის დიქტატს უნდა დააღწიოს თავი, მასთან პარიტეტულად უნდა ითანამშრომლოს. სულაც არ ვართ პრივატიზების წინააღმდეგნი, მაგრამ, უპირველესად, ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსი გამოვიყენოთ, დავასაქმოთ ხალხი. მოვიდეს ჩვენთან მსოფლიო ბანკი, თუ მართლაც სურს, რომ საქართველო იყოს მწარმოებელი და არა მომხმარებელი ქვეყანა, ბაზარი დასავლეთისთვის, გაეცნოს ჩვენი საქმიანობის შედეგებს, მერე ის ელექტროსადგურებიც ნახოს, რომელიც მათი დაჟინებული მოთხოვნით გაიყიდა, შეადაროს ერთმანეთს, სად როგორი ვითარებაა. იქნებ ჩვენი გამოცდილება უფრო წარმატებულია ქვეყნისთვის?

ბოლო ათწლეულია, საქართველოს ენერგეტიკა და მრეწველობა მიზანმიმართულად ჩანაგდება. თუ 1985 წელს რესპუბლიკამ 16,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია აწარმოა, საიდანაც 40 პროცენტი მრეწველობამ მოიხმარა, 1999 წელს მხოლოდ 6,5 მილიარდი კილოვატსაათის გამომუშავება შეძლო, საიდანაც 9 პროცენტიც ვერ მოიხმარა მრეწველობამ. ეს ნათლად მიუთითებს როგორი მდგომარეობაცაა ქვეყანაში, ამიტომაც თბილისის მასშტაბით მაინც შევეცდებით ამ პრობლემის მოგვარებას, რადგან ენერგეტიკის გარეშე მრეწველობა ვერ აღორძინდება, ორივე ვერ გაიმართება წელში, თუ ქვეყანაში სამრეწველო დარგები არ ამოქმედდა. მათ ერთად, შეთანხმებულად უნდა შეძლონ ფეხზე დადგომა. როცა ეს საკითხი მოგვარდება, დედაქალაქშიც და ქვეყანაშიც უმუშევრობის პრობლემაც მოიხსნება და სოციალური საკითხებიც გადაიჭრება.

ესაუბრა **შოთა მაჭარაშვილი.**



**სურათზე:** ორთაჭალჰესი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (თბილისი, 380060, გამსახურდიას გამზირი №30) აცხადებს ღია ტენდერს „უმუშევრის დროებითი და მუდმივი დასაქმების პროგრამის“ ფარგლებში საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების მომსახურების შესასყიდად შემდეგი ლოტების მიხედვით:**

| № | რაიონი | ღონისძიების დასახელება |
|---|---|---|
| 1. | ყაზბეგი | სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია |
| 2. | ტყიბული | შ.პ.ს. ტყიბულის მრავალპროფილიანი საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ზოგადი პრაქტიკის (ოჯახის) ექიმის განყოფილების რეაბილიტაცია |
| 3. | ტყიბული | ქ. ტყიბულის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია |
| 4. | საჩხერე | სოფ. პერევის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია |
| 5. | ხონი | ქ. ხონის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია |
| 6. | სამტრედია | რაიონული საავადმყოფოს შ.პ.ს. "ექიმი"-ს რეაბილიტაცია |
| 7. | თიანეთი | სოფ. ჟებოტის წყალსადენის რეაბილიტაცია |
| 8. | თიანეთი | სიმონიანთხევის საკრებულოს სოფლების დამაკავშირებელი გზების შეკეთება და სოფ. ჟებოტის შიდა გზების შეკეთება |
| 9. | ამბროლაური | ცენტრალურ მოედანზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია |
| 10. | ლენტეხი | რაიონული საავადმყოფოს დაუმთავრებელი კორპუსის მშენებლობა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა |
| 11. | ასპინძა | წყალსადენის სათავე ნაგებობიდან მილსადენის რეკონსტრუქცია დაბა ასპინძის წყლით მომარაგების მიზნით. |
| 12. | წალენჯიხა | სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის განთავსებისთვის შენობის რეაბილიტაცია |
| 13. | ჭიათურა | სოფ. წირქვალის საშუალო სკოლის რეაბილიტაცია |
| 14. | ჭიათურა | სოფ. ნიგოზეთის უსახელო-ბერეთისის წყალსაცავი ავზის რეაბილიტაცია |
| 15. | ბაღდათი | ქ. ბაღდათის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია |
| 16. | თერჯოლა | სოფ. სიქთარვის წყალსადენის რეკონსტრუქცია |
| 17. | ხულო | სოფ. საციხურის ხიდის მშენებლობა |
| 18. | ოზურგეთი | №3 საშუალო სკოლის რეაბილიტაცია |
| 19. | თეთრიწყარო | სოფ. ასურეთის სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა სოფ. ასურეთთან არსებული წყალსაცავიდან |
| 20. | მცხეთა | ზედაზენის მონასტრის წყალგაყვანილობის რეაბილიტაცია |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავარაუდო ვადა: 2002 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 14 ივნისიდან 17 ივნისის 17 სთ-მდე, ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, გამსახურდიას გამზირი №30, მესამე სართული, ოთახი №309.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება პრეტენდენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებები სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე;

დ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესაბამისი ლიცენზია;

ე) ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილება;

ვ) შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ზ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ტერიტორიული სიახლოვე იმ ობიექტთან, რომელზეც დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება;

თ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და/ან ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ I-ელ მუხლში ნაჩვენებ მისამართზე;

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

8. დამატებითი ინფორმაცია პრეტენდენტს შეუძლია მიიღოს შემდეგ მისამართზე — თბილისი, 380060, გამსახურდიას გამზირი №30; საკონტაქტო პირი: გ. კურტანიძე; ტელ: 38-75-80.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 130-131. პარასკევი, 31 მაისი, 2002 წელი.

- „ცალხელა ბანდიტის“ საარაკო საჩუქარი.
- რას იზამს გენერალი მუშარაფი?
- სპეცსამსახურის აგენტები რეფორმისათვის ემზადებიან.
- აშენდება „ისრაელის დიდი კედელი?“



# მუშარაფი ინდოეთს აფრთხილებს

**პაკისტანის სამხედრო მმართველმა გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა განაცხადა, რომ თუ ინდოეთის არმია თავს დაესხმის მის ქვეყანას, მაშინ ომი უკან შეუბრუნდება ინდოეთს.**

სიტუაცია ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის ქაშმირის მონაკვეთზე მკვეთრად გაუარესდა გასული წლის დეკემბრიდან, როდესაც ინდოეთის პარლამენტზე მოეწყო შეიარაღებული თავდასხმა. დელი დარწმუნებულია, რომ ეს ისლამაბადის მხარდაჭერით გაპარპაშებულმა მოთარეშეებმა მოიმოქმედეს.



საზღვრის გაღმა-გამოღმა თავმოყრილია მილიონამდე ჯარისკაცი. მათ მხარს უჭერენ სარაკეტო ბატარეები, ტანკები და ავიაცია.

რეგიონში ვიზიტის დროს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ მოუწოდა გენერალ მუშარაფს, ბოლო მოუღოს მოთარეშეთა სასაზღვრო გამოხდომებს, და ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო გაერთიანება პაკისტანის ხელმძღვანელისაგან მოელის „მოქმედებას“ და არა მარტო სიტყვებს“.

სტროს ინდოელმა კოლეგამ ჯასვანთ სინგჰმა განაცხადა, რომ ორი ქვეყნის დაპირისპირება უარყოფით გაელენას ახდენს სიტუაციაზე მთელ მსოფლიოში, და დასძინა, რომ გენერალ მუშარაფს საკმარისი დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ ბოლო მოეღო მოთარეშეთა მოქმედებისათვის.

კითხვაზე, თუ რამდენად გულწრფელი იყო გენერალ მუშარაფის დაპირებები, რომ აღკვეთს მოთარეშეთა გამოხდომებს, სტრომ უპასუხა, რომ მისი აზრით, პაკისტანის ლიდერი სერიოზულად ლაპარაკობდა, მაგრამ ყველაფრის კრიტერიუმი ის არის, რაც სინამდვილეში ხდება“. ჯასვანთ სინგჰმა კი დაუმატა, რომ არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი, თუ როგორ ადევნონ თვალი ფერვეზ მუშარაფის რეალურ მოქმედებას თავისი დაპირების მესასრულებლად.

# შარონი ტაქტიკას არ ცვლის

**ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დაასრულა შეხვედრა ისრაელის „ვიწრო კაბინეტის“ წევრებთან, რომელზეც შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ბოლო დღეების თავდასხმების საპასუხო ღონისძიებანი.** ხელისუფლებმა მას შემდეგ მოიწვიეს სხდომა, რაც სამშაბათ საღამოს პალესტინელმა მოთარეშემ ნაბლუსის მახლობლად მდებარე სემინარიაში სროლა ატეხა. დაიღუპა ოთხი კაცი, მათ შორის თავდამსხმელი, დაიჭრა ორი ყმაწვილი.



წყაროები იუწყებიან, რომ მინისტრებმა გადაწყვიტეს, არ შეცვალონ პოლიტიკა პალესტინელთა ადმინისტრაციის მიმართ. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისრაელის არმია კვლავაც განახორციელებს რეიდებს პალესტინელთა დასახლებულ პუნქტებში მოთარეშეების გამოსავლენად.

აპრილის ბოლოდან, როდესაც ისრაელმა დაიწყო ოპერაცია „გალავანი“, სამხედროებმა დააპატიმრეს ათობით კაცი, მათ შორის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პალესტინელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პალესტინელი ექსტრემისტები განაგრძობდნენ ისრაელებზე თავდასხმებს, და საეჭვოა, რომ შაპიდ მოთარეშეთა აფეთქებები შეწყდეს.

სულ უფრო მეტი მინისტრი იზიარებს იმ აზრს, რომ ისრაელმა გალავანი უნდა შემოარტყას თავის ტერტორიას პალესტინელებისაგან დასაცავად. თავდაცვის მინისტრი ბენიამინ ბენ-ელიეზერი, თვლის, რომ მკაცრი სასაზღვრო კონტროლი ხელს შეუწყობს თავდასხმების შეწყვეტას.

# $22 მილიონი – დაბადების დღეზე

**ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი გარეუბნის მცხოვრებმა იოჰანა ჰოინდლმა თავის 74-ე დაბადების დღეზე მოულოდნელი საჩუქარი მიიღო განგებისაგან.**

ავსტრიელმა იმიგრანტმა სამი თითოდოლარიანი მონეტა ჩაყარა სტანდარტულ სათამაშო ავტომატში – ერთ იმათგანში, „ცალხელა ბანდიტს“ რომ უწოდებენ, და „ბანდიტისაგან“ საჩუქრად მიიღო 22 მილიონ 418 ათას 156 დოლარი და 67 ცენტი.

სათამაშო ავტომატების კომპანიის წარმომადგენელმა თქვა, რომ ასეთი თანხის მოგების შანსები „პრაქტიკულად, ნულს უტოლდება“. არც თავად იოჰანა ჰოინდლეს ეჯერებოდა, ასე, რომ გაუმართლებდა ბედი. იგი კაზინოში დილიდან მივიდა და არ აპირებდა გამარჯვებამდე თამაშს. „მე ჩავყარე მონეტები, წამით ვეერდზე გავიხედე, და როცა კვლავ შევხედე ავტომატის ეკრანს, თვალს არ დავუჯერე: გამოჩნდა სიმბოლოები, რომლებიც ჯეკპოტის მოგებას მოასწავებდნენ“, – იხსენებს ჰოინდლი.

იღბლიანი იმიგრანტი ქალის თქმით, თავდაპირველად, იგი ისე გაოცდა, რომ მანქანის ეკრანზე გამოსახული ციფრის ნულების რაოდენობაც კი ვერ დაითვალა. „თავიდან მეგონა, რომ იქ 22 ათასია, და არა 22 მილიონი“...

იოჰანა ჰოინდლის მოგება მესამეა ლას-ვეგასის მთელი ისტორიის მანძილზე. 2000 წელს სამორინეო ბიზნესის მაგნატებმა ამერიკელ სინტია ჯეის თითქმის 35 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ორი წლით ადრე კიდევ ერთმა ბედნიერმა 27,5 მილიონი მიიღო.

ხანდაზმული მანდილოსანი ამბობს, რომ ჯერჯერობით არ იცის, რა უყოს ამდენ სიმდიდრეს. „სულ ცოტა ხნის წინათ ვიყიდე ახალი მანქანა, საკმაოდ კარგი სახლიც მაქვს... თუმცა, ახლა შემიძლია, გადავცვალო იგი, ან, იქნებ ევროპაში წავიდე სამოგზაუროდ,“ – უთხრა მან ჟურნალისტებს. სათამაშო ავტომატები ისეა დაპროგრამებული, რომ ნამდვილად დიდი მოგება ათასში ერთხელ გამოხდება ხოლმე.



პროფესიონალ მოთამაშეებს ურჩევენ ახლა, ლას-ვეგასიდან ისრაელში გადაინაცვლონ. იქ 29 მაისს მოიწყონეს „მფრინავი სამორინეების“ პროექტი. რამდენიმე „ბოინგ-747“ ლაინერი, რომლებიც აზარტული თამაშებისათვის საჭირო მთელი მოწყობილობითა და ატრიბუტებით არის აღჭურვილი, იფრენს ისრაელის – იმ ქვეყნის საჰაერო სივრცის ფარგლებს გარეთ, სადაც ფულზე თამაში აკრძალულია.

# ფბბ სტრუქტურული რევოლუციისათვის ემზადება

**აშშ ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელები უახლოეს ხანს გამოაცხადებენ მომავალი დიდი სტრუქტურული ცვლილებების შესახებ.** რეფორმა ბიუროს პასუხია იმ კრიტიკოსების განცხადებებზე, რომლებიც ამბობენ, რომ **ფბბ** აგენტებს შეეძლოთ, თავიდან აეცილებინათ 11 სექტემბრის ტრაგედია, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს ადგილებიდან მოსულ დიდმნიშვნელოვან ცნობებს.

ბი-ბი-სის კორესპონდენტი ჯასტინ უები იუწყება, რომ ეს იქნება ყველაზე ფართო სტრუქტურული რეეოლუცია **ფბბ**-ს ისტორიაში. როგორც მოელიან, რეფორმის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიუროს იმ განყოფილებებს, რომლებიც ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს უძღვებიან. ეს საქმიანობა უფრო ცენტრალიზებული გახდება. გარდა ამისა, დაგეგმილია, გამოიყოს მეტი ხახსრები კონტრტერორისტული ოპერაციების განსახორციელებლად.

**ფბბ** რიგითი აგენტები ახალ უფლებამოსილებებს მოიპოვებენ. კერძოდ, შეძლებენ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებანი „ტერორიზმის“ მუხლით გამოძიების მოსაწყობად და საიდუმლო ოპერაციების განსახორციელებლად, ვაშინგტონის ნებართვის მიუღებლად.



რესტრუქტურიზაციის დასაწყებად საჭირო საბუთები უკვე შევიდა აშშ კონგრესში. როგორც ცნობილი გახდა, ბიუროს ფარგლებში ჩამოყალიბდება სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების განყოფილება. ამბობენ, რომ მას სათავეში ჩაუდგება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი. გარდა ამისა, დაგეგმილია, რომ ბიუროს ანალიზის განყოფილების შტატი დაახლოებით ათასი კაცით გაიზრდება. ისინი ახლანდელზე გაცილებით უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან – თანაც, არა მარტო ფედერალურ, არამედ, აგრეთვე რეგიონულ დონეზე.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დამატებით ჩაებმება ბიუროს კიდევ 500 აგენტი. სულ, სექტემბრისათვის **ფბბ** საერთო შტატი 900 კაცით გაიდიდება.

ცნობები ფედერალური უშიშროების ბიუროს მომავალი რეფორმის შესახებ გაჩნდა სულ რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც **ფბბ** ერთ-ერთი რეგიონული განყოფილების თანამშრომელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა უგულებელყო მისი ცნობები ზაქარიუს მუსაუის, ეგრეთ წოდებული „მე-20 გამტაცებლის“ საქმიანობის მესახებ.

როგორც ამერიკის ხელისუფალთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, მუსაუის, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია, მონაწილეობა უნდა მიეღო ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმაში. უკვე 11 სექტემბრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **ფბბ** ფენიქსელი და მინეაპოლისელი აგენტები ცენტრს აცნობებდნენ, ამ ქალაქებში რაღაც საეჭვო საქმიანობა მიმდინარეობს, მაგრამ ვაშინგტონმა მათ მოხსენებებს ყურადღება არ მიაქცია.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა არჩილ მანჯგალაძემ.**

# 1997-2001 (ექვსი თვე) წლებში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გრანტის სახით შემოტანილ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული საბაჟო გაფორმების ნებართვების ჩამონათვალი

1997 წელი.

| ორგანიზაციის დასახელება | გრანტის მოცულობა | გრანტის ხელშეკრულების თარიღი |
|---|---|---|
| სათბობ- ენერგეტიკის სამინისტრო | ტექნიკური აღჭურვილობა | |
| მეცნიერებათა აკადემია | 31 006 აშშ დოლარი | 05.02.97 და 06.02.97 |
| თავდაცვის სამინისტროს აკადემია | 2 მიკრო ავტობუსი | |
| **1998 წელი** | | |
| ვაჭრობის სამინისტრო | 500 000 000 იაპონური იენი | 08.04.97 |
| მეცნიერებათა აკადემია ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტი | 24 836,10 $ | 23.03.98 და 24.03.98 |
| ფიზიკის ინსტიტუტი | 6 500 გირვანქა სტერლინგი | 09.02.98 წერილობითი გადაწყვეტილება |
| სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 000 გერმანული მარკა | 436 CEO 113/3/0 RIS 12.03.96 |
| სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | 1 350 ტ. სასოფლო-სამეურნეო საქონელი | 08.04.97 |
| მეცნიერებათა აკადემია | 89 200 $ | NIG971714 15.04.98 |
| **1999 წელი** | | |
| ტექნიკური უნივერსიტეტი | 7 470 $ | 08.12.98 |
| სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | 380 000 000 იენი | 06.03.98 |
| სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 3 120 შვეიცარული ფრანკი | 01.08.96 |
| სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 136 879 შვეიცარული ფრანკი | 01.08.96 |
| კულტურის სამინისტრო | 41 161,50 გერმანული მარკა | 03.07.98 |
| მეცნიერებათა აკადემია | 3 273 $ აპარატურა | 10.08.98 |
| სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 116 879 შვეიცარული ფრანკი (ტექნიკა) | 01.08.96 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო | 12 865 ნიდერლანდური გულდენი (სასოფლო-სამეურნეო საქონელი) | 02.04.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო | 965,35 ნიდერლანდული გულდენი | 02.04.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 178 484 $ სხვადასხვა საქონელი | 10.05.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 53 755 $ საქონელი | 11.06.99 |
| სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 159 085 შვეიცარული ფრანკის მოწყობილობა | 1.08.96 |
| თავდაცვის სამინისტრო | 3 000 000 $ საქონელი | 11.06.98 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 101 500 ნიდერლანდული გულდენი | 02.04.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 500 000 000 და 300 000 000 იაპონური იენი საქონელი | 08.04.97 და 04.03.99 |
| ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 3 250 $ რეაქტივები | 18.03.99 |
| საზღვრის დაცვის დეპარტამენტი | 1 500 $ 25 ცალისკამი | 16.07.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 150 122,64 ნიდერლანდული გულდენი საქონელი | 02.04.99 |
| **2000 წელი** | | |
| ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 558 000 000 იაპონური იენი აღჭურვილობა | 14.04.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 26 453 ნიდერლანდული გულდენი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი | 02.04.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 8 031 $ კომპიუტერული ტექნიკა | 17.11.99 |
| სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 1 426 $ ტექნიკა | 14.12.99 |
| ტექნიკური უნივერსიტეტი | 3 643 $ ტექნიკა | 15.12.99 |
| სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | 370 000 000 იენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა | 04.03.99 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 12 293 $ სასოფლო-სამეურნეო საქონელი | 02.04.99 |
| სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 77 481 შვეიცარული ფრანკი | 1997 წ. |
| აბასთუმნის ობსერვატორია | 100 000 გერმანული მარკა მიკროდენსიმომეტრი | 20.03.00 |
| ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო | 98 652,50 ნიდერლანდული გულდენი 76,36 ტ. კარტოფილის თესლი | 01.02.00 |
| მიწის მარტვის დეპარტამენტი | 18 000$; 11 352$ და 289 813,48 გერმანული მარკა | 21.01.00 |
| გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | 10 000 $ | 18.11.99 |
| ტექნიკური უნივერსიტეტი | 1 714 $ | 15.12.99 |
| სამედიცინო უნივერსიტეტი | 3 483 $ აპარატურა | 14.01.99 |
| მიწის მართის დეპარტამენტი | 101 626 შვეიცარული ფრანკი ტექნიკა | 21.01.00 |
| ბიოქიმიის ინსტიტუტი | 6 100 $ კომპიუტერული ტექნიკა | 06.03.00 |
| სახელმწიფო უნივერსიტეტი | 3 970,17გერმანული მარკა რეაქტივები | 17.11.98 |
| სახელმწიფო უნივერსიტეტი | 39 949,60 და 11 234,53 გერმანული მარკა ხელსაწყოები | 11.01.00 |
| საზღვრის დაცვის დეპარტამენტი | 160 000 $ 5ც. ავტომობილი | 07.06.99; 16.06.99 |
| სახელმწიფო უნივერსიტეტი | 600 $ | 11.05.00 |
| თავდაცვის სამინისტრო | 382 903,85 $ საქონელი | 16.07.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 33 074 $ | 16.07.99 |
| | | |
| თავდაცვის სამინისტრო | 112 349,88 $ | 16.07.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 112 349,88 $ | 16.07.99 |
| **2001 (იანვარ-ივნისი)** | | |
| თავდაცვის სამინისტრო | 109 100 $ საქონელი | 16.06.99 17.11.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 303 646,08 $ საქონელი | 16.06.99 17.11.99 |
| იუსტიციის სამინისტრო | 3 598 951 080 თურქული ლირა საქონელი | 15.01.01 |
| თავდაცვის სამინისტრო | 540 818 $ საქონელი | 7.01.99 |
| თავდაცვის სამინისტრო | 1 911,76 $ საქონელი | 16.07.99 17.10.00 |

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2002 წლის ბოლომდე, ეტაპობრივად

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ეტაპობრივი მიწოდება | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომანქანა | 1 ცალი | წლის ბოლომდე | ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი |
| 2 | ხვითი | 20 ცალი | წლის ბოლომდე | |
| 3 | მაგიდა | 20 ცალი | წლის ბოლომდე | |

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 10-11 ივნისამდე, შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ე) დადგენილება სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება:

დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ე) დადგენილება სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას; თუ იგი ზევით დადგენის ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 2002 წლის 25 ივნისისა, შემდეგ მისამართზე: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერების განყოფილება, ე. ჭურჭუმიძე. ტელეფონი: 53 15 95.

**საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2002 წელს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო საკვები პროდუქტების სია**

| № | სურსათის დასახელება | საერთო რაოდენობა წელიწადში (კგ-ში) |
|---|---|---|
| 1 | პური თეთრი ან უმაღლესი ხარისხის | 6570 |
| 2 | პური რუხი | 6570 |
| 3 | ფქვილი ხორბლის II ხარისხის | 146 |
| 4 | ბურღული-ლობიო | 1460 |
| 5 | ბრინჯი | 584 |
| 6 | მაკარონის ნაწარმი | 584 |
| 7 | ხორცი | 2920 |
| 8 | თევზი | 1460 |
| 9 | ცხოველური ცხიმები, მარგარინი | 146 |
| 10 | ზეთი მცენარეული | 292 |
| 11 | კარაქი | 584 |
| 12 | რძე | 2920 ლიტრი |
| 13 | არაჟანი | 292 |
| 14 | ხაჭო | 292 |
| 15 | კვერცხი | 208 ცალი |
| 16 | შაქარი | 1022 |
| 17 | მარილი | 365 |
| 18 | ჩაი | 29,2 |
| 19 | დაფნა | 3 |
| 20 | წიწაკა | 4,3 |
| 21 | მდოგვის ფხვნილი | 4,3 |
| 22 | ძმარი | 43,8 ლიტრი |
| 23 | ტომატ-პასტა | 146 ლიტრი |
| 24 | კარტოფილი | 8760 |
| 25 | კომბოსტო | 2190 |
| 26 | სუფრის ჭარხალი | 438 |
| 27 | სტაფილო | 876 |
| 28 | ხახვი | 876 |
| 29 | პიტრი-კამიდორი, მწვანილი | 1460 |
| 30 | ხილის წვენები | 730 |
| 31 | კისელი | 438 |
| 32 | სიგარეტი | 14600 კოლოფი |
| 33 | ასანთი | 1440 კოლოფი |

სააქციო საზოგადოება „საქფეთქმრეწვის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

საზოგადოების აქციონერთა კრება ჩატარდება 2002 წლის 21 ივნისს 12 საათზე ადმინისტრაციულ შენობაში: ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ. №7.

დღის წესრიგი:
1. დირექციის ანგარიში 2001 წლის საქმიანობის შედეგებზე;
2. 2001 წლის სამეურნეო-საფინანსო საკითხების განხილვა.

**დირექცია.**

# განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

**I კატეგორიის საქმიანობაზე**

**1. „პეტრომარ ში პინგ ლიმიტედ გეორგიას“ მიერ**

ქ. ფოთის ნავსადგურში „თხევადი ქიმიური ნივთიერებების გადასატვირთი დროებითი ტექნოლოგიური ხაზის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

2. სს „ოტელ თბილისის“ მიერ

ქ. თბილისში სასტუმრო „მარიოტ თბილისის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

**II კატეგორიის საქმიანობაზე**

**შპს „სამთო საინვესტიციო კორპორაციას“ მიერ**

ტყიბულის რ-ნი, სოფ. ჯვარისაში კაოლინური თიხების საბადოს ელია-წმინდის უბნის ღია წესით დამუშავების მუშა პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2002 წ. 15 ივლისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, ფალიაშვილის №87, ტ. 25 02 19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 16 ივლისს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# 1997-2001 (ექვსი თვე) წლებში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გრანტის სახით შემოტანილ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული საბაჟო გაფორმების ნებართვების ჩამონათვალი

2001 წ. ივლის-დეკემბერი.

| № | მიმღები ორგანიზაცია | დონორი | თანხის ოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი | 54299,20 აშშ დოლარი | აპარატურა და რეაქტივები |
| 2 | ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი | 8275 აშშ დოლარი | აპარატურა |
| 3 | ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი | 17847 აშშ დოლარი | აპარატურა |
| 4 | თსუ | გერმანიის ფრაუნჰოფერის საზოგადოება | 280000 აშშ დოლარი | სამეცნიერო-კვლევითი აპარატურა |
| 5 | საქ. განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო | ეუთოს მისია საქართველოში | 5000 აშშ დოლარი | ავტომობილი "მიცუბიში პაჯერო" |
| 6 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის გენერალური შტაბი | 380245 აშშ დოლარი | სამხედრო ტანსაცმელი, ბატინკები, საძილე ტომრები, თეთრეული და სხვა |
| 7 | საქ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | თურქეთის გენერალური შტაბი | 206820 აშშ დოლარი | სამხედრო ტანსაცმელი, ბატინკები საძილე ტომრები, თეთრეული და სხვა |
| 8 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 92869,20 გერმანული მარკა | საკონტროლო და გამზომი ხელსაწყოები |
| 9 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობა | 230640 აშშ დოლარი | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკა, სანივთე ქონება |
| 10 | საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი | ISTC | 7188 აშშ დოლარი | სამეცნიერო მოწყობილობა |
| 11 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 69896,50 გერმანული მარკა | ხელსაწყოები |
| 12 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | შვედეთის სახელმწიფო მოხელეთა ინსტიტუტი | 2 280 000 შვედური კრონი | ფულადი სახით (აქედან 12449 აშშ დოლარის და 4209,43 ევროს ღირებულების საქონელია შემოტანილი 26.10.01 16-08/406/6319) |
| 13 | დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია | საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი | 1400 აშშ დოლარი | გამადიდებელი მინა (ლუპა) |
| 14 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO და უკრაინის სამეცნიერ-ტექნოლოგიური ცენტრი (STCU) | 2097,78 აშშ დოლარი | პროგრამული უზრუნველყოფის ADS-ის მედია კრებული (NATO) და ნახევრადიზოლატორული საფენები (STCU) |
| 15 | საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი | ISTC | 495 აშშ დოლარი | სამეცნიერო მოწყობილობა |
| 16 | საქ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა | 6850000000 თურქული ლირა | 20 ტ საავიაციო ბენზინი |
| 17 | ქ. თბილისის მერია | დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი | 5734,94 ფუნტი სტერლინგი | სამედიცინო ტექნიკა |
| 18 | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო | გაეროს განვითარების პროგრამა | 28855 ლარი | ავტომობილი "ნისან-პრიმერა" |
| 19 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 1254,15 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 20 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 14754,44 ევრო და 590 აშშ დოლარი | ქიმიური რეაქტივები და სუფთა გაზები |
| 21 | საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი | იაპონიის მთავრობა | 266961500 იაპონური იენი | საგზაო სამშენებლო ტექნიკა |
| 22 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 15730,69 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 23 | საქ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | თურქეთის გენერალური შტაბი | 598551 აშშ დოლარი | სამხედრო ტანსაცმელი |
| 24 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის გენერალური შტაბი | 18000 აშშ დოლარი | 27414 ლიტრი საწვავი |

2002 წ. იანვარ-მაისი.

| № | მიმღები ორგანიზაცია | დონორი | თანხის ოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 14996 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა და კომპიუტერული ტექნიკა |
| 2 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 7073,50 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 3 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო | 1143404 ევრო | სამხედრო ტექნიკა-აღჭურვილობა და მშრალი ულუფა |
| 4 | საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი | შვედეთის საერთაშორისო სააგენტო "SIDA" | 41880 აშშ დოლარი | გეოდეზიური ხელსაწყოების კომპლექტი |
| 5 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო | 7803387 აშშ დოლარი | ვერტმფრენები და სათადარიგო ნაწილები |
| 6 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 20968,56 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 7 | საქ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 150000 აშშ დოლარი | 750 ტ დიზელის საწვავი |
| 8 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 475000 აშშ დოლარი | 2500 ტ დიზელის საწვავი |
| 9 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 68276,75 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 10 | საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობისა სამინისტრო | ჩინეთის მთავრობა | 361446 აშშ დოლარი | ხის საშრობი მანქანა-დანადგარების კომპლექსი |
| 11 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 16466,57 ევრო | საკონტროლო გამზომი მოწყობილობები |
| 12 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 5182 აშშ დოლარი | 20 ტ საწვავი |
| 13 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 61439,40 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 14 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 3731750 იაპონური იენი | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა |
| 15 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 6700 აშშ დოლარი | მოზაიკის ფილები |
| 16 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 35840,15 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 17 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 41246 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 18 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 2037014 აშშ დოლარი | ტექნიკა და სამხედრო ფორმა |
| 19 | სახელმწიფო სამედიცინო აკადემია | თურქეთის საელჩო | 67000 აშშ დოლარი | ფულადი სახით მატერ.-ტექნიკ. ბაზის მოდერნიზაციისათვის |
| 20 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 43987432 იაპონური იენი | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა |
| 21 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 5000 ევრო | მაგიდის ცენტრიფუგა |
| 22 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი | 2293,85 ევრო | მოწყობილობა |
| 23 | საქართველოს განათლების სამინისტრო | გაეროს ბავშვთა ფონდი | 5261400 იაპონური იენი | "მიცუბიში"-ს მარკის სატვირთო ავტომანქანა |
| 24 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 55257,40 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 25 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 49695 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 26 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 87501,70 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 27 | ს.დურმიშიძის სახ ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ცენტრი | 8657,24 ევრო | ქიმიური რეაქტივები და ლაბორატორიული მოწყობილობა |
| 28 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | | 14.03.02 №16-08/280/1125 წერილის დამატება |
| 29 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 260800000 იაპონური იენი | სამედიცინო აღჭურვილობა და მოწყობილობა |
| 30 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 8826,92 ევრო | საკონტროლო გამზომი მოწყობილობები |
| 31 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 14820 აშშ დოლარი | 60 ტ საავიაციო ბენზინი |
| 32 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 6700 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 33 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 157183380 იაპონური იენი | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა |
| 34 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 17914,71 ევრო | საკონტროლო გამზომი მოწყობილობები |
| 35 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 52560,40 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 36 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 6700 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 37 | მ.ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი | ევროპის საბჭოს დიდი კატასტროფების წილობრივი შეთანხმების ცენტრი | 2620 აშშ დოლარი | პლატფორმიანი დახრისმზომი |
| 38 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 29113,60 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა და ინვენტარი |
| 39 | შპს "სახელმწიფო მარეგულირებელი სახლი" | აშშ-ს მთავრობა | 4562915,74 აშშ დოლარი | 35000 ტონა ხორბალი |
| 40 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 61450 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა და აღჭურვილობა |
| 41 | საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო | თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერია | 68505,28 აშშ დოლარი | საკანცელარიო ნივთები და ფორმა |
| 42 | საქ. მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი | საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი | 3300 აშშ დოლარი | 1,36 კგ ბრომის ფხვნილი |
| 43 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 177070438 იაპონური იენი | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა |
| 44 | საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი | თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა | | 5 ცალი მსუბუქი ავტომანქანა |
| 45 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 14820 აშშ დოლარი | 60 ტ საავიაციო ბენზინი |
| 46 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 23500 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა და აღჭურვილობა |
| 47 | საქართველოს კულტურის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 48800000 იაპონური იენი | აპარატურა თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზისათვის |
| 48 | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | იაპონიის მთავრობა | 48690,69 ევრო | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაკომპლექტებელი ნაწილებია |
| 49 | ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | NATO | 40677,4 ევრო | საკონტროლო გამზომი მოწყობილობები |
| 50 | ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი | აშშ-ს საერთაშორისო კვლევებისა და დამუშავებების ფონდი (CRDF) | 3047,61 აშშ დოლარი და 3285,54 ევრო | ლაბორატორიული მასალები და რეაქტივები |
| 51 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 25900 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა |
| 52 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი | 11805 აშშ დოლარი | სამშენებლო მასალა და ინვენტარი |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გრანტების შესახებ

| კრედიტორი | გრანტის დასახელება | ხელმოწერის თარიღი | კრედიტის ვალუტა | შეთანხმებული თანხა | ათვისებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| **გრანტები** | | | | | |
| **(EU) ევროგაერთიანება** | | | | | |
| (EU) ევროგაერთიანება | EU - ევროგაერთიანების ძირითადი ვალის დასაფარავად (10,000,000 ECU) | 24-Jul-98 | ECU | 10,000,000 | 10,000,000 |
| (EU) ევროგაერთიანება | EU - ევროგაერთიანების ძირითადი ვალის დასაფარავად (9,000,000 EUR) | 23-Sep-99 | EUR | 9,000,000 | 9,000,000 |
| (EU) ევროგაერთიანება | EU - ევროგაერთიანების ძირითადი ვალის დასაფარავად (6,000,000 EUR) | 26-Nov-01 | EUR | 6,000,000 | 6,000,000 |
| **გერმანია** | | | | | |
| (KfW) რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი | KfW - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გრანტი | 29-Oct-98 | DEM | 5,000,000 | 2,982,712 |
| (KfW) რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი | KfW - დასაქმების პროგრამა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში | 01-Mar-00 | DEM | 5,000,000 | 3,221,203 |
| **(IFAD) სოფლის მეურნ. განვითარ. საერთაშ. ფონდი** | | | | | |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | IFAD - S30 GE - პროექტის მოსამზადებელი გრანტი | 29-Apr-97 | USD | 72,000 | 72,000 |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | IFAD - გრანტი - SOF 103 - GE - მთიან და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის განვითარების პროგრამა | 10-Nov-00 | USD | 80,000 | 49,747 |
| **იაპონია** | | | | | |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 29337 სტრუქტურული გარდაქმნების ხელშემწყობი გრანტი | 28-Sep-95 | JPY | 79,800,000 | 79,476,501 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 29386 ტრანსპორტის 1-ლი პროექტისათვის | 13-Nov-95 | JPY | 31,980,000 | 31,980,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 029686 ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებელი გრანტი | 18-Oct-96 | USD | 300,000 | 298,431 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN -იაპონური გრანტი 29687 სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის | 02-Dec-96 | USD | 420,000 | 419,684 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 29685 ჯანდაცვის II პროექტისათვის | 31-Jan-97 | USD | 500,000 | 372,508 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - JP 0511 - იაპონიის გრანტი - სურსათის წარმოების გაზრდის 1-ლი პროექტი | 08-Apr-97 | JPY | 500,000,000 | 500,000,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN -იაპონური გრანტი 27103 საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტისათვის | 23-May-97 | USD | 505,500 | 505,500 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | JPN - 27104 - ტრანსპორტის სექტორის რეფორმების მოსამზადებელი გრანტი | 30-May-97 | USD | 325,600 | 239,202 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 27105 მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის მოსამზადებელი გრანტი | 31-Jul-97 | USD | 425,000 | 424,907 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - JP-0611 - იაპონური გრანტი - სურსათის წარმოების გაზრდის 2-ე პროექტი | 06-Mar-98 | JPY | 380,000,000 | 380,000,000 |

საგარეო ვალის ანგარიშგების ავტომატიზირებული სისტემა (ლობასკინა ნატალია / მაისურაძე სოსო - 29-15-43) — ფურცელი 1 2 დან

| კრედიტორი | გრანტის დასახელება | ხელმოწერის თარიღი | კრედიტის ვალუტა | შეთანხმებული თანხა | ათვისებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 25144 სატყეო მეურნეობის პროექტისათვის | 22-May-98 | USD | 315,500 | 315,482 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი - 25146 ენერგეტიკისა და გაზის რესტრუქტურირების პროექტისათვის | 02-Nov-98 | USD | 600,000 | 445,909 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 25587 განათლების პროექტისათვის | 30-Dec-98 | USD | 377,650 | 377,650 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | JPN - იაპონური გრანტი 25586 სოფლის მეურნეობის II პროექტისათვის | 05-Feb-99 | USD | 915,150 | 883,503 |
| **ნიდერლანდები** | | | | | |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDA - 20347 - ჰოლანდიური გრანტი რეაბილიტაციის პროექტისათვის | 23-Jun-95 | NLG | 5,000,000 | 5,000,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDA - 22072 - ნიდერლანდები - სტრუქტურული გარდაქმნების (SAC-1) | 30-Sep-96 | NLG | 8,000,000 | 8,000,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDA - 22072 - ნიდერლანდები - სტრუქტურული გარდაქმნების (SAC-2) | 16-Sep-97 | NLG | 8,000,000 | 8,000,000 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - NETH 20749 - ჰოლანდიური გრანტი | 10-Dec-98 | NLG | 16,000,000 | 16,000,000 |
| **მსოფლიო ბანკი** | | | | | |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - 28298 - საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მართვის პროექტის გრანტი | 02-Feb-96 | USD | 200,000 | 194,008 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IBRD - 28289 - გარემოს დაცვის სამინისტროს ინსტიტუციონალური განვითარების პროექტის მოსამზადებელი გრანტი | 02-Apr-96 | USD | 327,000 | 290,047 |
| IDF (მსოფლიო ბანკი) | IDF - 28234 - კულტურული მემკვიდრეობის გრანტი | 10-May-96 | USD | 432,000 | 432,000 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - 28351 - გარემოს დაცვის პროგრამა | 28-Oct-96 | USD | 120,000 | 114,475 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDF - 27526 - გრანტი მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტისათვის | 23-May-97 | USD | 343,000 | 314,151 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - TF 20446 - ტყის და ეკოსისტემის შენარჩუნება | 11-Sep-97 | USD | 350,000 | 350,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDF - 271920 - სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სრულყოფა | 06-Jun-98 | USD | 142,500 | 123,912 |
| IDF (მსოფლიო ბანკი) | IDF -გრანტი 27218 - საქართველოს საინვესტიციო ცენტრის ინსტიტუციონალური გაძლიერება | 02-Jul-98 | USD | 380,000 | 378,816 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - 21598 - სანაპირო ინტეგრირებული მართვის პროექტი | 27-Jan-99 | SDR | 1,000,000 | 100,335 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IBRD - 21596 - სტრუქტურული გარდაქმნების - SAC2 - (500,000 USD) | 11-Mar-99 | USD | 500,000 | 500,000 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDA - 23502 - კაპიტალის ბაზრის განვითარების პროგრამა | 24-Sep-99 | USD | 1,237,510 | 865,537 |
| IDF (მსოფლიო ბანკი) | IDF - 27308 - ინსტიტუციონალური განვითარების გრანტი | 11-Nov-99 | USD | 329,000 | 249,915 |
| IDA (მსოფლიო ბანკი) | IDA - TF 23752 - სასოფლო-სამეურნეო კვლევების, დანერგვა-კონსულტ. და სწავლების პროექტი - ARET | 16-May-00 | SDR | 1,800,000 | 112,352 |
| IBRD (მსოფლიო ბანკი) | IDA - 23968 - გარემოს გლობალური ფონდის პროექტი | 04-Oct-01 | SDR | 6,900,000 | 0 |

საგარეო ვალის ანგარიშგების ავტომატიზირებული სისტემა (ლობასკინა ნატალია / მაისურაძე სოსო - 29-15-43) — ფურცელი 2 2 დან

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 130-131. პარასკევი, 31 მაისი, 2002 წელი.

# ძვირფასო თბილისელებო!

გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დროს, როცა ყველაფერი ახალი სიცოცხლით ივსება და ათასფერად ფეთქავს ჩვენი საოცარი ქვეყანა, უპირველესად თვალწინ მიდგას მონატრებული, მთაწმინდასავით ნათელი თბილისი და რუსთაველზე, ქედმოუხრელ წინაპართა მსგავსად, ამაყად მსვლელნი და იმედით მზერი თბილისელები.

ისიც ღრმად მწამს, რომ კელავინდებურად ალსდგება და გაბრწყინდება სატახტო ქალაქი ჩვენი, ალორძინდება სრულიად საქართველო, მოსახლეობა და ერი ჩვენი.

მიყვარს და მენატრება თბილისი, დედაქალაქი ჩემი, დიდ ადამიანთა სავანე და საბუდარი. მენატრებით თქვენ, თბილისელებო, ვინც გაერთიანებულ, მშვიდ და ძლიერ საქართველოზე ოცნებობთ. მიყვარხართ იმიტომაც, რომ იმავე ფიქრითა და ოცნებით ვცხოვრობ მეც, რადგან მეც სულიერი და გონებრივი ნაწილი ვარ საქართველოსი, ესე იგი თქვენი; ფიზიკურად კი, მტკიცედ ვიცავ ჩემი ქვეყნის უმთავრეს კარიბჭეს და აქედან მთლიანად საქართველოს. ვიცავ შეუვალად იმისთვის, რომ არც არავის მოესწროს ეთქვას: "იყოო ოდესღაც საქართველო..." ამიტომაც მებრძვის დღეს ასე გააფთრებით, აფთრებივით ერთად შეკრებილი ყველა: ქვეყნის ორგული, ბოროტი თუ ავისმდომი გადამთიელი, რადგან ერთი გზა ვიცი მხოლოდ, გზა ტაძრისაკენ. ეს ტაძარი კი ჭეშმარიტება როდია მხოლოდ, ის ჩვენი ანდამატივით მიმზიდველი და საფიცარი საქართველოა.

ათასჯერ მაინც დამიჭერია ჩემი თავი, გარინდებული იმაზე ფიქრით, რომ სწორად მეგრძნო მაჯისცემა დედაქალაქის და სუნთქვაც თქვენი – საყოველთაო სწორებისათვის, რათა ერთად – დავამკვიდროთ სიმშვიდე, ალვადგინოთ ქვეყნის ერთიანობა და ავალორძინოთ საქართველო. ამ მიზნით ვიღწვით დღენიადაგ ყველგან მეც და ჩემი თანამებრძოლნიც.

მიყვარს ისინიც კი, ვინც შორს ვერ ხედავს, გაცრუებულნი თუ გზააცდენილნი, რადგან ყოველი მათგანი ისეთივე შვილია საქართველოსი, როგორც მე, როგორც თქვენ, მაგრამ მის სადიდებლად სხვა გზით მავალნი. იმისაც მჯერა, რომ მოვა დრო, როცა სრულად შეიცნობენ ჭეშმარიტებას, ოლონდაც ადრე, ერთად დავდგეთ სალი კლდესავით, რადგან ქვეყნის ხსნის, ერის ძლიერების და ხვალინდელი დღის გასაღები ერთობაშია მხოლოდ საძებნი. თუ ამ გზით ვივლით, გამარჯვებაც გარდუვალია. სხვა გზაც არ არის.

წინაპართ ჩვენთა საწვრთნელად უთქვამთ, რომ "ძალა ჩვენი ერთობაშია". ამიერიდან ჩვენც – სრულიად საქართველოს გვევლოს ერთად, შეუდრეკლად და მტკიცე რწმენით, რომ გავიმარჯვებთ.

მუდამ თქვენი
**ასლან აბაშიძე.**

# ძვირფასო თანამემამულენო!

ამომრჩეველი ხშირად გვეკითხება – ყველა პარტია და პარტიათა ბლოკი სამოთხეს გვპირდება და ვის მივცეთ ხმა? გიპასუხებთ ერთმნიშვნელოვნად და მარტივად. პარტიები და მათი ბლოკები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) ვინც თავისი მმართველობის შედეგად დააკნინა, გააპარტახა საქართველო, ააყვავა კორუფცია და ხალხი დასვა მიზერულ ხელფასზე, 14 ლარიან (ისიც ხშირად გაუცემელ) პენსიაზე, ზოგს კი სულ წაართვა იმედი – აქცია უმუშევრად; 2) ვისაც ჯერ ხელისუფლება არ ჰქონია და ამიტომ ვერც გაუკეთებია და ვერც გაუფუჭებია რამე; და 3) ვინც ერთ რეგიონში – აჭარაში, სადაც იგი ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლებაა, შეძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა ფართო მშენებლობა: სამეურნეო, კულტურული, სულიერი – სამაგალითო და იმედის მომცემი მთელი საქართველოსათვის. ეს გახლავთ სრულიად საქართველოს დემოკრატიული ალორძინების კავშირი, რომელიც ამ არჩევნებზე მოდის ბლოკ "XXI საუკუნესთან" ერთად, რომლის ეფექტური მუშაობა პარლამენტში დემოკრატიისა და კანონიერებისათვის, თქვენთვის, ძვირფასო თანამემამულენო, კარგადაა ცნობილი. შეადარეთ, თუ გნებავთ კრიმინოგენული სიტუაცია აჭარასა და დანარჩენ საქართველოში. აჭარაში ყოველი მესამე დღე გადის რეგისტრირებული სისხლის სამართლის დანაშაულის გარეშე, მაშასადამე, იქ წლის 1/3 ამგვარი დანაშაულის გარეშეა.

ძვირფასო ამომრჩევლებო, თუ გინდათ თბილისსაც, მთელ საქართველოსაც გაეხსნას გზა შემოქმედებითი, თავისუფალი შრომისაკენ, რაც განუხრელი აღმავლობის საწინდარი იქნება, ხმა მიეცით ბლოკს "ალორძინება – XXI საუკუნე"!

**ვახტანგ ბოჭორიშვილი.**

# „ალორძინება“- XXI სხვები გპირდებიან - ჩვენ ვაკეთებთ!

## (ახალი ინიციატივები)

### "ალორძინება – XXI" და თბილისელები

ამ მცირე მოცულობის ბროშურით "ალორძინება – XXI" მიმართავს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ყველა მცხოვრებს, იმ ადამიანებს, რომელთა ფიქრი, სიხარული, პრობლემები, სურვილები და საზოგადოებრივი განწყობა სრულად გვსურს გავიზიაროთ.

ჩვენც იმით ვხარობთ, რითაც თქვენ!

ჩვენც ის გვაწუხებს, რაც თქვენ!

მაგრამ პოლიტიკური ორგანიზაცია მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, პრობლემები დაინახოს და მუდმივად სინანულს გამოთქვამდეს მათი არსებობის გამო. წესიერი, პატიოსანი და თავისი ქვეყნის ერთგული პოლიტიკოსები ამ პრობლემებს უნდა აგვარებდნენ!

"ალორძინება – XXI" თბილისელებს სწორედ საქმის კეთებას სთავაზობს – ჩვენ კარგად შევისწავლეთ და გავაცნობიერეთ ყოველი თქვენგანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები და მზად ვართ გადავწყვიტოთ ისინი!

"ალორძინებამ" არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია.

სხვები გპირდებიან – ჩვენ ვაკეთებთ!

"ალორძინება" საქმის პარტიაა!

ეს არ არის ლიტონი სიტყვები. იქ, სადაც "ალორძინება" არსებითად ფლობს ხელისუფლებას, უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა და კეთდება. ეს არის რეალური ზრუნვა ადამიანებზე და არა გაუთავებელი და უშედეგო ლაპარაკი ამ თემაზე. ჩვენ არ მოვდივართ ცარიელი ხელებით!

ყოველი კონკრეტული მიმართულებით გვაქვს უმაღლესი რანგის პროფესიონალების, სამშობლოზე და საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანების ზუსტად გათვლილი და გააზრებული პროგრამები, კონცეპტუალური ხედვა და სამოქმედო გეგმები.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს და კვლავაც მოველით მათ თანადგომას, მაგრამ ვეყრდნობით ჩვენი ხალხის მართლაც უსაზღვრო შესაძლებლობებს, მის ნიჭიერებასა და ენერგიას. ძირითად პოლიტიკურ ორიენტაციად ვაცხადებთ იმას, რომ არსებითად ვენდობით ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ დაბეჩავებულის ფსიქოლოგია, გრძნობენ საკუთარ ღირსებას და მხოლოდ სხვების დახმარების იმედით არ ცხოვრობენ – გვსურს ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებული კაცის განწყობა ზეობდეს!

ჩვენ, თქვენთან ერთად, გვჯერა საქართველოსი!

ჩვენ გვჯერა თბილისის და თბილისელების!

გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი დედაქალაქის უკეთესი მომავალი მხოლოდ ყოველი ჩვენგანის ერთიანი ძალისხმევით შეიძლება შეიქმნას – საქართველოს ყველაზე მომხიბვლელი და ძლიერი გამოხატულება მისი მთლიანობაა!

"ალორძინება – XXI" საკუთარ თავს, ყოველ თქვენგანთან ერთად, სწორედ ამ მთლიანობის – ჩვენი ისტორიის, ტრადიციების, ზნეობის, ინტელექტის, ერთად შესაქმნელი ბედნიერი და კეთილი მომავლის – გამომხატველად მიიჩნევს. ეს ხედვა განაპირობებს "ალორძინებისა" და მისი ლიდერის ასლან აბაშიძის დამოკიდებულებას ლტოლვილთა პრობლემების მოგვარებისა და, უწინარეს ყოვლისა, მათი მშობლიურ სახლებში დაბრუნების საქმისადმი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისადმი.

ყველაზე მეტად ამ მთლიანობას – საქართველოს ერთიან სახებას – უნდა გავუფრთხილდეთ, ყველაზე მეტად მასზე უნდა ვიზრუნოთ.

ჩვენ არა ვართ რევოლუციური გარდაქმნების, საზოგადოების უმიზნო და უშედეგო რყევების, სპონტანური და გაუაზრებელი "რეფორმების" მომხრე.

ქვეყანა ევოლუციურად, ბუნებრივად, გააზრებულად და დინამიურად უნდა ვითარდებოდეს! ეს გულისხმობს თანმიმდევრულ, ეტაპობრივ მოძრაობას მომავლისაკენ, რასაც საფუძვლად საერთო ღირებულებები და საზოგადოებრივ თანხმობაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი მიზნები დაედება.

ჩვენი პოლიტიკური იდეების სისტემა ეფუძნება ისეთ საბაზისო ღირებულებებს, როგორიცაა: პატრიოტიზმი, მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური და პირადი თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, ზნეობა, საზოგადოებრივი თანხმობა, განათლება და კულტურა.

უმთავრესი პრიორიტეტებია: ეროვნული დამოუკიდებლობა, კანონიერება, თავისუფლება კანონის ფარგლებში, პასუხისმგებლობა და ერთიანობა.

"ალორძინების" პოლიტიკა იგება ძლიერი, ეფექტური სახელმწიფოს გაგებაზე, მისი რეალური ფუნქციების აღდგენაზე – სწორედ ძლიერი სახელმწიფო წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას.

"ალორძინება – XXI" იცავს სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გონივრული შეხამების იდეას, მხარს უჭერს რეგიონალიზმის განვითარებას.

ჩვენი ბლოკი პრინციპულად დაიცავს პოლიტიკურ ნებას, რაც მიმართულია საზოგადოების კრიმინალიზაციის, პოლიტიკური ექსტრემიზმისა და ნაციონალური სეპარატიზმის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ.

"ალორძინება XXI"-ს ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, კერძო საკუთრების, პატიოსანი კონკურენციის პრინციპების პატივისცემას, აგრეთვე, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გონივრულ და აუცილებელ საზღვრებში შენარჩუნებას.

"ალორძინება" კონსერვატიულ-ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის უმთავრესი პრინციპია – შეინარჩუნოს ღირსეული წარსული და გაბედულად და პროფესიულად იაროს წინ, ღირსეული მომავლისაკენ!

ჩვენ არ გპირდებით იმას, რასაც ვერ გავაკეთებთ, ჩვენ უეჭველად და ყოველთვის ვაკეთებთ იმას, რაც ერსა და სახელმწიფოს სჭირდება.

### ახალი ინიციატივები

ბლოკი "ალორძინება – XXI" თავის თბილისელ ამომრჩევლებს სთავაზობს ჩვენი სოციალური პარტნიორებისთვის, ანუ ყოველი თბილისელისთვის მნიშვნელოვან პრობლემათა ზოგად ხედვას და კონკრეტულ ახალ ინიციატივებს, რომლებიც ამ პრობლემათა გადაწყვეტის წინაპირობად და გარანტიად უნდა იქცეს.

ინიციატივათა და წინადადებათა ერთი რიგი სცილდება თბილისის საკრებულოს კომპეტენციას და პარლამენტის გადასაწყვეტი საკითხებია, მაგრამ ჩვენი ხედვა სისტემურ მიდგომებს ეფუძნება. პარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობა გვყავს და ისინი პრინციპულად დაიცავენ მათ მიერ მომზადებული უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების მიღების აუცილებლობას; მეორე მხრივ, თბილისელების სათანადო მხარდაჭერისა და საკრებულოში ძლიერი დეპუტაციის გაყვანის შემთხვევაში, დედაქალაქის დონეზეც შევძლებთ საჭირო გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებას, რაც, საპარლამენტო მოღვაწეობასთან ერთად, ქვემოთ დასახელებული პრობლემების ერთობლივად და კომპლექსურად გადაწყვეტის შესაძლებლობას მოგვცემს.

### მეანაბრეთა უფლებების დაცვა

სახელმწიფოს მოსახლეობის ვალი აქვს აღებული: ხალხმა თავისი შრომითი დანაზოგები სალაროებში შეიტანა იმ მიზნით, რომ ფულიც შეენახა და მოგებაც ენახა. ეს გარანტია მათ გაუცრუვდათ – სახელმწიფომ ისინი მოატყუა და ხალხისაგან აღებული სესხი უკან აღარ დააბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აღიარებს ამ ვალს, 1992 წლიდან დღემდე ატყუებს მოსახლეობას და უტიფრად ცდილობს დიდხანს გააგრძელოს ეს პროცესი. იმისათვის, რომ ვაიძულოთ ხელისუფლება და მოსახლეობაც დაცული იყოს, ერთადერთი სწორი გამოსავალია პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი კანონი, რომელიც აღადგენს 1991 წლამდე შეტანილი ფულის დაბრუნების გარანტიებს. კანონი შეეხება ანაბრებს, პაის, სადაზღვევო შენატანებსა და ობლიგაციებს. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობის გათვალისწინებით, ცენტრალურმა ბიუჯეტმა ყოველწლიურად უნდა გაიღოს ოცი მილიონი ლარი განსაკუთრებული კატეგორიის მეანაბრეთა ვალის დასაფარად. პირველი კატეგორიის მეანაბრეებში შედიან 70 წელს ზემოთ ასაკის ადამიანები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, სამამულო ომის მონაწილეები, დაბადებით ინვალიდი ბავშვების მშობლები და ა.შ.

სახელმწიფომ თავისი ქონებით უნდა უზრუნველყოს ანაბრის გარანტიის შესრულება; რაც იმას ნიშნავს, რომ კოეფიციენტის მიხედვით ანაბრის ფულადი ღირებულება გადაყვანილი უნდა იქნეს ქონების აქციებში და გაიცეს ქონებაზე აქციათა საკუთრების მოწმობა. ე.ი. მეანაბრე გახდება ქონების მესაკუთრე.

ცენტრალურმა ბიუჯეტმა ყოველწლიურად უნდა გაისტუმროს მეანაბრეთა მიერ ბანკებიდან მიღებული სესხის მომსახურება კომერციულ ბანკებში. სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 50 მილიონ ლარს, ხოლო სესხის საპროცენტო მომსახურების ოდენობა, რაც ბიუჯეტმა ყოველწლიურად უნდა გაისტუმროს, 11 მილიონ ლარს.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც სახელმწიფოსთან საგადასახადო-საბიუჯეტო ურთიერთობებში ვალი დაუგროვდათ, უფლება ეძლევათ, სათანადო ანაბრების წარდგენის შემთხვევაში, დაფარონ ანუ გაქვითონ სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება.

გაკოტრების დროს აუქციონის პროცესში სახელმწიფო ქონებაზე ანაბარი მონაწილეობს ფულადი თანხების სახით და აქვს საგადამხდელო მნიშვნელობა.

"ალორძინების" მიერ მომზადებული კანონით, სახელმწიფო ვალდებულია, სახელმწიფო შეკვეთებზე ტენდერებში უპირატესი უფლება მიანიჭოს მეანაბრეთა მიერ შექმნილ იურიდიულ პირებს.

სახელმწიფო ასევე ვალდებულია, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარდგენილი პროგრამები შეიმუშაოს მეანაბრეთა ინტერესების გათვალისწინებით და ამ მიზნით მიღებული სესხები და გრანტები გამოყოფილი იქნეს მეანაბრეთა შრომით საქმიანობაში ჩართვისა და მცირე ბიზნესის შესაქმნელად.

სახელმწიფო ასევე ვალდებულია, სესხებისა და გრანტების განაწილების კომისიებში წევრებად შეიყვანოს მეანაბრეთა საბჭოს მიერ წარდგენილი პირები.

კანონით, ამ ვალდებულებათა კონტროლისათვის იქმნება მეანაბრეთა საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის მეანაბრეთა ფონდს.

### სოციალური პრობლემატიკა

მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ მოქალაქეებს სოციალური სახელმწიფოს აშენების თავისი მორიგი საარჩევნო დაპირება შესთავაზა, ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ხელისუფლება საკუთარ ხალხზე ძალადობს, როდესაც მინიმალურ ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის არსებულ ხუთმაგ, ხოლო პენსიებთან მიმართებაში – ათმაგ სხვაობას ინარჩუნებს. ჩვენ ვიცით, რამდენად გულუხვად იძლევა ჩვენი ხელისუფლება დაპირებებს, თუმცა, ოფიციალური განცხადებით, 2006 წლისთვის, თურმე, მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმის 80%-ს უნდა შეადგენდეს – ეს სხვა არაფერია, თუ არა "იმედის" სეკვესტრი.

არ არის სისტემაში მოყვანილი სოციალური კანონები და არ არის ზუსტად აღრიცხული ამა თუ იმ დახმარების მიმღები კონტინგენტი. შემოსავლების არათანაბარი განაწილების თანაფარდობა, რომლის კრიტიკულ ზღვარსაც საქართველო სამჯერ აჭარბებს, საშუალო ფენის გაქრობის ოფიციალური დადასტურებაა.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საპენსიო სისტემა, რომელიც სასწრაფო გარდაქმნას საჭიროებს. საპენსიო დავალიანება 100 მლნ. ლარს შეადგენს. ევროპული სტანდარტებით, ოპტიმალური საპენსიო სქემა გულისხმობს სამ გადამხდელს ერთ პენსიონერზე. ჩვენთან ერთ გადამხდელზე ერთი პენსიონერი მოდის.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უკვე არსებული შეღავათების შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობა, რის გამოც მოქალაქეები, რომლებსაც გარკვეული შეღავათები ეკუთვნით, იძულებულნი არიან სამინისტროებისა და გამგეობის ჩინოვნიკებთან არკვიონ საკუთარი უფლებები.

ჩვენი ინიციატივებია:

1. მინიმალური ხელფასის გათანაბრება საარსებო მინიმუმთან 2003 წლიდან, აგრეთვე – "მინიმალური ხელფასის შესახებ" კანონის სასწრაფოდ მიღება, სადაც დაფიქსირდება მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ნორმა;
2. საპენსიო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესახებ კანონების სასწრაფო მიღება, რაც არსებული საპენსიო სისტემიდან გადაგვიყვანს ისეთ სისტემაზე, სადაც ყველა პენსიონერი მიიღებს იმ რაოდენობის საპენსიო თანხას, რამდენი სოციალური დაზღვევის შენატანიც ექნება მთელი შრომითი საქმიანობის მანძილზე;
3. სოციალურ კანონთა კოდექსის მიღება, რაც ერთიან სისტემაში მოაქცევს ყველა სახის სოციალურ კანონს (კოდექსის მიღებით აღარ მოხდება პოლიტიკური დივიდენდების მიღების მიზნით კანონების ლობირება);
4. ადგილობრივ ბიუჯეტებში სოციალურ დაფინანსებაზე განისაზღვროს ბიუჯეტის არანაკლებ 40% – არსებული 10%-ის ნაცვლად. (ეს გამოიწვევს მუნიციპალური პროგრამების სრულ დაფინანსებას (დღევანდელი მონაცემებით, ეს პროგრამები მხოლოდ 20-25%-ით ფინანსდება).
5. სოციალური დახმარების გაცემასა და არსებულ შეღავათებზე ინფორმაციის მოსახლეობისათვის გასაგებად მიწოდება ქალაქის დონეზეც.

### ახლადშექმნილი ოჯახების ბინებით უზრუნველყოფა

საქართველოში შობადობა კატასტროფულად მცირდება. შობადობის შემცირებასა და ბუნებრივი კლების ოფიციალურ დონეზე დაფიქსირებასთან ერთად (ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა შეადგინა -0,2); ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა 14 წლამდე ასაკის და გაიზარდა 60 წელს ზევით მოსახლეობის რიცხვი. ამან შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მკვეთრად შეამციროს შრომისუნარიანი (მათ შორის წვევამდელი) მოსახლეობის რიცხვი, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის ქვეყნის, როგორც შრომითი, ასევე სამხედრო აღწარმოების პროცესს. რეალურად საქმე გვაქვს ერის დაბერების პროცესთან.

ეროვნული გენოფონდის გადარჩენის მიზნით ჩვენ გთავაზობთ:

"ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერის შესახებ კანონის" მიღებას, რისი აუცილებლობაც ასახულია ევროპის სოციალური ქარტიის მე-16 ძირითად მუხლში. ქარტიის ამ ძირითადი მუხლის რატიფიცირება საქართველოს მიერ ხელმოწერიდან 3 წელიწადში უნდა მომხდარიყო, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ჩვენ მიერ მომზადებულია ახლადშექმნილი ოჯახების ბინებით უზრუნველყოფის კონკრეტული პროგრამაც.

ეს პროექტი ითვალისწინებს თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე ყოველწლიურად 50 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მშენებლობას (50 კვ.მ. ფართის 1000 ბინა).

თითოეული ბინა იქნება მატერიალური სახით გამოხატული გრძელვადიანი (25-50 წელიწადი) იპოთეკური ფულადი სესხი, რომლის დაფარვაც მობინადრეს არ გაუჭირდება.

პროექტის არსებითი ღირებულება, გარდა იმისა, რომ იგი მოწოდებულია აალორძინოს ქართული გენოფონდი, მდგომარეობს იმაში, რომ, სრულიად რეალური გათვლებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი დამოუკიდებლად, თბილისის ბიუჯეტის დახმარების გარეშე იმუშავებს.

### თბილისის საბინაო ფონდი და მიწისძვრის შედეგები

ყოველ თბილისელს აღელვებს, როგორ სახლსა და ბინაში ცხოვრობს. ეს ნებისმიერი ჩვენგანის ოჯახის მუდმივი საზრუნავია.

თბილისის საბინაო ფონდის 80 % ავარიულია! ამ წინადადების წაკითხვისას იქნებ სწორედ თქვენი საცხოვრებელი დაგიდგეთ თვალწინ!

ზემოთქმული უფრო მეტად თბილისის ძველ, ისტორიულ უბნებსა და ე.წ. "ხრუშჩოვკების" ტიპის სახლებს ეხება, რომლებსაც, თავის დროზე, მხოლოდ დროებითი, ოცდახუთწლიანი რესურსით აშენებდნენ. ვადა გავიდა, მაგრამ პრობლემის მოხსნაზე არავის უზრუნია – ბევრ ხელისუფალს თბილისი ხომ მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდება! ის, რომ ბევრი შენობა ამორტიზებულია, უკანასკნელმა მიწისძვრებმაც სავალალოდ დაადასტურა.

ჩვენი ინიციატივები და წინადადებებია:

- ოპერატიულად აღიწეროს მთელი საბინაო ფონდი, ზუსტად შეფასდეს, რომელი საცხოვრებელი სახლი რა მდგომარეობაშია, ამის მიხედვით მოხდეს კატეგორიათა მინიჭება;
- ავარიულ სახლთა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან;
- შეიქმნას მუნიციპალური ფონდი (რომელიც, სხვა წყაროებთან ერთად, თბილისის ბიუჯეტიდანაც დაფინანსდება) და უკვე 2003 წლიდან დაიწყოს პირველი რიგის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები აღწერის შედეგად მინიჭებული კატეგორიების შესაბამისად;
- შეიქმნას ექსტრემალურ სიტუაციებში (მაგალითად, მიწისძვრების დროს) შესაბამისი საქალაქო სამსახურების ოპერატიული მოქმედების სისტემა (ზუსტად განსაზღვრული დაფინანსებით), რათა ასეთ შემთხვევებში თითოეულმა მოქალაქემ და ოჯახმა პირველივე წუთებიდან იგრძნოს სახელმწიფოს რეალური თანადგომა, ზრუნვა და დახმარება;

ამგვარი სისტემის არსებობის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მიმდინარე წლის აპრილში მომხდარი მიწისძვრის დროს. ჩვენთვის ადამიანური ტრაგედია არასოდეს იქნება პოლიტიკური ქულების დაგროვების საშუალება, ამიტომაც "ალორძინება – XXI" მხარს უჭერს სტიქიურ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციისათვის მიმართულ ყველა პროგრესულ ინიციატივას, იმისგან დამოუკიდებლად, ჩვენი პარტნიორებისაგან მომდინარეობს ეს ინიციატივა თუ ოპონენტებისაგან.

რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, იგი სრულიად კონკრეტულია – მიწისძვრით დაზარალებულმა ყველა ოჯახმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ადეკვატური მატერიალური (და არა ფინანსური) კომპენსაცია.

ამისათვის საკმარისია გადაისინჯოს ხელისუფლების მიერ გატარებული საპრივატიზაციო პოლიტიკა და თავხედურად, ყოველგვარი კანონმდებლობის დარღვევით "პრივატიზებული" საცხოვრებლად ვარგისი და არასაცხოვრებელი ფონდი დაუბრუნდეს მფლობელს – დედაქალაქის მოსახლეობას. ჩვენი გაანგარიშებით, ამ გზით გამოთავისუფლებული საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდი რამდენჯერმე მეტი იქნება, ვიდრე მიწისძვრით დაზარალებულთა მოთხოვნილებაა.

რაც შეეხება დანგრეული შენობების ადგილზე დაგეგმილ საბინაო მშენებლობას, დაზარალებულმა მოსახლეობამ დაუყოვნებლივ კომპენსაციასთან ერთად უნდა მიიღოს სათანადო გარანტიებიც.

### კოოპერატიული ბინათმშენებლობების პრობლემა

საქართველოში დღეს 22 500 ოჯახია, რომლებმაც 1990 წლამდე სახსრები ჩადეს კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში, მაგრამ მათი საპაიო შენატანები სრულად გაუფასურდა.

მათ ანგარიშებზე დღეს სულ რაღაც 6 000 ლარია, მაშინ როდესაც მიყენებული ზარალი 150 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება.

1998 წლის 12 ივნისის საქართველოს კანონით "სახელმწიფო ვალის შესახებ" გათვალისწინებული იყო ამ სახის შიდა სახელმწიფო ვალის გასტუმრება 2005 წლამდე, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა. არადა ამ მძიმე სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისია მხოლოდ სახელმწიფოს კეთილი ნება. მისგან მინიმალური ფინანსური მხარდაჭერის პირობებში ჩვენს მიერ გათვლილი პროგრამა ამუშავდება და რეალურ შედეგებს მოიტანს.

"ალორძინებას" აქვს პრინციპული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოდის დაზარალებული ოჯახების მხარდამჭერად და დამცველად.

ჩვენ ვიცნობთ ამ პრობლემას, ვაცნობიერებთ, რომ დღევანდელი მიდგომებით იგი ვერ გადაწყდება. გვაქვს პრინციპულად ახალი მოდელი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საკმარისი ოდენობის სახსრების მოზიდვა ისეთ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, რომელთაც აქვთ სათანადო გამოცდილება ამ ტიპის პრობლემათა საფინანსო ბაზის ფორმირებაში.

ჩვენი წინადადებებია:

- სახელმწიფოს მიერ სრულად იქნეს აღნუსხული დაუმთავრებელი ბინათმშენებლობის ამხანაგობები;
- მოხდეს სახელმწიფო დავალიანების ინვენტარიზაცია – ანუ ზუსტად განისაზღვროს, ვისი და რამდენი მართებს სახელმწიფოს;
- დაიხვეწოს ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, განისაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულებები კონკრეტული მოქალაქის წინაშე და დადგინდეს ამ ვალდებულების შესრულების წესი და ვადები.

### ელექტროენერგიის საფასურის შემცირება

თბილისის ენერგოსისტემაში დიდძალი ინვესტიციები ჩაიდო, მაგრამ რეალური შედეგები მაინც არ არის სახარბიელო. დედაქალაქის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, რასაც უამრავი ხარვეზი ახასიათებს, თბილისელების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ფაქტია, რომ მოქალაქეს აიძულებენ პირნათლად შეასრულოს ვალდებულებები მიმწოდებლის წინაშე, მაგრამ მოქალაქის წინაშე ასაღები ვალდებულებები წლების განმავლობაში ნაკლებად ახსენდებათ.

ჩვენი ინიციატივით, 2001 წლის 12 აპრილს ჩატარდა საჯარო მოსმენა, რასაც შედეგად მოჰყვა სემეკ-ის №29 გადაწყვეტილება, რომლითაც თელასს დაევალა:

1. დაუყოვნებლივ აღადგინოს ქ. თბილისის ელექტროენერგიით უწყვეტი (24 საათიანი) მომარაგება;
2. მომხმარებლისთვის ელექტროენერგიით მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე "AES თელასმა" შეწყვიტოს თელასის აქციათა 75%-ის პრივატიზებამდე, ანუ 1999 წლის 4 იანვრამდე, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი ვალების ამოღება. საკრებულოში ჩვენ პრინციპულად დავაყენებთ არარეალურად გაზრდილი ტარიფის შემცირების საკითხს!

ასევე "ალორძინების" ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, სემეკ-მა 2001 წლის 20 ნოემბერს მიიღო №10 დადგენილება, რომლითაც "AES თელასი" დაავალდებულა, ყველა კატეგორიის მომხმარებელთან გაეფორმებინა შესაბამისი ხელშეკრულება.

მიუხედავად ამისა, "AES თელასი" არ ასრულებს ამ გადაწყვეტილებებს, რითაც უხეშად არღვევს თბილისის მოსახლეობის კანონიერ უფლებებს.

"ალორძინებამ", როგორც ამ უფლებათა თანმიმდევრულად დამცველმა, 2002 წლის 7 თებერვალს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში სარჩელი შეიტანა "AES თელასისა" და მერიის ენერგეტიკის სამსახურის (რომელიც თელასის აქციათა 25%-ის მფლობელია) წინააღმდეგ.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოვიგებთ ამ პროცესს, რითაც შევქმნით პრეცედენტს იმისა, რომ "AES თელასს", ისევე როგორც ნებისმიერ ქართულ თუ უცხოურ კომპანიას, რომელიც დამკვიდრდება საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, უსათუოდ მოუწევს მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინება და დაცვა!

ჩვენ არ გვაქვს მხოლოდ მოვალეობები, ჩვენ უფლებებიც გვაქვს!

"ალორძინება" ყოველთვის უნდა გეგულებოდეთ ამ უფლებათა ძლიერ დამცველად!

### "თბილგაზის" მომავალი

დღის წესრიგში დგას თბილისისათვის სასიცოცხლო დანიშნულების მქონე საწარმო 'თბილგაზის" უცხოურ კომპანიაზე მიყიდვის საკითხი, თუმცა, სამწუხაროდ, არავინ ითვალისწინებს საწარმოს რეალური მეპატრონის – თბილისის მოსახლეობის ინტერესებს. სწორედ ჩვენი, თბილისელების, მიერ გაღებული თანხებით გახდა შესაძლებელი 'თბილგაზის" სისტემის აღდგენა, მრიცხველების დამონტაჟება, სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური სამუშაოების შესრულება. თითოეული თბილისური ოჯახის მიერ შეტანილმა თანხებმა საერთო ჯამში 10 მლნ. დოლარს გადააჭარბა, მაშინ, როცა ხელისუფლების მიერ საწარმო ტენდერზე 4 მლნ. ლარადაა გატანილი.

ჩვენი წინადადებები ითვალისწინებს:

1. „თბილგაზის“ პრივატიზაციის პროცესის შეჩერებას, საწარმოში მოსახლეობის წილისა და საწარმოს ქონების შეფასებამდე;
2. „თბილგაზის“ პრივატიზაციის განხორციელებას სამართლიანი პირობებით.
3. საწარმოში არსებული მძიმე ფინანსური სიტუაციის გამოსწორების კონკრეტული პროგრამის რეალიზებას, რაც გაზმომარაგების სისტემაში ტექნიკური და კომერციული დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს.

### განათლება

განათლება ყოველთვის იყო და ახლაც რჩება "ალორძინების" არსებით პრიორიტეტად. იქ, სადაც „ალორძინება“ რეალურ ხელისუფლებას ფლობს, ყოველთვის გადაწყვეტილია სკოლების მატერიალური უზრუნველყოფისა და პედაგოგების ხელფასების გაცემის საკითხები. თუ საქართველოში სხვაგან დაფინანსებული არ არის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებები, ბათუმში ეს პრობლემა არ არსებობს.

"ალორძინება" საგანგებოდ ზრუნავს უმაღლეს განათლებაზეც, რისი ნათელი დასტურია ბათუმის უნივერსიტეტის ფაქტობრივად ახალი შენობის აგება და მისი მოწყობა უაღრესად თანამედროვე დონეზე.

თბილისის საკრებულოში ჩვენ მიერ რეალიზებული იქნება შემდეგი ინიციატივები:

1. თბილისის განათლების სისტემის მართვის თანამედროვე ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბება;
2. დედაქალაქის სასკოლო განათლების განვითარების პროგრამის ჩამოყალიბება და განხორციელება;
3. სკოლებისა და ბაგა-ბაღების პედაგოგ-აღმზრდელთა შრომის დროულ ანაზღაურებაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება;
4. სკოლის მენეჯერთა მომზადება თანამედროვე პროგრამის საფუძველზე;
5. პედაგოგთა მეთოდიკური დახელოვნების ახალი სისტემის ჩამოყალიბება;
6. საშუალო სკოლების რეიტინგული სისტემის ჩამოყალიბება-დანერგვა და ამის საფუძველზე ყოველწლიურად ხუთი საუკეთესო სასწავლებლისთვის განვითარების გრანტის გამოყოფა;
7. სკოლის დირექტორებისა და ყოველი ძირითადი საგნის პედაგოგებისათვის პროფესიული ყოველკვარტალური ჟურნალების გამოცემა;
8. თბილისის სკოლების საზღვარგარეთულ სკოლებთან დაკავშირებისა და პარტნიორული თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება;
9. მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პოპულარიზებისა და გავრცელების სისტემის შექმნა.

### უფასო მუნიციპალური საავადმყოფოები

ამ სისტემაში დაწყებული რეფორმების მიუხედავად ჯანდაცვა მიუწვდომელი რჩება მოსახლეობის 95%-თვის. საქართველოში მოქმედი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, ძვირადღირებული კერძო კლინიკების არსებობა საბაზრო ეკონომიკის დამსახურებაა და არა ჯანდაცვის რეფორმისა. სავალალოა ექიმთა მდგომარეობაც – დღეს მოქალაქისათვის არცთუ იშვიათად ექიმი აღიქმება არა როგორც მკურნალი და მზრუნველი, არამედ, როგორც პოტენციური გამომძალველი, რაც ერთნაირად მიუღებელია, როგორც პაციენტებისთვის, ისე ექიმებისთვის.

ჩვენი წინადადებებია:

1. სახელმწიფოს მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯების სრულად დაფარვა (დღეისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება მხოლოდ 25%);
2. პირველადი ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ხარჯების სრული დაფარვა (ეს ხელს შეუწყობს სტაციონარების გარეთ დახმარების მიღებას, რაც გაზრდის დაავადების ადრეულ დიაგნოსტირებას და აქედან გამომდინარე, შეამცირებს ჯანდაცვაზე ეროვნულ დანახარჯებს);
3. საბაზო სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის მიღწევა, რისთვისაც მომზადებულია კანონპროექტი "ნებაყოფლობითი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის შესახებ". თბილისის მასშტაბით შესაძლებელი იქნება აღნიშნული კანონის პროგრამის სახით განხორციელება;
4. სამედიცინო პროგრამების ოპტიმიზაცია და ექიმების ხელფასების გაზრდა (სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებული თანხიდან სახელფასო ფონდის არანაკლებ 50% განსაზღვრით);
5. "ალორძინება – XXI" განახორციელებს უფასო მუნიციპალური საავადმყოფოების შექმნისა და ფუნქციონირების მსოფლიოში აპრობირებულ და აღიარებულ პრაქტიკას.

### კულტურის პოლიტიკა

ქვეყნის კულტურული სახე ნებისმიერი ხალხის უწინარესი სავიზიტო ბარათია. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა კულტურას საკმაოდ მძიმე დაღი დაასვა, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს კი სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

"ალორძინება – XXI"-ეს გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს კონცეპტუალური ხედვა, რაც, ამომრჩეველთა მხრიდან სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს ახალ სახელმწიფო პოლიტიკას კულტურის სფეროში.

სახელმწიფო პოლიტიკა ხელოვნების სტიმულირებისა და ხელშეწყობის ისეთ ეკონომიკურ წინამძღვრებს უნდა ქმნიდეს, რაც როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს ეროვნული კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ზრუნვის სურვილს გაუჩენს.

აუცილებელია კულტურის სფეროში "სპონსორობისა და მეცენატობის შესახებ" კანონის მიღება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კულტურის პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა – უნდა შეიზღუდოს პრაქტიკა, როდესაც სახსრები სუბსიდიების სახით უპირობოდ, საკონკურენციო გარემოს შეუქმნელად გაიცემა.

ეს საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ სპეციალური პროგრამები, როგორც პროფესიული, ისე ხალხური ხელოვნების კონკურენტუნარიანი წარმომადგენლებისა და ჯგუფების მხარდასაჭერად – უნდა ვეხმარებოდეთ და ხელს ვუწყობდეთ იმას, რაც უცილობლად ღირებულია!

### ჯანსაღი ცხოვრების წესი

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება "ალორძინება – XXI"-ეს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია დიდი სპორტის განვითარება, თუმცა არანაკლებ ანგარიშგასაწევ ფაქტორად მიგვაჩნია სახალხო ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზება და ალორძინება.

ამ მხრივ, ჩვენი კონკრეტული წინადადებებია:

1 თბილისში არსებულ გაუქმებულ სპორტულ ობიექტებს აღუდგეს თავიანთი პირვანდელი დანიშნულება და მოხდეს მათი განახლება-რეკონსტრუქცია, სადაც მოზარდთა წვრთნა მოხდება მაქსიმალურად შეღავათიან ფასებში.

2 საუბნო სპორტული მოედნების რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრები გაუთანაბრდეს მუნიციპალური ბიუჯეტის დაცულ მუხლებს.

### უკანონო მშენებლობები და ბაღ-პარკები

ქალაქის გამწვანებულ ზოლზე მასობრივი შეტევა მიმდინარეობს მათი ხელში ჩაგდებისა და საბოლოო დაუფლების მიზნით. მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც კანონის გვერდის ავლით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების კატეგორიამინიჭებულ ბაღ-პარკებსა და სკვერებს ყიდულობენ და შიგ სხვადასხვა ზომისა და ფორმის არქიტექტურულ "შედევრებს" აშენებენ, რითაც დედაქალაქის ისტორიული სახე მახინჯდება.

ჩვენი წინადადებებია:

1. ჯერ კიდევ გაუჩეხავი ბაღ-პარკების აღწერა, საკუთრების ფორმისა და პრივატიზების კანონიერების დადგენა;
2. მათი მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნება;
3. უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამკაცრება.

ის. მე-7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# „აღორძინება“- XXI სხვები გპირდებიან - ჩვენ ვაკეთებთ!

## (ახალი ინიციატივები)

(მეექვსე გვერდიდან)

ჩვენ მიერ შემუშავებულია ცვლილებები კანონში, რითაც გათვალისწინებულია უკანონოდ აშენებული ნაგებობის დანგრევა, ამასთან საპროექტო ღირებულების ტოლფასი ჯარიმის გადახდა ევალება თვით კანონის დამრღვევს.

*ავტომანქანების მფლობელთა უფლებების დაცვა*

ყოველმა თბილისელმა, შესაძლოა, არ იცოდეს, რომ ტექნიკური დათვალიერების დროს გადასახდელი „საგზაო გადასახადი“ ავტომფლობელს უფლებას აძლევს ისარგებლოს გზით და მანქანა გააჩეროს ყველგან, სადაც ეს აკრძალული არ არის.

უფლება უფლებად, მაგრამ თბილისში ფაქტობრივად, ადგილი აღარ დარჩა, სადაც ავტომანქანის გაჩერება ფასიანი არ იყოს!

თუ სადმე გაჩერდი, ფულიც უნდა გადაიხადო!

ასე რომ, უფლება მოვალეობად იქცა!

რა თქმა უნდა, მანქანის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში „თბილავტოსადგომი“ არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს.

მთელი ამ „საქმიდან“ ქალაქის ბიუჯეტში თვეში 30-35 ათასი ლარი შედის, მაშინ როდესაც, ჩვენი გათვლებით, ამ სფეროში ყოველთვიურად 250 ათას ლარამდე „შავი ფული“ ბრუნავს.

ეს ავტოსადგომები ხშირად გზის სავალ ნაწილზეა განთავსებული, რაც ე.წ. „საცობების“ წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ჩვენი წინადადებაა ჩატარდეს გამჭირვალე ტენდერები საკრებულოსა და საზოგადოების მონაწილეობით, რის შედეგადაც:

- აღნიშნული სფეროდან დედაქალაქის ბიუჯეტში შენატანები 4-5-ჯერ გაიზრდება;
- „სავალდებულო ავტოსადგომების“ რაოდენობა არსებითად შემცირდება;
- „თბილავტოსადგომის“ პასუხისმგებლობა მაქსიმალურად გაიზრდება ავტომანქანების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში;
- „საცობების“ წარმოქმნა მნიშვნელოვნად შემცირდება.

*დედაქალაქის სატრანსპორტო უზრუნველყოფა*

სამარშრუტო მიკროავტობუსების სიმრავლე ქალაქის მაგისტრალებზე მოძრაობის შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

არსებითად შესაცვლელია მიკროავტობუსებით მგზავრობის სატარიფო სისტემაც, რაც დღეს მონოპოლიის პირობებში ყალიბდება.

ჩვენ მიერ დამუშავებულია მგზავრთა გადაყვანის საკითხის მოწესრიგების ხანგრძლივი და მოკლევადიანი პროგრამები.

პირველი გეგმა ითვალისწინებს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის კომპლექსურ გააზრებას – სტრატეგიულ მიმართულებად მივიჩნევთ მასობრივი გადაყვანების ტრანსპორტის (მეტროპოლიტენი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) უპირატეს განვითარებას. გეგმის მიხედვით, მიკროავტობუსების ჩანაცვლება აღნიშნული სამარშრუტო საშუალებებით ეტაპობრივად მოხდება და მისი განხორციელება უარყოფითად არ აისახება როგორც მგზავრთა, ისე მიკროავტობუსების მძღოლთა ინტერესებზე.

მოკლევადიანი პროგრამა უახლოეს ხანში გადაწყვეტს ქ. თბილისის საგზაო ქსელისა და მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის სამარშრუტო ქსელის პრობლემებს. ამ გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები, დგინდება ტრანსპორტის გაჩერების ფიქსირებული ადგილები, შემუშავებულია მიკროავტობუსებით მგზავრობის რეალური ტარიფი, რაც არ აღემატება 25 თეთრს.

„აღორძინების“ პროექტი ითვალისწინებს ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგებას, მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და ბიუჯეტში შენატანების საგრძნობ გაზრდას.

*ბაზრობების პრობლემა დედაქალაქში*

ქალაქის შუაგულში მოქმედი ბაზრობები მრავალ პრობლემასა თუ უხერხულობას ქმნის. ძალიან ხშირად ფერხდება მოძრაობა, მახინჯდება თბილისის იერ-სახე, ირღვევა პროდუქტებით ვაჭრობის აუცილებლად აღსასრულებელი პირობები და წესები.

ეს ბაზრობები პრაქტიკულად უკონტროლოდ ვრცელდება და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობს. არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა (თუ ეს უკვე ფაქტი არ არის!), რომ ჩვენი თბილისი ქალაქ-ბაზრად იქცეს!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ამგვარი საქმიანობით ირჩენს თავს და შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. მეორე მხრივ, ისიც სრულიად აშკარაა, რომ ამ სფეროშიც აქტიურად მოქმედებს სახელმწიფო მაფიის მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური ქაოსი – ბაზრობებზე და ქუჩაში ვერაფერს გაყიდი, თუ სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოს წარმომადგენლებს არაოფიციალური „ხარკი“ არ გადაუხადე. რეალურად, ყოველდღიურად ასეულ ათასობით ლარი იკრიბება, ბიუჯეტში კი პრაქტიკულად არაფერი შედის.

ჩვენი წინადადებებია:

- თბილისის საკრებულოს მიერ ოპერატიულად დამტკიცდეს ბაზრობებისა და გარე ვაჭრობისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილთა ნუსხა;
- დიდი ბაზრობები ეტაპობრივად გატანილ იქნეს ქალაქგარეთ;
- შემუშავებულ იქნეს გადასახადის გადახდისა და გარე-ვაჭრობის უფლების ერთიანი გამარტივებული ფორმა, რაც გამჭვირვალეს გახდის აღნუსხვასა და კონტროლს.

ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ორგანიზებულად, ამ სფეროში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეების კანონიერი უფლებების გათვალისწინებითა და დაცვით.

საკითხის გადაწყვეტა უნდა ნიშნავდეს არა ძალდატანებასა და დაძაბული სოციალური ატმოსფეროს შექმნას, არამედ ადამიანებისათვის უფრო უკეთესი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების შეთავაზებას. რაც მთავარია, ყოველი მათგანისადმი მიდგომა უნდა იყოს ერთნაირი და სამართლიანი. არ უნდა არსებობდეს გამონაკლისები.

*მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა*

მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია, ვინაიდან ყოველ ნორმალურ სახელმწიფოში ამ დარგის წარმომადგენლებზე საბიუჯეტო შენაგანების 80%-ზე მეტი მოდის. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მსხვილი ბიზნესის წახალისება ხდება, რომლის ზურგსუკან სახელისუფლო წრეების პირადი დაინტერესება მოიაზრება.

ჩვენ მიერ დამუშავებულია და განხორციელება კანონპროექტი „თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების წახალისების შესახებ“. ჩვენი წინადადებები ითვალისწინებს: ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში; ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციის გაზრდას, იმისათვის, რომ ამ სტრუქტურებმა დამოუკიდებლად შეძლონ გარკვეული წამახალისებელი ღონისძიებების გატარება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნით.

ის პრინციპები, რაც, თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების შესახებ კანონში უნდა აისახოს, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

1. მცირე და საშუალო სამეწარმეო სუბიექტებისათვის რეგისტრაციის გამარტივება;
2. ფიქსირებული გადასახადის დაწესება;
3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის შესაბამისი დოკუმენტის გაცემა, რომლითაც საგადასახადო სტრუქტურებს აეკრძალებათ საწარმოში შესვლა;

# ნაციონალისტები

## საფუძვლები, პრინციპები, მიზნები და ამოცანები

ქართველი ერი არის ერთ-ერთი მემკვიდრე ოდესღაც დიდი იბერიული მოდგმისა, რომელიც სახლობდა კავკასიიდან პირინეამდე. ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის აუზებში, წინა აზიაში, მცირე აზიასა და ევროპაში, რომელიც იყო პრეისტორიული ცივილიზაციისა და ჰარმონიული მსოფლმიმართების გამთვითცნობიერებელი.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, სხვა მოდგმის ხალხთა ექსპანსიის შედეგად დაიწყო დასუსტება იბერიული მოდგმისა. მისი დიდი ნაწილი დაიღუპა, ან ასიმილირდა სხვა ხალხებში. ერთ-ერთი გადარჩენილი ნაწილი კი ლოკალიზებული იქნა კავკასიის ტერიტორიაზე იბერიულ-კავკასიურ განშტოებად.

ჩვენი სახელმწიფოებრიობა სათავეს იღებს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში.

ეროვნული იდეა – დაფუძნებული სამყაროსადმი ჰარმონიულ მიმართებაზე, მარად იყო ჩვენი წინაპრების თვითშეგნების საფუძველთა საფუძველი.

ეროვნული იდეის ზეობისათვის სხვადასხვა ხანაში იქმნებოდა დროისა და ვითარების შესაბამისი სამოქმედო კონცეფცია.

იმთავითვე, ეროვნული იდეის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იყო ‘ქართლოსის საყდრის“, შემდეგში ქართველ მეფეთა ტახტის ღვთივკურთხეულობის რწმენა.

ქართული ეროვნული იდეის, ღვთისა და ისტორიის წინაშე ქართველი ერის ვალდებულება-დანიშნულების შეგნებით მოხდა საქართველოს მესიანისტური იდეის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იყო წარსულის გენეტიკურ ხსოვნაზე, წარსულიდან და რწმენიდან გამომდინარე დანიშნულების ცოდნაზე, ოპტიმიზმზე, მსოფლმხედველობასა და სულიერ ტრადიციებზე.

ყველაფერმა ამან მოუმზადა ფსიქოლოგიური, სულიერი, ლეგიტიმური და სხვა საფუძვლები საქართველოს გაერთიანებას და დიდი, დიადი საქართველოს შექმნას.

დიდი და დიადი საქართველო დავით IV-ის მიერ აღშენდა მარადიული მოძრაობის, აქტიური წონასწორობის, ეროვნული ვალდებულების, შრომისა და ბრძოლის აუცილებლობის შეგნებით (დავითიზმი); და ეროვნული ინტერესების უზენაესობის დანერგვით ქართველი ერის ცხოვრებაში, ანუ ეროვნული იდეის ზეობით.

ეს ეპოქა საქართველოს ისტორიის იდეალი – ოქროს ხანაა: კეთილშობილურ პრინციპებზე მოწყობილი სახელმწიფო და ერის კეთილდღეობა (თამარის ჰუმანიზმი), ასწლეულების თუ ათასწლეულების მანძილზე დაშორებული ხალხებისა და ტომების კელავ დაახლოება, მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთმეზობლობის ერთიანი რეგიონის ჩამოყალიბება, უძველესი ჰამონიული მსოფლმიმართების იბერიული ძირებიდან ამოსული ეროვნული საზრისის (ქართული რენესანსის) აღორძინება.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ მოდუნება დაუშვებელია!

ისტორიული გამოცდილებიდან და ღვთისა და საქართველოს მესიანისტური იდეისადმი რწმენიდან გამომდინარე გვჯერა, რომ ქართველი ერის მიერ ეროვნული იდეის გლობალური გახსნება-გათავისებით კელავ ჩაისახება ახალი ქართული რენესანსი.

ამიტომ, ჩვენ – ქართველი ნაციონალისტები ვაღიარებთ ეროვნული ინტერესების უზენაესობას ყველა სხვა ინტერესებზე და გადავდივართ აქტიურ მოქმედებაზე.

ნაციონალიზმი არის მოქმედი, აქტიური პატრიოტიზმი. იგი არის ერის გადარჩენის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და აღორძინების ერთადერთი საშუალება.

‘ნაციონალიზმი არის გონების მდგომარეობა დამახასიათებელი განსაზღვრული ხალხისათვის, რომელთაც აქვთ ჰომოგენური კულტურა, ცხოვრობენ ერთად მჭიდრო კავშირში განსაზღვრულ ტერიტორიაზე და აქვთ რწმენა თავიანთი გამორჩეული არსებობისა და საერთო ბედისწერისა. ამ ხალხს აქვს ურთიერთთანაგრძნობის ღრმა შეგრძნება და ლოიალობა საკუთარი ჯგუფისადმი;

ნაციონალიზმი აყენებს თავისი ჯგუფისადმი ერთგულებას უფრო მაღლა, ვიდრე სხვა ერთგულებებს (ლოიალობას) და მოითხოვს სიამაყეს ამ ჯგუფის მიღწევების გამო“ (**ENCICLOPEDIA AMERIKANA V. 19 1966**).

‘ნაციონალიზმი არის რწმენა იმისა, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია გამოავლინოს უანგარო ერთგულება თავისი ერისადმი“ (**ENCICLOPEDIA BRITANICA V. 12 1973-1974**).

‘ნაციონალიზმი არის:

1. მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს ეროვნული ინტერესების უპირატესობას ამავე ერის ჯგუფების, კლასების, ინდივიდების ინტერესებთან შედარებით.

2. ინდივიდთა პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ცდილობს საკუთარი ერის ბატონობა განამტკიცოს ცხოვრების ყველა სფეროში (**PETIT LAROUSE. PARIS 1988**).

ქართული ნაციონალისტური მოძრაობა აცხადებს, რომ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა ხელს არ უშლის ქართველთა ერთობას; არ იგულისხმება ტოტალიტარული სექტები (იხ. ჩემი წერილი ‘აღმსარებლობა და ქართული ნაციონალიზმი“).

ქართული ნაციონალიზმი თანაბრად უპირისპირდება ნაციზმსა და ინტერნაციონალიზმს, იზოლაციონიზმსა და უკონტროლო ინტეგრაციას.

ქართველი ნაციონალისტებისათვის მიუღებელია კომუნისტური, სოციალისტური, ლიბერალური და ყოველგვარი რევოლუციურ-ანარქისტული იდეოლოგია და ტერორისტული მოძრაობა.

ქართული ნაციონალისტური მოძრაობა ცნობს პიროვნების ავტორიტეტს.

ქართული ნაციონალისტური მოძრაობის უზენაესი ხელმძღვანელია ეროვნული იდეა.

ქართველი ნაციონალისტების მიზანია ეროვნული იდეის ზეობა – ნაციონალისტური მოძრაობის მოსვლა სახელმწიფოს სათავეში და – ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.

სახელმწიფო – ბაზისია, რომელზეც უნდა აშენდეს ერის კეთილდღეობა.

ქართული ნაციონალისტური სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულება იქნება ქართველი ერის მარადიული არსებობის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, საზოგადოებაში წესრიგისა და დისციპლინის დამყარება. თანამედროვეობის შესაბამისად უნდა აღორძინდეს შესანიშნავი ქართული თვითმმართველობისა და დემოკრატიის ტრადიციები. საჭიროა აქტიური თავდაცვის სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინის შექმნა და მისი განხორციელება ქართველი ერის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ სფეროების მილიტარიზაციის (გასამხედროების) გზით, რომელიც სჭირდება ჩვენს სამშობლოს შესაძლო სამხედრო აგრესიის მოსაგერიებლად. შეიქმნება ძლიერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, პარალელურად ქართველი ახალგაზრდები გაივლიან ინტენსიურ ფიზიკურ და სამხედრო მომზადებას სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. გაქართულდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლი.

ნაციონალისტური სახელმწიფო იზრუნებს ერის გენოფონდის სიწმინდეზე. ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გზით, გააუმჯობესებს ქართველი ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას საქართველოში არაქართული მოსახლეობის იმიგრაციის (შემოსვლის) შეწყვეტით და მათი რეპატრიაციისათვის (სამშობლოში დაბრუნებისათვის) ხელშეწყობით, ახალგაზრდა ქართველი ოჯახების მატერიალური და მორალური სტიმულირებით ტრადიციული მრავალშვილიანობის აღდგენისათვის, ისეთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნით, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენი სახელმწიფოდან ქართველთა ემიგრაციას.

‘ნაციონალიზმი არის სოციალიზმის ფორმა, რომელშიც ერი აკონტროლებს ყოველგვარ საქმიანობას“ (**DICTIONERY OF AMERICANISM HISTORICAL PRINCIPLES. CHICAGO** 1950), ამიტომ ნაციონალისტური სახელმწიფო დაამკვიდრებს და უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორუფლებიანობას, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია ეროვნული ერთობის მიღწევა.

სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის კეთილდღეობას. უნდა გამოირიცხოს მოსახლეობის მკვეთრი პოლარიზაცია ქონებრივი ნიშნით, არ უნდა დაიშვას მოქალაქეთა ერთი, მცირე ნაწილის ე. წ. ეკონომიკურ-პოლიტიკური ელიტის მკვეთრი გამდიდრება ქართველთა უმრავლესობის გაღატაკების ხარჯზე, რაც უზნეობაა და შესაძლოა გამოიწვიოს კლასობრივი, ფენობრივი ანტაგონიზმი და პერმანენტული სამოქალაქო ომი. ყოველ ქართველს უნდა ჰქონდეს საკუთარი ნიჭისა და სამუშაო ძალების სრული გამოყენებისა და ლაფასების საშუალება.

სახელმწიფო ყველანაირად ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერების განვითარებას, სახელმწიფო უნდა იქცეს შრომისა და ინტელექტის სახელმწიფოდ.

ნაციონალისტურ საქართველოში იქნება ქართული ენისა და კულტურის ჰეგემონია. სახელმწიფოს ზრუნვის საგანი იქნება ქართული კინო, თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებანი, შეიზღუდება ნებისმიერი უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურის ექსპანსია. ამავე დროს მოხდება ყველა ქვეყნის ჭეშმარიტი კულტურული მონაპოვრების ათვისება.

ნაციონალისტური საქართველო კელავ იქცევა კავკასიის წამყვან სახელმწიფოდ. ამისათვის აუცილებელია ჩვენმა ქვეყანამ აღადგინოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობანი კავკასიელ ერებთან. კავკასია უნდა გადაიქცეს მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და კეთილმეზობლობის, კოლექტიური უსაფრთხოების ერთიან რეგიონად, რომელშიც საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და მსოფლიო-ისტორიული მისიის შესაბამისად შეასრულებს წამყვან როლს. ასეთი კავკასია იქნება ერთგვარი სამეგობრო ხიდი მუსულმანური და ქრისტიანული რელიგიების მიმდევართა შორის მთელს მსოფლიოში.

ამასთან ჩვენს ქვეყანას ექნება კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან და ხალხებთან. იგი არ იქნება კარჩაკეტილი სახელმწიფო, მაგრამ საქართველო თავს აარიდებს ყოველგვარ უკონტროლო ინტეგრაციას.

საქართველოს ნაციონალისტური სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვის საგანი იქნება დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართული მოსახლეობა და ქართული ისტორიული ძეგლები.

მომავალში, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს უკანასკნელი ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია.

დღეს, ქართული ნაციონალისტური მოძრაობის წინაშე დგას უწინარესად გადასაწყვეტი ურთულესი ამოცანა, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ისტორიული ძნელბედობის, ბოლშევიკთა ბატონობის, 1991-1992 წლის შეიარაღებული გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის პოლიტიკური, სამათლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური შედეგების დაძლევა.

უმძიმესი იყო ჩვენი წარსული, დიდია დანაკარგები, მტკივნეულია და თითქოს უიმედოა აწმყოც, მაგრამ გვწამს – შეურყეველი რწმენით, მუხლჩაუხრელი შრომით და თავგანწირული ბრძოლით ჩვენ შევძლებთ დიდი საქართველოს აღდგენას.

საქართველო, ქართველობა უწინარეს ყოვლისა!

გიორგ (გია) მაჭარაძე,
ქართველ ნაციონალისტთა ერთობის მეთაური.

# „საქართველოს ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა: თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა“

ნოე ჟორდანია. 1893წ.

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

## საარჩევნო პლატფორმა

*დღევანდელი მდგომარეობა*

სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია კელავ უარესდება, ეკონომიკა იმყოფება ღრმა კრიზისულ მდგომარეობაში. მაღალია უმუშევრობის დონე, საშუალო ხელფასი ორჯერ ჩამორჩა საარსებო მინიმუმს. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მოექცა სიღატაკის ზღვრის დაბლა, რის გამოც სწრაფად იზრდება კორუფცია და სხვა სახის დანაშაული. საქართველოს მოქალაქეები პრაქტიკულად სოციალურად დაუცველია, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ქვეყნის მომავლის უზრუნველყოფის სფეროოები (ჯანდაცვა, მეცნიერება, კულტურა, განათლება) სახეზეა შინაგანი ცხოვრების კრიზისი. ეროვნული თვითმყოფადობის წარეცხვა. კრიზისულ მდგომარეობაშია ქალაქის მეურნეობა, რომელიც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის გაჭიანურებაში.

*უახლოესი მიზანი*

სოციალ-დემოკრატებისათვის მთავარი ფასეულობაა დემოკრატიის დამკვიდრება, რომელიც უნდა აისახოს საქართველოს მოქალაქეების თავისუფალ განვითარებასა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდაში. ამ ასპექტში სოციალ-დემოკრატების უპირველესი ამოცანა იქნება სამოქალაქო ომის, სოციალური, რელიგიური და ნაციონალური კონფლიქტების თავიდან აცილება. ჩვენ შევეცდებით მეწარმეებთან ურთიერთობა ავაგოთ სოციალური პარტნიორობის საფუძველზე, რომელშიც, შრომითი ხელშეკრულების უთუოდ დადების ბაზაზე მიღწეული იქნება წარმოების შედეგის (მოგების) სამართლიანი განაწილება საარსებო მინიმუმის ანაზღაურების პირობის აუცილებელი დაცვით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი სტაბილურობა.

საარსებო მინიმუმის მიღწევის შემდეგ, პირველი რიგის ამოცანა გახდება ეკონომიკის სწრაფი კრიმინალიზაციის შეჩერება. ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ გამოვიყენოთ საგანგებო ზომები დანაშაულებასთან ბრძოლაში, გავამკაცროთ ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ ადამიანთა სიცოცხლესა და მათ ქონებას. ჩვენ გამოვიყენებთ შინაგან ჯარს კრიმინალური საშიშროების რაიონებში მუდმივი პატრულირებისათვის. ამავე დროს მკაცრად დავიცავთ საზოგადოების ყველა წევრის სამოქალაქო უფლებებს.

მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშიც ადგილი აქვს სისხლის ღვრას. ავარიები წარმოებასა და ტრანსპორტზე იწვევს ადამიანთა დაღუპვასა და დასახიჩრებას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ტექნიკისადმი, ტექნოლოგიური პროცესისადმი, ტრანსპორტისა და გზებისადმი უგულო დამოკიდებულება. ჩვენ უზრუნველყოფთ ყველა რანგის ხელმძღვანელის პერსონალურ პასუხისმგებლობას.

საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლეს ემუქრება სხვადასხვა სახის დაავადებები. სიცოცხლის საკითხი დაკავშირებულია აუცილებელი წამლების მოპოვებასთან. სოციალ-დემოკრატების ამოცანა იქნება მედიკამენტების უმნიშვნელოვან სახეებზე დაბალი ფასის დაწესება ბიუჯეტის ხარჯზე და მათი კომერციული გადაყიდვის აკრძალვა.

სოციალურ სფეროში სოციალ-დემოკრატების პირველი ნაბიჯი იქნება ხელფასებზე და პენსიებზე სახელმწიფო და კერძო სექტორის დავალიანების დაუყოვნებელი დაფარვა, შემნახველ სალაროებში მოსახლეობის დანაზოგის სამართლიანი კომპენსაცია ახლანდელი ფასების გათვალისწინებით. კოოპერატიული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დავალიანების დაფარვა.

არჩევნებში გამარჯვება სოციალ-დემოკრატებს შესაძლებლობას მისცემს დააწესოს ფიქსირებული ფასები პირველად მოხმარების საგნებზე, ბინის ქირისა და ტრანსპორტის მგზავრობაზე. დაწესდება ხელფასის და პენსიის მინიმუმი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს!

შემოხაზეთ 37

# „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება – ეროვნული ფორუმის“

# საარჩევნო პლატფორმა

XX საუკუნის ბოლოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიაღწია თავის უმთავრეს მიზანს - ჩვენი სამშობლო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, დე-იურე აღიარა მთელმა მსოფლიო თანამეგობრობამ და დადგა ამ მოძრაობის ახალი ეტაპი: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფაქტობრივი მოპოვებისა და შენარჩუნება-განმტკიცების ხანა.

ამასთან, ჩვენი ხალხის წინაშე უპირველეს პრობლემად დგას ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა, რაც შესაძლებელია მხოლოდ 1991-92 წლებში მომხდარი სამართლებრივი წყვეტის შედეგების დაძლევის გზით.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთი ნაწილის მიერ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინებისა“ და „საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის“ ინიციატივით აღორძინებული და ხელმეორედ დაფუძნებული „საქართველოს ეროვნული ფორუმი“ არის ცენტრისტული გაერთიანება, რომლის ძირითადი პრინციპებია:

1. სამართლებრივი და კანონიერი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-აღორძინებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა;

2. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობანი, დამოუკიდებლად შესძლოს პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა და კავკასიის სტაბილურ რეგიონად გადაქცევა;

3. საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფოს საზღვრებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების ნორმატიული ბაზების შექმნა;

4. ისეთი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც გაცხადდება და განივთდება ქართველი ხალხის ნება. ერი ხომ ჩვენი პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი ცნებაა;

5. საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. მთავარი ამოცანაა ისტორიული ფუნქციის აღდგენა კავკასიაში და ყოველმხრივ თანაბარუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, მშვიდობიანი სახელმწიფო კურსი მსოფლიო ასპარეზზე, გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაში საქართველოს ადგილის დამკვიდრების გაღრმავება, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

6. სახელმწიფოს ეკონომიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას. აქედან გამომდინარე საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები და კომუნიკაციები, ბუნებრივი რესურსები, საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და წიაღისეული;

7. სუვერენული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ხელიუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა, მათი შრომის უფლების რეალიზაცია, სიღარიბის დაძლევა, უნდა შემუშავდეს მთლიანად ქვეყნისა და ასევე რეგიონალური სოციალური პროგრამები, უნდა დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა და სოციალურად ორიენტირებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;

8. საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. საფინანსო სტრატეგიული კონცეფციების რეალიზაცია უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად;

9. სახელმწიფოს თავდაცვის ბაზისის შექმნასა და აღორძინებაში უმნიშვნელოვანესია ეროვნული ღირსების იდეა, რომელიც ქვეყნის ძირითად მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს;

10. მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით უნდა შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. საჭიროა მკაფიო, თანამიმდევრული პოლიტიკური კურსისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დამცავ მექანიზმად ამოქმედდება;

11. სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომლიდანაც გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ღირსების უზრუნველყოფის, თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიულ და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი მშენებლობის საძირკველს;

12. სახელმწიფოს შეფარდებით სამართალს საფუძვლად უნდა დაედოს სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობა, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრეობა;

13. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ;

14. მთლიანად გადასახალისებელია საარჩევნო სისტემა და კანონი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის პრინციპებს, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებს;

15. უნდა განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი რელიგიის შესახებ, რაც მოაგვარებს სახელმწიფოსა და ეკლესიაას შორის ურთიერთობის ფორმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ფორუმი, ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კელავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა. სახელმწიფო ხომ ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობა ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის შემუშავებაა, რომელიც შეცვლის ქვეყნის ბედს და მივაღწევთ იმ ბედნიერებას, რომელსაც დიდი ხანია ვიმსახურებთ.

ძვირფასო ამომრჩევლებო!

თბილისელებო და თბილისში მცხოვრებო დევნილებო (ლტოლვილებო)!

„საქართველოს ეროვნული ფორუმი“ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების პროცესში თქვენ წინაშე წარმოდგა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება-ეროვნული ფორუმის“ სახელით, რომლის რიგითი ნომერია საარჩევნო ბიულეტენში არის 11.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის ჩვენ შემუშავებული გვაქვს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რაც ითვალისწინებს თითოეული თბილისელისათვის საჭირბოროტო საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემათა მოგვარებისათვის მიმართული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

*რას გპირდებით?*

*სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ:*

*ხელფასებისა და პენსია-დახმარება-შემწეობების მინიმალური დონის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებასა და დიფერენცირებას; ინვალიდთათვის ანაბრებზე არსებული თანხების განაღდების პროცესის გაგრძელებას; ვეტერანთა და სხვა ულატაკესი სოციალური ჯგუფებისთვის კანონით მინიჭებული შეღავათების რეალურად ამოქმედებას; მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების მხარდაჭერას; ბავშვთა სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას; ე.წ. ქუჩის ბავშვთა პრობლემის გადაწყვეტას; უფასო ჯანდაცვისა და განათლების სისტემის ქსელის გაფართოებას; პედაგოგთა და მედიკოსთა უფლებების დაცვას; დევნილთა ჩასახლების ადგილებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.*

ამ ვალდებულებათა შესრულების იმედს გვაძლევს ზემოხსენებულ კატეგორიის პირთა რეალური საჭიროებების ცოდნა და ის რეზერვები, რაც დღეისათვის რეალურად არსებობს, მხოლოდ საჭიროა ამ რესურსების პრიორიტეტული განაწილება და მართვის სისტემის გაჯანსაღება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენს პარტიულ სიას სათავეში უდგას *ზაზა სიხარულიძე* - საქართველოს ეროვნული ფორუმის სპიკერი, ღვთისშვილთა კავშირის თავმჯდომარე.

ძვირფასო ამომრჩევლებო!

ჩვენი საარჩევნო დაპირებები რომ შევასრულოთ, აუცილებელია თითოეული თქვენთაგანისა და ამომრჩეველთა უმრავლესობის აქტიური მხარდაჭერა, რისთვისაც საარჩევნო ბიულეტენში უნდა შემოხაზოთ № 11. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება-ეროვნული ფორუმი“.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 130-131. პარასკევი. 31 მაისი. 2002 წელი.

# საარჩევნო ბლოკი

## „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“
## „სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“

# საარჩევნო პროგრამა

დღეს საქართველოში შექმნილია უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფის ზღვარზეა. ეროვნული ეკონომიკის ნგრევის პარალელურად დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაღატაკებისა და მცირერიცხოვანი პრივილეგირებული ოლიგარქების ხალხის ხარჯზე გამდიდრების პროცესი. ტოტალური კორუფცია სუფევს სახელისუფლო სტრუქტურების ყველა დონეზე. განუხრელად იზრდება დაუსაქმებელ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა რიცხვი.

ხელისუფლების მრავალგზისი დაპირება, რომ იგი შეძლებდა რეალური პროგრესის მიღწევას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, წინ აღუდგებოდა კორუფციას და რეალურად გახდებოდა საქართველოს თითოეული მოქალაქის თავისუფლებისა და სტაბილური კეთილდღეობის გარანტი, ცარიელ დაპირებად დარჩა. საქართველოს ხელისუფლება, ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით არათუ არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, არამედ თვითონ წარმოადგენს დესტაბილიზაციის წარმომქნელ მთავარ დამანგრეველ ძალას, კორუმპირებული კლანების მფარველსა და უპირველეს ხელშემწყობს.

შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლება, საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად უკვე ახორციელებს მიზანმიმართულ შეტევას იმ დემოკრატიულ და ეროვნულ ღირებულებებზე, რაც ქართველმა ხალხმა ესოდენ მძიმე ბრძოლისა და სისხლის ფასად მოიპოვა. მიმდინარეობს ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფა, პოლიტიკური ოპონენტების დევნა-შევიწროების მიზნით ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან ერთად კრიმინალური გაერთიანებების გამოყენება, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ექსტრემისტული დაჯგუფებების წაქეზება, დამოუკიდებელი მედიის მოსყიდვისა და ოლიგარქიული კაპიტალისთვის დაქვემდებარების მცდელობა და ეს ყველაფერი კეთდება სრულიად აშკარად, შეუნიღბავად და დაუფარავად.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლების ანტიხალხური პოლიტიკით სერიოზულად ილახება ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი. თვალსა და ხელს შუა დნება ის პრაქტიკულად ერთადერთი მონაპოვარი, რაც ბოლო დროს ქართული დემოკრატიული საზოგადოების დიდი ძალისხმევის წყალობით იქნა მიღწეული. მსოფლიოს თვალში საქართველო ნელ-ნელა იბრუნებს იმ სამარცხვინო სახელს, რომელიც მას დამკვიდრებული ჰქონდა 1991-92 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ – კორუმპირებული მოხელეების და ყაჩაღების ქვეყანა.

თუკი აქამდე ცალკეული ოდიოზური პირები საქართველოს მთავრობაში ერთგვარად ჩრდილავდნენ პრეზიდენტის ფიგურას, დღეს უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მეფე შიშველია!

“ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტის” მიზანია კონსტიტუციური გზით, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების შეცვლა და ეროვნული თანხმობის ნიადაგზე დემოკრატიული, ძლიერი, ხალხის ინტერესების გამომხატველი სახელმწიფოს აშენება.

“ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტის” პოლიტიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

* ეკონომიკა. პოლიტიკური და სახელისუფლო ინტერესთა ჯგუფებისგან გამიჯნული თავისუფალი ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს შექმნა. საქართველოში არ უნდა არსებობდნენ ხელისუფლებისგან პრივილეგირებული და დანიშნული ბიზნესმენები. განსაკუთრებული ყურადღება და ხელშეწყობა – მაღალხარისხოვანი ეროვნული პროდუქციის წარმოებას და ექსპორტს, განსაკუთრებული ყურადღება და ხელშეწყობა – წვრილ და საშუალო ბიზნესს. თანაბარი შანსი ყველასთვის! მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ეკონომიკური ზრდა, რაც საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების საწინდარია.

* სოციალური სფერო. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მოხუცებს და სოციალურად დაუცველ ფენებს, მისცეს მათ ღირსეული ცხოვრების საშუალება. ჩვენ აღმოვფხვრით ქაოსს და განუკითხაობას ამ სფეროში. პენსიონერებისადმი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება – ეს არის სახელმწიფოს მორალური სახე. ჩვენი პრინციპია: პენსიებისა და ხელფასების ქვედა ზღვარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები!

* ჯანდაცვა. საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება – იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე და საჭიროების შემთხვევაში იმკურნალოს. სახელმწიფოსთვის კი ჯანდაცვის სფერო საშინაო პოლიტიკის და საბიუჯეტო დაფინანსების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცევა. ჩვენი საქმიანობა მიმართული იქნება იკითკენ, რომ, ერთის მხრივ, მოხდეს სადაზღვევო სისტემის რეალური განვითარება, მეორეს მხრივ კი, სახელმწიფომ თავად უზრუნველყოს უფასო სამედიცინო დახმარება არასრულწლოვნებისთვის, პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

* ძალოვანი სტრუქტურები. დღეს ქართული ჯარი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და ფაქტობრივად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის ქვეყნების დახმარების ხარჯზე არსებობს. ჩვენ ძირეულად შევცვლით დამოკიდებულებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ, რადგან მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ძლიერი, უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი, პროფესიონალური ქართული არმია შეიძლება იყოს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სტაბილურობის ჭეშმარიტი გარანტი. სხვა ძალოვანი სტრუქტურები საბიუჯეტო დაფინანსების თვალსაზრისით ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი პრინციპული ხედვაა: ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს ყველაზე მაღალი ანაზღაურება ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით ჩვენ პრინციპულად შევცვლით დამოკიდებულებას პროკურატურის, პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ. განვახორციელებთ ძირეულ ინსტიტუციონალურ რეფორმებს, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სრულიად ახალი, ცივილიზებული და თანამედროვე ტიპის სამართალდამცავი სისტემის შექმნას. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სამხედრო მოსამსახურის, პოლიციელისა და პროკურორის პროფესია საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და დაფასებული გახდება.

* განათლება და კულტურა. ეროვნული ყოფის ეს უმნიშვნელოვანესი სფეროები დღეს პრაქტიკულად სახელმწიფოს ყურადღების მიღმაა დარჩენილი. საქართველოს ამ მხრივ სრულიად უნიკალური და უდიდესი პოტენცია აქვს, რომლის ამოქმედებაც სახელმწიფოებრივ ძალისხმევას საჭიროებს. ჩვენი პრინციპული პოზიცია ასეთია: ფუნდამენტური ინსტიტუციონალური რეფორმები საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში, ეროვნული ტრადიციების ბაზაზე თანამედროვე ევროპული სტანდარტების დამკვიდრება. იმავდროულად – განსაკუთრებული ყურადღება პედაგოგებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, სათანადო პირობების უზრუნველყოფა მათი შრომის ღირსეული ანაზღაურებისთვის. ჩვენი პრიორიტეტია: რეალური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მსოფლიო არენაზე გასვლას და დამკვიდრებას.

* თვითმმართველობა. “ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი” გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს თვითმმართველობის ინსტიტუტის ამოქმედებას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ნამდვილი დემოკრატია. ჩვენი პრინციპული პოზიციაა: ცენტრალური და რეგიონული რგოლების უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა, ყველა დასახლებული პუნქტის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის ხელმძღვანელი ორგანოების და პირების სრული არჩევითობა. არჩევითი უნდა გახდეს აგრეთვე მოსამართლეების და და პროკურორის თანამდებობაც.

* საგარეო პოლიტიკა. ევროპული ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, ეს არის ქართველი ერის ისტორიული არჩევანი. ეს არის ის გზა, რომელსაც ადგნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ილია ჭავჭავაძე და სხვა მამულიშვილები. ჩვენ ქართველი ერის ისტორიული არჩევანის ერთგული ვრჩებით და მიგვაჩნია, რომ საგარეო ურთიერთობაში ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედი ევროპულ ორიენტაციასთან ერთად უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესების განხორციელებად გვესახება საქართველოს შესვლა ნატოში და ევროკავშირში. იმავდროულად, ჩვენ ვესწრაფვით, ვიქონიოთ კეთილმეგობრული ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან, და, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან. ჩვენ დამამცირებლად და ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელად მიგვაჩნია ის ვითომდა ბრძნული პოლიტიკა, როცა ყველაზე დიდ სტრატეგიულ პარტნიორად იმ ქვეყანას აცხადებ, რომლის მეთაურსაც პირისპირ ხედები. ჩვენ საერთაშორისო არენაზე მტკიცედ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ თანასწორობის, საერთაშორისო ნორმებისა და სუვერენული უფლებების პატივისცემის პრინციპებით.

სამოქალაქო საზოგადოება. და ბოლოს: რაოდენ დიდი და გულწრფელიც არ უნდა იყოს ჩვენი ძალისხმევა, დღეს საქართველოში ისეა მოდებული კორუფციის მეტასტაზები, რომ ყველაფერი ფუჭად ჩაივლის, თუ ეს ძალისხმევა არ იქნება დაფუძნებული ხალხის მხარდაჭერაზე. და აქ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სამოქალაქო საზოგადოებამ. უმკაცრესი საზოგადოებრივი კონტროლი სახელმწიფო სტრუქტურების ყოველი გადაწყვეტილების განხორციელებაზე, მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმი და თავისუფალ მედიას და უფლებადაცვით ორგანიზაციებს – ეს არის ჩვენი მტკიცე პოზიცია, რადგანაც გვწამს: ნებისმიერი ხელისუფლება მხოლოდ მაშინაა ხალხის ინტერესების გამომხატველი, როდესაც ხალხი რეალურად მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში და თავადვე აკონტროლებს ამ გადაწყვეტილებების განხორციელებას. საქართველოს მომავალი – სამოქალაქო საზოგადოებაა.

ჩვენ ვაპირებთ ვაკეთოთ კონკრეტული საქმეები – ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ. ჩვენ შევძლებთ დავანახოთ ქართულ საზოგადოებას, რომ პოლიტიკოსის სიტყვაც შეიძლება იყოს ფასეული. ჩვენ რეალურად გავატარებთ ცხოვრებაში კანონის უზენაესობის პრინციპს და დავანახებთ საზოგადოებას, რომ კანონი მართლა შეიძლება ყველასთვის ერთი იყოს. კანონი უნდა კანონობდეს!

და კიდევ ერთი: შევარდნაძის ხელისუფლებამ დაამკვიდრა ერთი ფრიად საშიში ტენდენცია. ეს არის გულგატეხილობის და უიმედობის სინდრომი. ხელისუფლება, რომელსაც არანაირი არგუმენტი არ დარჩა თავის სასარგებლოდ, ცდილობს დაარწმუნოს მთელი საქართველო, რომ ამ ქვეყანაში ყველა კორუმპირებულია, ყველა მატყუარაა და არაფრის გამკეთებელი. ხელისუფლება ცდილობს, არ მისცეს ხალხს გაერთიანების საშუალება, მიზანმიმართულად აღვივებს შუღლს ეთნიკურ, რელიგიურ, პარტიულ თუ სხვა რაიმე სიადაგზე. მეთოდი – ძველია და ნაცნობი: გათიშე და იბატონე!

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ხსნა – ჩვენსავე ერთობაშია. ეროვნული თანხმობის მიღწევა ყველა პატრიოტულ და პატიოსან ძალას შორის მთელი საქართველოს მასშტაბით – ეს არის ჩვენი მიზანი, რათა წინ აღვუდგეთ ქართველი ერის დაკნინებასა და ქართული სახელმწიფოს ნგრევას. ჩვენ, განსხვავებული პოლიტიკური ბიოგრაფიის პარტიებმა შევძელით მოგვენახა საერთო ენა და გავაერთიანდით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენ მივაღწიეთ თანხმობას ერთმანეთში – ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ ეროვნულ თანხმობას მთელ საქართველოში!

# საარჩევნო ბლოკი

## „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“
## „სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“

# საარჩევნო პლატფორმა

### ხელშეკრულება თბილისთან

175 მილიონის სამართლიანი განაწილება

საარჩევნო ბლოკის „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი“ - მიზანია საქართველოში შექმნას თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოება, რომელშიაც თითოეული ადამიანი ადგილს დაიმკვიდრებს განათლებისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

ჩვენი მოძრაობა მოგიწოდებთ, მობრძანდეთ 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ვინაიდან ეს არის თბილისის პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე რეალური გზა და პირველი უმნიშვნელოვანესი ეტაპი არსებული ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შესაცვლელად.

ამ არჩევნებზე თქვენი მოუსვლელობა – გაყალბებული ხმის ტოლფასია. ამიტომ, აუცილებელია ყოველი თქვენგანის მონაწილეობა. ჩვენ გპირდებით, რომ დავიცავთ თითოეული თქვენთაგანის ხმას.

ჩვენი ძირითადი მიზნებია:

ყოველდღიურად ვიღვაწოთ დედაქალაქში საშუალო ფენის შექმნისა და გაძლიერებისათვის.

გამოვაცხადოთ თბილისი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ქალაქად, ხოლო საკრებულო ვაქციოთ ამ სფეროს ოფიციალურ მფარველად, რაც გულისხმობს სახელმწიფო რეკეტისგან ბიზნესის დაცვის ვალდებულებას.

ხალხის სასარგებლოდ გადავანაწილოთ ქალაქის 175 მილიონიანი ბიუჯეტი, მოვსპოთ საბიუჯეტო სფეროში არსებული კორუფცია.

შევიმუშავოთ და განვახორციელოთ თბილისში მინიმალური ხელფასის გაზრდისა და მისი საარსებო მინიმუმთან გათანაბრების პროგრამა.

გავატაროთ გადამჭრელი ღონისძიებები თბილისში კრიმინოგენული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქალაქის ნარკომოვაჭრეებისგან გასაწმენდად.

2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის საკრებულოში უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, თბილისელთა წინაშე ვკისრულობთ ვალდებულებას:

I. შევამცირებთ თბილისში ბიუროკრატიულ ხარჯებს და გავამარტივებთ ბიუროკრატიულ პროცედურებს, რისთვისაც:

1. საკრებულოში მოსვლიდან ექვს თვეში ორჯერ შევამცირებთ ბიუროკრატიულ ხარჯებს და დაზოგილ 4 მლნ. ლარს მივმართავთ სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად.

2. სამ თვეში შემოვიღებთ ახალ ადმინისტრაციულ სისტემას, რომლის პირობებშიც ნებართვის, ცნობისა და ლიცენზიის გაცემა განხორციელდება არაუმეტეს 3 დღისა და საგრძნობლად გამარტივდება ლიცენზირების პირობები. აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ფინანსური სანქციები სახელმწიფო მოხელისათვის.

II. უზრუნველვყოფთ თბილისელთა სოციალურ დაცვას, რისთვისაც:

1. ბიუჯეტიდან გამოვყოფთ თანხებს, პენსიონერთა, ინვალიდთა, მრავალშვილიან დედათა, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათი შვილების მეტროთი, ტროლეიბუსით და ტრამვაით უფასო მგზავრობისათვის.

2. ქალაქის ბიუჯეტიდან დავაფინანსებთ თითოეული სკოლის მოსწავლის სახელმძღვანელოს ხარჯის 50%-ს.

3. ქალაქის ბიუჯეტიდან ავანაზღაურებთ ყველა სოციალურად დაუცველი პენსიონერის ელექტროენერგიის ხარჯებს.

4. ყველა ახალშობილისათვის დავაწესებთ პრემიას 100 ლარის ოდენობით, რომელიც მშობიარობის დღესვე გაიცემა.

III. უზრუნველვყოფთ თბილისელთა ჯანმრთელობის დაცვას, რისთვისაც:

1. ბიუჯეტიდან გამოვყოფთ 1,5 მლნ. ლარს, რაც დედაქალაქის მოსახლეობას უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარებით, გარანტირებული იქნება თითოეული თბილისელის მიერ წელიწადში სამჯერ უფასო სასწრაფო სამედიცინო მომსახურება.

2. თბილისის ბიუჯეტიდან დავაფინანსებთ 16 წლამდე მოზარდებისა და 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ყველა სახის სტაციონალურ და ამბულატორიულ მკურნალობას, გარდა ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა.

IV. გავაუმჯობესებთ თბილისში ცხოვრების ხარისხს, რისთვისაც:

1. ექვს თვეში დედაქალაქში დავიწყებთ 20 ახალი წყლის რეზერვუარის მშენებლობას, რაც გადაწყვეტს ყოველი ოჯახის წყლით სადღეღამისო მომარაგების პრობლემას, გაუმჯობესება სასმელი წყლის ხარისხი. ამ მიზნისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან გამოვყოფთ 5 მლნ. ლარს.

2. დაუყოვნებლივ შევიმუშავებთ მიწისძვრის შედეგად დაზიანებული და დანგრეული შენობების შეკეთება-აღდგენის პროგრამას და დავიწყებთ მის განხორციელებას.

3. არ დავუშვებთ გაზის ტარიფის გაზრდას.

4. 7,5 მლნ. ლარს გამოვყოფთ დაზიანებული კორპუსების სახურავების შესაკეთებლად და მრავალსართულიანი ბინების ზედა სართულების წყლით მომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად.

5. აღვკვეთთ გზების მშენებლობაში არსებულ კორუფციას და ამ გზით მიღებული დამატებითი თანხებით უზრუნველვყოფთ გზის საფარის მკვეთრად გაუმჯობესებას.

6. ხელს შევუწყობთ ინდივიდუალური და კოოპერატიული ბინათმშენებლობის განვითარებას.

7. სამ თვეში უზრუნველვყოფთ დედაქალაქის გარე განათების მოწესრიგებას.

V. უზრუნველვყოფთ დედაქალაქის ეკონომიკის განვითარებას, რისთვისაც:

8. გავზრდით თბილისის ბიუჯეტს 200 მილიონ ლარამდე.

9. მივიღებთ შესაბამის ნორმატიულ აქტებს თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვის, ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით.

VI. დავიცავთ საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ღირსებას; რისთვისაც:

1. შევქმნით ვეტერანთა რეაბილიტაციისა და დასაქმების ცენტრს.

2. უკვდავვყოფთ საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. მათ სახელებს მივანიჭებთ თბილისის ზოგიერთ ქუჩასა და მოედანს.

VII. შევინარჩუნებთ თბილისის ისტორიულ იერსახეს; რისთვისაც:

1. მკვეთრად გავამკაცრებთ სამშენებლო ნორმებს და უზრუნველვყოფთ მათ დაცვას.

2. ავკრძალავთ ყოველგვარ მშენებლობას მწვანე ზოლში.

3. დავაწესებთ განსაკუთრებულ კონტროლს ისტორიულ ნაწილში მშენებლობებზე.

4. დავასრულებთ დედაქალაქის საზღვრების დადგენას.

# საქართველო ჩემი სამშობლოა, რუსეთი — ჩემი მეზობელი

**ქართველი სოციალისტების სამშვიდობო აქციას „რუსეთი ჩემი მეზობელია“ - 1000 000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. მემილიონე ხელმოწერა ვაკის სამების ტაძარში დაფიქსირდა, მემილიონე ხელმომწერი ვახტანგ რჩეულიშვილის მოძღვარი, დეკანოზი ილია ნასიძე გახდა.**

ქართველ სოციალისტთა ინიციატივით საქართველოში ექვს თვეზე მეტია, რაც გრძელდება სამშვიდობო აქცია სახელწოდებით: „საქართველო ჩემი სამშობლოა, რუსეთი ჩემი მეზობელია“. აქციის მიზანია აიძულოს საქრთველოსა და რუსეთის ხელისუფალნი შეწყვიტონ ჩვენს ქვეყნებს შორის წლების განმავლობაში არსებული უაზრო დაპირისპირება და ცივი ომი, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთ-საქართველოს ინტერესებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

სოციალისტური პარტიის სამოქმედო პროგრამას საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანია იცნობს, რომლის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და ეხლაც რჩება რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, რაც სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი იქნება.

ქართველ სოციალისტთა ინიციატივით დაწყებულ აქციას თავიდანვე უამრავი მხარდამჭერი გამოუჩნდა, რასაც სულ რამდენიმე თვეში შეგროვილი მილიონზე მეტი ხელმოწერაც ადასტურებს.

” საქართველო ჩემი სამშობლოა, რუსეთი ჩემი მეზობელია”- სოციალისტების ამ აქციას უკვე მილიონმა ადამიანმა მოაწერა ხელი, ალბათ განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ხელმომწერთა შორის არის რუსეთის ათასობით მოქალაქე. სწორედ ამიტომაც ქართველ სოციალისტთა სამშვიდობო აქცია უკვე აშკარად გასცდა პარტიული ღონისძიების ჩარჩოებს და საერთო-სახალხო მოძრაობის სახე მიიღო, რითაც ხალხმა საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ მათ ერთმანეთთან კეთილმეზობლობა და მეგობრობა სურთ.

აქციის ორგანიზატორის, ქართველ სოციალისტთა ლიდერის, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის ინიციატივით ხელმოწერების შეგროვების პარალელურად აქტიური შეხვედრები მიმდინარეობდა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებთან, სადაც განიხილებოდა რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საქართველოში ამ ეტაპზე 1000 000 ხელმოწერა შეგროვდა. თუმცა ვიდრე სპეციალურ დოკუმენტზე მემილიონე ხელმოწერა ოფიციალურად დაფიქსირდებოდა, ვახტანგ რჩეულიშვილმა სამშვიდობო აქციის მთავარი არსი და მიზანი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გააცნო და მიიღო ლოცვა-კურთხევა მემილიონე ხელმომწერის დაფიქსირების სიმბოლური ცერემონიალი ვაკის სამების ტაძრის ეზოში ჩატარებულიყო. საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევითვე, სოციალისტების სამშვიდობო აქციაზე 1000 000 ხელმოწერა ვახტანგ რჩეულიშვილის მოძღვარმა სამების ტაძრის დეკანოზმა ილია ნასიძემ დააფიქსირა.

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა მართლმადიდებელ რუსეთთან კეთილმეზობლობას და მეგობრობას. ყველა აქციას, რომელიც მიმართულია მშვიდობისა და მეგობრობისაკენ მხარს უჭერს ეკლესიაც. სწორედ ამიტომაც მე სიამოვნებით ვხდები მემილიონე ხელმომწერი და მხარს ვუჭერ ვახტანგ რჩეულიშვილის სამშვიდობო აქციას”- ასეთი მოკლე განცხადების შემდეგ დეკანოზმა ილიამ მემილიონე ხელმოწერა დააფიქსირა და დალოცა თავის სულიერი შვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ღვთის მადლითა და შეწევნით წარმატებები უსურვა ერის საკეთილდღეო საქმეში.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი იქნება.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გააქტიურებულ პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ საარჩენო ბატალიებში ახსენდებათ ხალხი და ტრადიციულად ნაირ-ნაირი წინასაარჩევნო დაპირებებით ცდილობენ ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას.

საქართველოს სოციალისტური პარტია ნამდვილად არ განეკუთვნება იმ პოლიტიკურ ძალთა რიგებს, რომლებიც მხოლოდ წინასაარჩენო დაპირებებს არიგებენ და მხოლოდ არჩევნებსი გამარჯვებისათვის იბრძვიან, თუმცა რაღა თქმა უნდა ამომრჩეველთა ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება ჩვენი პარტიის უმთავრესი ამოცანაა. ჩვენსა და სხვა პარტიებს შორის არის ერთი უდიდესი განსხვავება: ჩვენ ქვეყნის გადარჩენის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკის განვითარების რეალურ პროგრამებს ვთავაზობთ საქართველოს მოსახლეობას. ქართველი სოციალისტების სამოქმედო პროგრამის პრიორიტეტი რუსეთთან კეტილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა, შესაბამისად კი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებაა.

ჩვენ სხვა პარტიების მსგავსად ვერ ”მოგაწონებთ” თავს ხელფასებისა და პენსიების მომატებაზე გაკეთებული ცრუ დაპირებებით, ვერც მილიონ სამუშაო ადგილსა და შუქის გადასახადის გაუქმებას შეგპირდებით. ჩვენ გპირდებით რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენასა და რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისათვის ურთულესი გადაუჭრელი პრობლემაა.

საქართველოს სოციალისტურმა პარტიამ რუსეთთან კეთილმეზობლობის მოთხოვნით დაიწყო სამშვიდობო აქცია, რომლის სახელწოდებაა ”საქართველო ჩემი სამშობლოა, რუსეთი ჩემი მეზობელია!” ამ აქციამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა, რისი დასტურიც არის ის 1 000 000 ხელმოწერა, რომელიც რამდენიმე თვეში შეგროვდა საქართველოში.

თქვენ, როგორც ამას საკუთარი ხელმოწერებით გვიდასტურებთ, რუსეთთან კეთილმეზობლობა გსურთ, ჩვენ, ქართველი სოციალისტები კი გპირდებით, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფალთ ვაიძულებთ გაითვალისწინონ ხალხის ნება და შეწყვიტონ ის ”ცივი ომის” პოლიტიკა, რომლის შედეგია საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დღემდე მოუგვარებელი პრობლემა.

გვერწმუნეთ, საქართველოს სოციალისტური პარტიისათვის თვითმიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ყალბი დაპირებებით ამომრჩეველთა ხმების მოპოვება, რადგან პარტია, რომლის ინიციატივასაც 1 000 000-ზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, ამომრჩეველთა სიმცირეს ნამდვილად არ განიცდის. ჩვენც გვსურს გაგაცნოთ პარტიის სამოქმედო პროგრამის რამდენიმე პრიორიტეტი, რომლითაც ჩვენ თქვენს ნდობას, შესაბამისად არჩევნებში გამარჯვებას მოვიპოვებთ.

თბილისელებო! სოციალისტური პარტია გპირდებათ ჩვენი დედაქალაქის გამშენება-გალამაზებას, რომელზე ზრუნვაც სოციალისტებმა დიდი ხნის წინათ დავიწყეთ. ჩვენ აშენებული სახლებით ვხვდებით არჩევნებს და კვლავაც შენებას გპირდებით.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში გპირდებით: ღირსეული შრომის ღირსეულ ანაზღაურებას, უფასო მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნას, ევროპული დონის უფასო საშუალო განათლებას, ქართული პროდუქციის გატანას რუსეთში და რაც მთავარია : ჩვენი უმთავრესი მიზანი რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაა!

საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეკონომიკის ასაღორძინებლად და ძლიერი ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად აუცილებელია მრეწველობის განვითარება და ქართული პროდუქციისათვის საექსპორტო ბაზრის შექმნა. კიდე ერთხელ ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მრეწველობის აღორძინებისა და ქართული პროდუქციით რუსეთის ბაზრების გაჯერების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა საქართველო-რუსეთის შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და რაც შეიძლება მალე სავიზო რეჟიმის გაუქმება. ამ პირობების შესრულება კი საქართველოში მხოლოდ საციალისტურ პატიას შეუძლია, რადგან მილიონი ხელმოწერის შეგროვებამ ვახტანგ რჩეულიშვილს უდიდესი ავტორიტეტი და ნდობა მოუპოვა როგორც ორი ქვეყნის ხალხში, ასევე საქართველო-რუსეთის ხელისუფლებაში. სწორედ სოციალისტების ლიდერის, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით ვლადიკავკაზში შედგა პირველი სამმხრივი შეხვედრა - ქართველების, რუსებისა და ოსების მონაწილეობით, რაც პრაქტიკულად ერთადერთი წინგადადგმული ნაბიჯია ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

იდევ ერთხელ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ასპექტით საქართველოში სტაბილიზაციის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია რუსეთის გარეშე.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, რუსეთში ცხოვრობს ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი, რომლებიც იქიდან არჩენენ საქართველოში დარჩენილ ოჯახებს. სავიზო რეჟიმის შექმნით, ჩვენ უდიდესი პრობლემები შევუქმენით რუსეთში მოღვაწე ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს. სწორედ ამ ხალხის პრობლემების გადაჭრა არის სოციალისტების უმთავრესი მიზანი და სწორედ ამ ხალხს ვპირდებით სავიზო რეჟიმის გაუქმებას.

საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ხელს აძლევს სეპარატისტებსა და რუსეთის გენერალიტეტის იმ ნაწილს, რომლებიც ხელს ითბობენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტით.

საქართველოს სოციალისტური პარტია გთავაზობთ ახალ კურსს ქართულ პოლიტიკაშიგზას, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ერის გადარჩენის გარანტი იქნება!

ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, ეკონომიკის გამოცოცხლებას რეალურად გპირდებით.

ჩვენი პრიორიტეტია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, თუმცა ასევე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ამერიკასთან და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობას.

საქართველოს სოციალისტური პარტია გთავაზობთ ” ჯვარისებრი ვექტორების კონცეფციას”, რომელიც კარგად განვითარებული დასავლური ვექტორის პარალელურად ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორის ამოქმედებას გულისხმობს. ეს არის საქრთველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი - ინტეგრაცია ევროპაში, მაგრამ კეთილმეზობლობა რუსეთთან და ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან.

ძვირფასო ამომრჩევლებო! ვინც უჭერთ მხარს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას და უწინარესად სავიზო რეჟიმის გაუქმებას, არ დაიზაროთ და ყველანი გამოცხადდით არჩევნებზე, რადგან ის ძალები, რომლებიც 10 წლის მანძილზე ძაბავდნენ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობას, კვლავაც შეეცდებიან არჩევნების გაყალბების გზით კვლავ შეინარჩუნონ პოლიტიკური ძალაუფლება. თითოეული თქვენგანის მიერ გაკეთებული არჩევანი საქართველოს სტაბილურობის გარანტი იქნება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №51 | 31 მაისი, 2002 წელი.

## პრობლემა

# გვინდა თუ არა ქართული ჩაი?

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დიდი პოტენციალის მქონე მეჩაიეობის დარგი კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია...

უპრიანი იქნება წარსულს გადავხედოთ:

ქვეყანაში ირიცხებოდა და ექსპლუატაციაში იყო 67 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ამჟამად 18 ათასია. გადამამუშავებელ წარმოებას ემსახურებოდა 151 პირველადი და გადამწონი ჩაის ფაბრიკა, იკრიფებოდა 600 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მზადდებოდა და იყიდებოდა 150 ათას ტონაზე მეტი მზა პროდუქცია. მეჩაიეობაზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 18 და მიღებული მოგების 40 პროცენტზე მეტი.

დღეს სულ სხვა სოციალურ გარემოცვასა და საზოგადოებრივ ფორმაციაში ვცხოვრობთ. გეგმიურმა ეკონომიკამ დიდი ხანია ჭირი მოგვჭამა. საბაზრო ეკონომიკამ კი ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენს გარშემო სტერეოტიპად ხდებოდა, მაგრამ ამას ჩვენთვის მოსაგები მდგომარეობა როდი შეუქმნია, პირიქით.

ბოლო წლებში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად დაირღვა არსებული სამეურნეო კავშირები და ქართული ჩაის ტრადიციული ბაზარი სხვა სახელმწიფოებიდან შემოტანილი პროდუქციით შეივსო, უკიდურესად შემცირდა ჩაის წარმოება-რეალიზაცია და შესაბამისად, შემოსავლებიც. დაუსაქმებელი დარჩნენ მეჩაიეები და ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები, დაიძაბა სოციალური გარემო.

უნდა ითქვას, რომ მეჩაიეობა, როგორც დარგი, დღეს თუ ისევ არსებობს, ეს სწორედ ქვეყნის პრეზიდენტის ამ დარგისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ და კეთილგანწყობამ განაპირობა, ასევე სახელმწიფოს მხრივ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ქვეყანაში ჩაის რეაბილიტაციის წინაპირობების შექმნისათვის. მეჩაიეობა ხომ ერთადერთ მასიური დასაქმების საშუალებად რჩება დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მცხოვრებთათვის.

ჯერ კიდევ 1998 წელს, პრეზიდენტის ინიციატივით, ბიუჯეტიდან 3-მილიონიანი ინვესტიცია გამოიყო, რამაც ჩაის წარმოების მოცულობა 43 პროცენტამდე გაზარდა.

ამ ფაქტმა ბიძგი მისცა მეჩაიეობაში როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების მოცულობების ზრდას. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ჩაის ბაზარზე ჩვენი პოზიციების აღდგენის დასაწყისიც.

აქედან მოყოლებული ხუთი წლის განმავლობაში ქართული ჩაის კომპანიებმა სახელმწიფოდან მიღებული 6 მილიონი ლარის ნაცვლად ბიუჯეტს პირდაპირი და ირიბი გადასახადებით 18 მილიონზე მეტი ლარი დაუბრუნა. 1999 წლიდან დღემდე 72 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია გაიყიდა და სავალუტო შემოსავლების სახით ქვეყანამ 68 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო.

მაგრამ მეჩაიეებს კვლავ ბევრი პრობლემა აქვთ დასაძლევი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჩაის ბაზრის დაცვის საკითხიც. აქ პრაქტიკულად მსოფლიოში ცნობილი საფირმო ნიშნებით შეფუთული, ფალსიფიცირებული, არაკვებითი დანამატებით შეფერილი, ხშირად სიცოცხლისათვის საშიში კონტრაბანდული პროდუქცია დომინირებს. არადა, ამ ბაზრის მოცულობა მინიმუმ 2500 ტონას შეადგენს, ხოლო წლიური ბრუნვა ექსპერტთა შეფასებით, 30 მილიონ ლარს აღემატება. ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ბაზარზე ქართული კომპანიების მონაწილეობა.

ჩვენდა სამწუხაროდ, გვაქვს ინფორმაცია, რომ მეორე, მესამე წელია დაიწყო და დღესაც „წარმატებით“ გრძელდება ჩაის ბუჩქების ამოძირკვა, გადაწვა, ნიადაგის ვითომდა გაკულტურება, შემდეგ კი ამ ნაკვეთზე სიმინდის, ან სხვა კულტურის მოყვანა. სიმინდის წინააღმდეგი გურიაში აბა ვინ იქნება, მაგრამ აუცილებლად ჩაის ბუჩქის ხარჯზე?



როგორც ცნობილია, მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით თითოეულ მოსახლეს საკარმიდამო ნაკვეთთან ერთად მისცეს 1 ჰექტარი – 2500 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი (ჩოხატაურის მაგალითზე), სადაც ძირითადი ჩაის პლანტაციაა. „ნაკვეთი ჩემი საკუთრებაა, მინდა, ჩაის ბუჩქს ამოვძირკვავ, მინდა, გადავხნავ და სხვა კულტურას დავთესავ, აბა რა ვქნათ? მოკრეფილი ფოთლის ჩაბარება ჭირს. ადრე ყველაფერი ცენტრალიზებული გზით ხდებოდა, ადგილზე ვაბარებდით, ინდივიდუალურად კი გვიჭირს, თუ ჩავაბარეთ, თანხას დროულად ვერ ვალებთ, ამიტომ ჩვენი საქციელი ნურავის გაუკვირდება...“ – ამბობენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ინტაბუეთსა და ჩაისუბანში და თავისებურად, თითქოს მართლებიც არიან, მაგრამ ასეთი მიდგომით ხომ ეს დარგი აქ მთლიანად განადგურდება, მით უმეტეს, ნიადაგმცოდნე სპეციალისტები დაბეჯითებით ამტკიცებენ **– ჩაის ბუჩქის ამოძირკვა გაცილებით შრომატევადი საქმეა, ვიდრე მისი მოვლა. უფრო მეტიც, ამოძირკვის შემდეგ ნიადაგი ისეა გამოფიტული, სულ მცირე, 10 წელი ამ ფართობზე სიმინდი კი არა, ბალახიც კი არ ამოდის, რადგან ნიადაგს სათანადო მესწავლა და გაკულტურება სჭირდება, ამიტომ დასკვნა ასეთია: ან ჩაის პლანტაციას უნდა მოუარო, რაც ფინანსურად უფრო ნაკლებხარჯიანია, ან ის ნაკვეთი დაკარგულად უნდა ჩათვალო.**

ჩვენი აზრით კი, მეჩაიეობის რაიონებში წამოჭრილ საკითხებს მეტი სახელმწიფოებრივი მიდგომა ესაჭიროება. სწორედ აქ უნდა წარმოჩნდეს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მაკოორდინებელი როლი. იგი ხომ აგრარული პოლიტიკის განმახორციელებელ სტრუქტურად გარდაიქმნა, რომლის მიზანიც საკანონმდებლო ინიციატივების, ნორმატიული აქტების შექმნა იქნება, რაც საბოლოო ჯამში ფერმერული მეურნეობების, მცირე საწარმოების და სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების სრულყოფას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების ყველა ბერკეტის ხელიდან გაშვება და ისეთი მნიშვნელოვანი დარგების, როგორიც მეჩაიეობაა, თვითდინებაზე მიშვება კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს მოსახლეობას. აქვე შეგახსენებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე მყარად დაფუძნებულ ისეთ მძლავრ ქვეყანაში, როგორიც იაპონიაა, წარმოების საშუალებების 80 პროცენტზე მეტი კვლავ სახელმწიფოს ხელშია, იქნებ ღირდეს ამაზე დაფიქრება?

წლეულს, ისევე როგორც შარშან, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ჩაის მწარმოებელ კომპანიებს 3 მილიონი ლარის სუბსიდია გაზაფხულზე უნდა მიეღოთ, მაგრამ ამბობენ, რომ აღნიშნულმა თანხამ საქართველოს ბიუჯეტში ისეთი „საინვესტიციო“ ფორმა და სახე მიიღო, მისი გამოყენება ჩაის დარგში, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. კომპანიები თვლიდნენ, რომ თუ კანონმდებლები ბიუჯეტის კანონში სათანადო ცვლილებებს არ შეიტანდნენ, საბოლოოდ დასამარდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების სუბსიდირებისა და ინვესტირების, სამწუხაროდ, ერთ-ერთი წარმატებული პრეცედენტი.

როგორც იქნა პარლამენტმა ამ საკითხზე ორი თვის დაგვიანებით, სწორედ ამ დღეებში იმსჯელა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის და ფინანსთა სამინისტროების მოთხოვნით კანონში ფორმულირება შეიცვალა, არადა, ნამდვილად ღირდა ჩვენს კანონმდებლებს დროულად გამოეჩინათ ამ დარგის მიმართ ინტერესი, ვინაიდან ქვეყნის ბიუჯეტის შესრულებაში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დღე-დღეზე ელიან პრეზიდენტის განკარგულებას ტენდერის ჩატარების შესახებ.

იხ. მე-10 გვ.



დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალნეთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სალი და მომავალი ერი. დროა აწინდელის წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის ხვალინდელი დიდი სიკეთე, ხსენებული ქართული ანდაზა წაღმა მოვაბრუნოთ და შევცვალოთ სიტყვითა და საქმით ასე: ხვალინდელი ქათამი მირჩევნიან დღევანდელს კვერცხსაო.

იაკობ გოგებაშვილი.

## საფიქრალი

# სამართალს კოლოფში სმინავს და ნებივრობს,

## ანუ როგორ დავაღწიოთ თავი ნელი მოქმედების „ნაღმს“

საქართველოში შემოტანილ კვერცხზე და ქათმის ბარკლებზე მითქმა-მოთქმა მუდმივი გახდა. ზოგჯერ იმისთანას გაიგონებთ, რომ ქათმის ხორცი საერთოდ შეგძულდებათ, არადა, ამ პროდუქტებს ისეთ რეკლამას უკეთებენ, ლამის უმი შეგაჭამონ...

„სადიას“ ქათმების ბულიონს კიდევ ცალკე გვაძალებენ და ძალიან ხშირად მისი დამზადების პროცესსაც კი გვაყურებინებენ!

ერთი სიტყვით, აღარ ვიცი, ვის დავუჯერო: საკუთარ თვალებს, მითქმა-მოთქმას, თუ მასმედიას! ჭორი და მართალი ერთმანეთშია არეულ-დარეული.

გადავწყვიტე, მეფრინველეობის შემოტანილი პროდუქციის ვარგისიანობის თაობაზე ვინმე დახელოვნებულ მცოდნეს გავსაუბრებოდი და ასეთად საქართველოს ზოოვეტაკადემიის მეფრინველეობის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჩულუხაძე მივიჩნიე, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და ვაფასებ...

**– ბატონო გიორგი, ჩვენი ბაზრები ამ ბოლო წლებში, უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი კვების პროდუქტებითა და სურსათით ყელამდე აივსო... თვალში საცემია „ბროილერის ბარკლები“ და კვერცხი, რომლებიც ქალაქში ისე მოჩანს (ბევრგან ყრია), როგორც რიყეზე ქვა-ღორღი – თანაც საუცხოო თვისება აღმოაჩნდათ (შესძინეს) – მთელი თვე მზეზე რომ ეწყოს, მაინც არ გაფუჭდება, დიდი-დიდი გალღვეს, მაგრამ ეს სულაც არ არის სადარდებელი, პირიქით, ხელმეორედ გაყინავენ, ცოტა წყალსაც მოაპკურებენ და მერე, გაყინულ წყალს და ქათმის ხორცს ერთ ფასში ყიდიან.**

**საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ისტორიიდან მე და თქვენ, ბატონო გიორგი, ბევრი რამ გვახსოვს, ბევრი გვითქვამს და დაგვიბეჭდია კიდეც. თუ არ ვცდები, ბოლო ათ წელიწადში, 30-მდე მსხვილი სახელმწიფო მეფრინველეობის ფაბრიკა და 26 საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა მუშაობდა თავიანთი წარმადობით. ისინიც ფაბრიკებს უტოლდებოდნენ, რომლებიც გარდა ზემო და ქვემო სვანეთისა, თითქმის მთელს საქართველოში იყო განლაგებული. მათი მეოხებით, სასურსათო და სპეციალურ მაღაზიებში დახლები ლამის იზნიქებოდა. ერთი სიტყვით, იმდენი გვქონდა, რომ მტკვარს დავაგუბებდით და თავზესაყრელადაც დაგვრჩებოდა.**

**უკაცრავად, სიტყვა გამიგრძელდა. დღევანდელი ჩვენი საუბარი, ალბათ, იმით უნდა დავიწყოთ, თუ რა გვქონდა და როგორ მდგომარეობა-**



**შია დღეს საქართველოს მეფრინველეობის დარგი?**

– მოგახსენებთ, 1987 წლის მონაცემებით (მთლიანად რესპუბლიკაში), იწარმოებოდა 700 მილიონი ცალი კვერცხი და 65 000 ტონა ფრინველის ხორცი, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო, ბევრი რამ გაოხრდა და გატიალდა, ბუნებრივია, ასე ცხოვრებას ვერ გავაგრძელებდით და, მადლობა გამჩენს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, ჩამოყალიბდა მეცხოველეობის სანაშენე დეპარტამენტი, მასში 8 მეფრინველეობის ფაბრიკა გაერთიანდა, რომლებსაც რეპროდუქტორები უწოდეს. დანარჩენი – ზოგი გაყიდეს, ზოგიც – სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა.

**– საუბარი ზოგადი არ გამოგვივიდეს, ერთი კონკრეტული მაგალითი მაინც მოგვეყვანათ...**

იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## საფიქრალი

# სამართალს კოლოფში სძინავს და ნებივრობს,
## ანუ როგორ დავაღწიოთ თავი ნელი მოქმედების „ნაღმს“

(მეცხრე გვერდიდან)

— რამდენიც გნებავთ, უპირველესად, საყოველთაოდ ცნობილ ნორიოს, ამჟამად წინაგორის მეფრინველეობის ფაბრიკაზე მოგახსენებთ, სადაც 200 ათასი კვერცხმდებელი ჰყავდათ, წელიწადში 40 მილიონი ცალი კვერცხი და 200 ტონა ფრინველის ხორცი იწარმოებოდა. დღეს იგი ისეა დანგრეული, საფრინველეებს ვინ ჩივის, მიწის ნაკვეთიც კი აღარ გამოდგება, რომელზედაც ეს გიგანტი არსებობდა.

ასეთივე ბედი ეწია დანარჩენ ფაბრიკებსაც და ამის გამო აუარებელი მატერიალური ფასეულობანი განადგურდა.

აქვე უნდა ვახსენო ერთ დროს ყველაზე საუკეთესო, მეხორცული მიმართულების მცხეთის სანაშენე-რეპროდუქტორი, იმასაც ნელ-ნელა ანგრევენ და სამშენებლო მასალებად ყიდიან...

**— ეს ფაქტი ძალიან დასანანია, რადგან საქართველოში მეფრინველეობა ერთ-ერთი ტრადიციული, უძველესი დარგია და მას განსაკუთრებით უნდა გავფრთხილებოდით.**

— მეტსაც გეტყვით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში იყო მეცხოველეობის დარგის სამმართველო, მაგრამ კარგა ხანია იმანაც „ჩაილურის წყალი დალია“ და ფერმერულ-გლეხურ მეურნეობებს, რომლებიც დღეს ყალიბდებიან, პრაქტიკულ დახმარებასა და კონსულტაციას არავინ აღარ უწევს. თქვენ სიმართლე თქვით, ეს უძველესი დარგი მართლაც უნაკლოდ უნდა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რომელიღაც რგოლში ამ საკითხს ძალიან უყურადღებოდ და უგულოდ მოეკიდნენ და იგი ნელ-ნელა დაცოტავდა და შაგრენის ტყავივით დაილია...

არადა, ადვილი არ იყო იმ წარმატებების მოპოვება, რასაც მივაღწიეთ და რითაც მსოფლიოში ვამაყობდით. მოგეხსენებათ, ყოველივე ეს ხალხური სელექციის შედეგად შეიქმნა და უფრო მოგვიანებით, მეცნიერ-მკვლევართა მონაწილეობით, ადგილობრივ პირობებს შეგუებული ცხოველთა და ფრინველთა ჯიშები და სხვადასხვა პოპულაციები ჩამოყალიბდა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოში და ცნობილია, როგორც გენოფონდი. ისინი გამძლენი არიან სხვადასხვა დაავადების მიმართ და არაჩვეულებრივი გემოვნების პროდუქციას იძლევიან.

ზოოვეტერინარულ ინსტიტუტთან, ახლანდელ აკადემიასთან, არსებობს ექსპერიმენტული ბაზა (მეურნეობა), სადაც წარმატებით მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მეცხოველეობის ყველა დარგში. ამასთან, ის ითვლებოდა სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტად.

1995-96 წლებში ყოფილმა რექტორმა, პირუტყვიანად, უკანონოდ იჯარით გასცა მეღორეობისა და მეძროხეობის ფერმები, მოგვიანებით, ახალმა ხელმძღვანელობამ გააუქმა ზოგიერთი იჯარა, მაგრამ უსახსრობის გამო აღარ მუშაობს, თუმცა, რექტორატი შენობა-ნაგებობას მაინც ინარჩუნებს.

დღესდღეობით, აქა-იქ შემორჩენილია არა მარტო მეფრინველეობის, არამედ, მეცხოველეობის სხვადასხვა სახის მეურნეობები, რომელთა დღის წესრიგში თავისთავად დადგება ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი პროდუქციის წარმოება.

**— რაკი სიტყვა პროდუქციის ხარისხზე ჩამოვარდა, იქნებ, აქვე გვეთქვა შემოტანილი ქათმის ხორცსა და კვერცხზე, როგორია მათი კვებითი ღირებულება, აკი მოგახსენეთ, განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ ბროილერის ბარკლებზე, თურმე, მხოლოდ ჩვენს ბაზრებში საღდება.**

— ძალიან მტკივნეულ საკითხს შეეხეთ, მაგრამ რა გაეწყობა, სათქმელი უნდა ითქვას, თუ არ ვცდები, შარშან, დეკემბერში, ტელევიზიამ უჩვენა აზერბაიჯანიდან შემოყვანილი ცოცხალი ფრინველი, რომელიც „ნიუკასლით“ (ჭირით) იყო დაავადებული. მეგონა, ამ ფაქტის გამო დიდი განგაში ატყდებოდა და სხვა ქვეყნებიდან მეფრინველეობის პროდუქტების შემოტანა საერთოდ აიკრძალებოდა, მაგრამ მისი ექსპორტი მხოლოდ დროებით შეჩერდა და მოკლე დროში ისევ ყველაფერი განახლდა.

**— თუ შეიძლება ორიოდე სიტყვა მზა პროდუქციის ხარისხზედაც ვთქვათ, სწორედ ამას გავუსვი წელან ხაზი.**

— ეს პროდუქტები ძირითადად წარმოებულია ბრაზილიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბულგარეთში, ირანში, თურქეთში... რაც შეეხება ხარისხს, სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს ვიტყვი. ქათმები გამოზრდილია ისეთი სტიმულატორებით, რომლებიც ხელს უწყობენ ცოცხალი მასის ინტენსიურ ზრდას და ფარმაკოლოგიურად ადამიანისათვის საზიანოა.

მაგალითისათვის ვისაუბროთ ფირმა „სადიას“ ბროილერზე, რომელიც 50 დღის უკვე ორ კილოგრამამდე იწონის, ჩვეულებრივი დაბალანსებული საკვებით ამის მიღწევა ყოვლად შეუძლებელია. რაც უნდა იკვლიონ, უდავოდ, საქმე გვაქვს ბიოსტიმულატორებთან, მაგრამ ისინი, როგორ მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე ფარმაკოლოგიურად, შეუსწავლელია.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბარკლებს ადამიანების საკვებად არ იყენებენ.

**— კვერცხზე, კვერცხზე რას იტყოდით, უვნებელია?**

— სამწუხაროდ, ვერც ამ პროდუქტზე გეტყვით რაიმე სანუგეშოს. საქართველოში დამტკიცებული სტანდარტით, რაც სხვა ქვეყნებშიც მიღებულია, დიეტურად ითვლება ის კვერცხი, რომელიც 54-62 გრამს იწონის, ამასთან, გარეგნულად სუფთაა და რაც მთავარია, დადებიდან 5-7 დღეზე მეტი არ უნდა იყოს გასული. ამის ზემოთ კვერცხი მეორე კატეგორიაში გადადის და ღირებულება 1-2 თეთრით მცირდება. მაგრამ თუ დადებიდან 20-25 დღეა გასული, ასეთი კვერცხი მხოლოდ საკონდიტრო წარმოებაშიღა გამოდგება. ოღონდ, იგი მაცივარში უნდა ინახებოდეს, რომ არ გალაყდეს.



**— მოდი და გაიგე, როდის დადო კვერცხი ქათამმა, როდის შეიფუთა და როგორ ინახებოდა, ან რა დრო გავიდა, სანამ მომხმარებლამდე მოიტანდნენ. ვფიქრობ, შესაბამისი სამსახური ამას მკაცრად უნდა აკონტროლებდეს...**

— რა თქმა უნდა, ეგ საკმაოდ რთული საქმეა. მით უმეტეს, თუ კვერცხი 15-20 გრადუს ტემპერატურაზე ინახება, ასეთი უთუოდ გალაყდება და ყველაფრისათვის უვარგისი ხდება, მისი გამოყენება აღარ შეიძლება.

**— დავღუპულვართ და ეგ არის, რადგან კაციშვილმა არ იცის, რით ვიკვებებით. ძალიან სამწუხაროდ, არც არავინ აქცევს ყურადღებას, ან განგებ არიდებენ თვალს და მერე, ალბათ, — ხელი ხელს ბანს და ორივე პირს! „სამართალს კი კოლოფში სძინავს“.**

**მინახავს, როცა კვერცხი 30-35 გრადუს ტემპერატურაზე აწყვია და მაინც იგი, ერთი შეხედვით, დიეტურობას ინარჩუნებს და ისეთი ელფერი აქვს, კაცი იფიქრებს, ეს-ეს არის, საბუდარიდან ამოუღიათო. მითხარით, რა ხდება, რატომ არ ლაყდება?**

— რატომ, ჩემო კეთილო, და კვერცხი, რომელიც მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახლად დადებულს ჰგავს, სხვადასხვა ქიმიური პრეპარატებით, მაღალი წნევით არის დამუშავებული და სამწუხაროდ, არც ეს ვიცით, ასეთი კვერცხი რა ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს.

**— მაშ, რა გვეშველება, რა წყალს მივცეთ თავი?**

— მადლობა უფალს, ჩვენმა მეფრინველეობის ფაბრიკებმა სავანეთის (ბოლნისი), პატარძეულის (საგარეჯო), სამგორის (ყოფილი ზონალური საცდელი სადგური) ამ პროდუქტების წარმოება დაიწყეს, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა და საიმედოა.

სანდოა, აგრეთვე, ცალკეული ფერმერული მეურნეობების პროდუქცია. ესენია სოფელ მუხრანის **ელგუჯა ნოზაძისა** და თელეთში **რევაზ რობაქიძის** მიერ წარმოებული კვერცხი და ქათმის ხორცი. შემიძლია გაბედულად ვთქვა, რომ მათი მოხმარება მხოლოდ სასიკეთო და სასარგებლო იქნება. ეს კი იმის შედეგია, რომ ერთიც და მეორეც ფრინველს სრულფასოვან საკვებს აჭმევენ, რომელშიც 70-75 პროცენტი ყვითელი სიმინდის ღერღილია და 25 პროცენტი კი დანამატებია და ისინი მხოლოდ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს შეიცავენ.

**— მაგრამ ქათმები, რომლებსაც ჩიჩახვი ყვითელი სიმინდის ღერღილითა და ვიტამინებით აქვთ გატენილი, შემოტანილთან შედარებით, ძვირია და ყველასათვის მისაწვდომი არ არის.**

— მართალია, ასეთი საკვებით გაზრდილი ქათამი და მისი კვერცხი, ბუნებრივია, ძვირი იქნება, რადგან პროდუქციის ღირებულება მისი წარმოების დანახარჯებზეა გათვლილი და მართალია, ჩვენი მოსახლეობის 70-80 პროცენტი უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ იაფ პროდუქციას ეტანება და ის „ნელი მოქმედების ნაღმი“, რომელიც საკვებიდან ამ პროდუქტშია ჩადებული, მომხმარებელს ზოგჯერ ავიწყდება...

**— მაშ რა უნდა იღონოს მან, როგორ დააღწიოს თავი იმ „ნაღმს“, თუ ამ 70-80 პროცენტის ფინანსური შემოსავალი კომუნალურ გადასახადებსაც ვერ წვდება და ამიტომ იგი ხშირად ცარიელი პურისა და წყლის ანაბარაა...**

— რომ იცოდეთ, გამოსავალი არის, შეიძლება, რომ ადამიანს შედარებით ნაკლები დანახარჯებით, საკუთარი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა კვერცხი და ხორცი ჰქონდეს.

**— ეს სოფლად, მაგრამ ქალაქის პირობებში როგორ მოხდება?**

— ჩვენ გავაკეთეთ საოჯახო ინკუბატორი, რომელიც ჩვეულებრივი მაცივრის ზომისაა და 100 ცალ კვერცხს ჩეკავს. ამასთან, გავაკეთეთ, აგრეთვე, (ბროილერის) ახლად გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი გალია. მისი სიგრძე — 100, სიგანე — 50 და სიმაღლე 35 სანტიმეტრია. მას აქვს საკვებური, საწრუპველი, ელნათურა რეფლექტორით, რომელიც 28-30 გრადუს ტემპერატურას ანვითარებს. გალიაში თავსდება 1-15 დღის 45-50 ფრთა წიწილა, ხოლო შემდგომ 15-20 ფრთა. აქვე შეიძლება ჩავტიოთ 5-7 ფრთა ქათამი, რომელთაგან ყოველდღიურად 3-4 ცალ კვერცხს მიიღებთ.

თუ სურვილი გაუჩნდება ვინმეს, რომ უფრო მეტი რაოდენობით ფრინველი გამოზარდოს, მაშინ ასეთი გალია შეიძლება წიგნების კარადის მსგავსად ოთხსართულად მოაწყოს.

**პატივცემულო მკითხველო, თუ მოისურვებს ვინმე, რომ საკუთარი წარმოების კვერცხი და ქათმის ხორცი ჰქონდეს, ამ საქმეში უსასყიდლოდ დაგეხმარებათ ზოოვეტაკადემიის მეფრინველეობის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი გიორგი ჭულუხაძე და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური ჩანართი „დედოზარი“.**

**მაშ ასე, წარმატებას გისურვებთ ბიზნესში — „საკუთარი ოჯახისათვის“.**

ესაუბრა
**როლანდ ბასილაშვილი.**

## პრობლემა

# გვინდა თუ არა ქართული ჩაი?

(მეცხრე გვერდიდან)

ამას დრო სჭირდება. ჩაის მწარმოებლებს და მეჩაიეებს კი აგვიანდებათ, თუ თანხები დროზე ვერ მიიღეს, ისედაც უამინდობით გაჭიანურებული ჩაის კრეფის სეზონი კვლავ გაჭიანურდება. რა თქმა უნდა, უკეთესი იყო ჩაის მწარმოებლებს დროულად მიეღოთ ბიუჯეტით განსაზღვრული თანხის ნაწილი მაინც. რედაქცია ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდა ჩოხატაურის რაიონის გამგეობას, სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ოზურგეთის რაიონის გამგეობასა და გუბერნატორის აპარატის მუშაკებს, მაგრამ დამაიმედებელი ზარები იქიდან იგვიანებს.

რედაქციას კი კეთილშობილური სურვილი ჰქონდა მხოლოდ. სურდა, გურიის რეგიონში ჩაის სეზონისათვის მზადების პერსპექტივებზე ზუსტი ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველისათვის. ამ საქმეზე სამსახურებრივად პასუხისმგებელმა პირებმა კი უპასუხოდ დატოვეს ჩვენი კითხვები. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არჩევნების ციებ-ცხელებამ მოიცვა ყველა...

ჩვენი ინფორმაციით კი, ჩაის კრეფის სეზონი არცთუ კარგად დაიწყო. ჩაის პლანტაციებში კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებიან მკრეფავები.

ხომ არ სჯობს საკითხი პირდაპირ დავსვათ — გვჭირდება თუ არა ჩაის პლანტაცია საქართველოში?

**ნაზი იმნაიშვილი.**

***წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ ოზურგეთის რაიონის სოფელ ანასეულში, მერიასა და ლაითურში ჩაის ფოთლის კრეფა დაიწყო, მაგრამ დიდი ილიას თქმისა არ იყოს — „რა გითხრათ, რით გახაროთ“?..***

## ეკოლოგია

# დაირგო ათასობით იფანი, აკაცია, თუთა...

საქართველოს ბუნება მდიდარი და მრავალფეროვანია. სამწუხაროდ, ასევე მრავალფეროვანია ის ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს არა მარტო ბუნებრივი კატასტროფების დროს, არამედ ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობისა და ბუნებისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგადაც.

ბოლო წლებში ენერგეტიკულმა კრიზისმა გამოიწვია ტყეების გაჩეხვა და ფაქტობრივად, მათი განადგურება. ამის შემხედვარს უთუოდ გაახსენდება დიდი ბუნებისმეტყველის ა. ჰუმბოლდტის სიტყვები: „ადამიანების წინ ტყეა, უკან კი უდაბნო“...

ტყეები განადგურდა საქართველოს ყველა რაიონში და მათ შორის, სამტრედიაშიც. ტყის აღდგენისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამტრედიის ექსპერიმენტული მეურნეობა-ქარხნის ხელმძღვანელობამ 2000 წლის დეკემბერში მივმართეთ არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე დედამიწას“ პრეზიდენტს **ნუგზარ მელაძეს**, რათა „ეკოლოგიური აქცია“ გაგვემართა სამტრედიის რაიონში და კერძოდ, ილორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასეთი აქციის გამოცდილება მათ უკვე ჰქონდათ კახეთის რეგიონში, კერძოდ, სოფელ აკურაში...

საქართველოს სოფლის მეურნეობის კვების მრეწველობის სამეურნეო-კვლევითი ინსტიტუტის სამტრედიის ექსპერიმენტული მეურნეობა-ქარხნის თანამშრომლებმა, ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და სკოლის დირექტორმა ნუგზარ გოგიამ, ასევე, მე-5 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს აქციაში, რომელიც წლეულს გაიმართა.

ტერიტორიის გამწვანებაში აგრეთვე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამტრედიის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ია წულაია), განსაკუთრებულია სპეციალური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეების როლიც (დირექტორი გია გეიშვილი).

მათთან ერთად სამტრედიის რაიონში მცხოვრები ადამიანები და ჩვენ — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამტრედიის ექსპერიმენტული მეურნეობა-ქარხნის თანამშრომლები მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე დედამიწას“ პრეზიდენტს ნუგზარ მელაძეს და „ჯეოსელის“ ხელმძღვანელობას „ეკოლოგიური აქციის“ გამართვისათვის.



ღონისძიების შედეგად სამტრედიის რაიონში ათეულ-ათასობით იფანის, აკაციის, თუთის და თხილის ნერგები დაირგო.

ასეთი ღონისძიება მომავალშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. კარგი იქნება, თუ „მწვანე დედამიწას“ სხვა ორგანიზაციებიც მიბაძავენ — ტყე ხომ ჩვენ, ყველას, გვეკუთვნის!

**რევაზ ფახურიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის სამტრედიის ექსპერიმენტული მეურნეობა-ქარხნის დირექტორი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ანტიმონოპოლიური სამსახური

**შენც და თქვენც, ჩვენო მკითხველო, ყველანი მომხმარებლები ვართ და ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები ამ რთულ და გარდამავალ პერიოდში. რა დასამალია, რომ ზოგჯერ მაღაზიებში და ბაზრობებზე ხელში სრულიად ვადაგასულ, უხარისხო საკვებს, ტანსაცმელს თუ ნივთებს გვაჩეჩებენ და მერე, რამდენი დავიდარაბა გვჭირდება მათ უკან დასაბრუნებლად ან გამოსაცვლელად, ან შესაკეთებლად... ეგ არაფერი, ვინ იცის, რას ვაჭმევთ ჩვენს შვილებს, რით ვიკვებებით ჩვენ, დიდებიც...**

**უფლებები კი მართლაც ბევრი გვაქვს.**

**წლეულს საქართველოს ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა თბილისში 100 ათასი სავაჭრო ობიექტი შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ გამყიდველები თითქმის ყველგან უსერტიფიკატო საქონლით ვაჭრობდნენ. ყოველ ასეთ დარღვევაზე შემმოწმებელი ადგენს შესაბამის აქტს. საჯარიმო თანხის რაოდენობას დარღვევის ხარისხი განსაზღვრავს. თუკი ვინმე ნებაყოფლობით არ გადაიხდის ჯარიმას, მათ საქმეს შესაბამის რაიონულ სამსახურს გადასცემენ. მაგალითად, შარშან 10 ათას ლარზე შედგა სასამართლო პროცესი.**

**დღეისათვის დედაქალაქში უამრავი რესტორანია, მაგრამ ეშმაკიც ვერ გაიგებს, თუ მომხმარებელი რომელი კლასის რესტორანში შედის. ალბათ, აქაც უკვე დროა „საქსტანდარტმა“ შესაბამისი კლასი მიანიჭოს თითოეულ მათგანს.**

**– მომხმარებელმა კარგად იცის, რომ ბენზინგასამართ ჯიხურებში ხშირად გვხვდება ბენზინი „ნორმალი+“ და „სუპერი+“. ეს არის ადამიანებისათვის თვალის ახვევა, რადგან დღევანდელი მოქმედი სტანდარტები და საბაჟოზე დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა ავტოგასამართ სადგურებში გაყიდული ბენზინის „ოქტანობის“ რიცხვს. ჩვენ ამას ახლა ვსწავლობთ, – გვეუბნება საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის მომხმარებელთა უფლებების სამმართველოს უფროსი ზოზა ზეიკიძე.**

# გაუწვრთნელი მიმინო მწყერს ბაზიერამდე ვერ მიიყვანს



**– როგორც ცნობილია, ანტიმონოპოლიურ სამსახურში მომხმარებელთა უფლებების დაცვას მთელი სამმართველო ემსახურება. იქნებ მოუთხროთ მკითხველს თქვენი საქმიანობის შესახებ?**

– ჩვენს ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საფუძველი 1992 წელს ჩაეყარა „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის მიღებით, ხოლო 1996 წლის 28 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა კონტროლის განხორციელება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის აღსრულებაზე. ამ მიმართულებით ჩვენთან არსებული საკანონმდებლო ბაზა 5-6 წლისაა და იგი დღემდე არ შეცვლილა.

**– იცის თუ არა ჩვენმა მომხმარებელმა საკუთარი უფლებები?**

– ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს, ასევე, მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფას, თუმცა, ბოლო ხანს, საგრძნობლად გაიზარდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ კანონმდებლობათა მიმართ ეკონომიკურ აგენტთა და მოსახლეობის ინტერესი, გაიზარდა მომხმარებელთა ნდობაც ანტიმონოპოლიური სამსახურისადმი, რაზეც მიუთითებს ჩვენს სამმართველოში დახმარების იმედით შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და მომართვების ზრდაც.

**– უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყოდით?**

– ვმუშაობთ თბილისის სავაჭრო ქსელში მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესასწავლად. გამოვყოფდი რამდენიმე სერიოზულ თემას, კერძოდ, ესენია – ვადაგადაცილებული კვების პროდუქტებითა და უსერტიფიკატო საქონლით ვაჭრობა, საავადმყოფოების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესებთან შესაბამისობაში მოყვანა, მოსახლეობის მომსახურების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე კონტროლი... ასევე მუშაობენ მარეგულირებელი კომისიები ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სფეროში. მომხმარებელთა უფლებების დაცვა ამ კუთხით ძირითადად, მათი პრეროგატივაა, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩვენს საქმიანობას ამ პრობლემას ვერ ავაცილებთ.

**– ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებობს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭო“. რას აკეთებს იგი?**

– აღნიშნული საბჭო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა. მისი შემადგენლობა ამჟამად თითქმის განახლებულია და მასში არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო წარმომადგენლობაა შესული. უკვე ჩატარდა რამდენიმე სხდომა და გამოიკვეთა საბჭოს ნაყოფიერად მუშაობის რეალური გზები.

**– რას უნდა ელოდოს მომხმარებელი მომავლისათვის?**

– გავაგრძელებთ მუშაობას საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის. კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მალე შევა ცვლილებები იმპორტირებულ საქონელზე ქართული ნიშანდების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს მომხმარებელს ქართულ ენაზე მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია იმპორტირებული კვების პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ქიმიური, ფარმაცევტული პროდუქციის და სხვა საქონლის შენახვის ვადების, წარმომავლობის, უსაფრთხოების ზომებზე და სხვა აუცილებელ კომპონენტებზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მომავალში უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ჩვენ ვიტყვით ჩვენსას ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. კეთილსინდისიერ კადრებს ჩავანაცვლებთ ძველების ადგილას. გავაფართოებთ მუშაობას რეგიონში.

ჩვენ წინა „დედოზარში“ მკითხველს შევახვედრეთ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც მოგვითხრო იმ პრობლემებზე, რაც მათ ხელს უშლით მუშაობაში და, უპირველესად, ეს საკანონმდებლო ბაზას შეეხება, რადგან კანონები ხშირად შესაბამისობის ნაცვლად, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

არადა, როცა ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომელი აღმოაჩენს რაიმე დარღვევას, მას იგი მხოლოდ გარკვეულ „ზღვრამდე“ მიჰყვება, რადგან „იმის იქით“ მისი საქმე აღარაა, სხვამ უნდა გააგრძელოს, მაშინ, როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური სამსახურები სრულად ფლობენ და არეგულირებენ ბაზრებს. ჩვენთან კი პირიქითაა, ახალგაზრდა კადრები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უსახსრობის გამო საზღვარგარეთ ვერ გაგვიგზავნია, უარესიც, მათი საშუალო ხელფასი დღეისათვის, მაქსიმალური 90 ლარია, ხოლო მინიმალური – 41 ლარი. აქ, ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ასეთ დაბალხელფასიან თანამშრომელს, რომელსაც ოჯახი სარჩენი ჰყავს, ცდუნების მომენტიც ექნება ამა თუ იმ სავაჭრო ობიექტის შემოწმების დროს, ანუ ეს იმას ჰგავს, გაუწვრთნელი მიმინო მწყერს ბაზიერამდე რომ ვერ მიიყვანს, ვერც სახელმწიფოს ბიუჯეტს შეავსებს, ვიდრე მომხმარებელთა დაცვის სფეროში ეფექტიანი პოლიტიკა არ გატარდება, ვიდრე შესაბამისი რწმუნებების მქონე სახელმწიფო ორგანოები ურთიერთშეთანხმებულად არ იმოქმედებენ.

წინ დიდი სამუშაოა.

**ლია ჭილაძე.**

## პოზიცია

# მთავარია ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა

**სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში არსებულმა კვლევის, დანერგვის, კონსულტაციის, „ექსტენციის“ სამსახურმა, რომლის თავმჯდომარე თამაზ იმედაძეა, მოაწყო „ღია კარის დღე“ თემაზე: – „ორგანიზაციული მართვის სრულყოფის საკითხები“. მომხსენებლად მოწვეული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კათედრის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი გუგული მაღრაძე. უმჯობესი იქნება თვითონ მას მოვუსმინოთ:**

– თუ გვინდა, რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, უნდა ვიცოდეთ მართვის ძირითადი კანონები. ნებისმიერ სამინისტროსა თუ ორგანიზაციაში აუცილებელია მოწესრიგებული იყოს, პირველ რიგში, ორგანიზაციული მართვა, რაშიც დიდი მნიშვნელობა ეკონომიკურ მაჩვენებელს ენიჭება, თუმცა, ჩემი აზრით, მთავარია ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. მმართველს უნდა გააჩნდეს მოტივები. არსებობს სხვადასხვა დონის მოტივაცია, სადაც პირველი სასიცოცხლო აუცილებლობაა, შემდეგ უსაფრთხოების, მათზე მაღლა სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება, ყველაზე მთავარი კი საკუთარი მეს აქტუალიზაციაა, რადგან ადამიანი კარგად მაშინ აკეთებს საქმეს, როცა ყოველთვის აქვს თვითაქტივიზაციის უნარი.

მმართველობაში, შუალედური მდგომარეობა არ არსებობს, ეს ნაპრალივითაა, რომელსაც მთლიანად უნდა გადაახტე, თორემ ჩავარდები. ამიტომ გვეხმარებიან დასავლეთის ქვეყნები, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავიდეთ დემოკრატიულ მმართველობაზე. ზოგი ამბობს, ასეთი ამერიკული მმართველობის წესი არ გვინდაო, ეს ამერიკული კი არა, დასავლური ღირებულებაა და თუ ევროგაერთიანების წევრი ქვეყანა ვართ, მაშინ ეს უნდა გავითავისოთ.

დღეს კონკურენციის პირობებში კერძო სტრუქტურები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი სისტემა სწორი მენეჯმენტით წარმართონ. თუმცა, ჩვენთან მაინც გაორებული დამოკიდებულებაა. სახელმწიფო სტრუქტურებში აღნიშნული პრინციპით იშვიათად მუშაობენ, მათ ძირითადად ავტოკრატული მმართველობისაკენ აქვთ მიდრეკილება, რადგან ფიქრობენ, რომ კრიზისულ შემთხვევაში ერთი ადამიანის ხელში უნდა იყოს აღებული ყველაფრის კონტროლი. ავტოკრატულ მართვაზე ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო გადადის ხანმოკლე კრიზისული მდგომარეობისას, თუმცა, მისი დამთავრებისთანავე უბრუნდებიან დემოკრატიულ მმართველობას. ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ უჩვენა, რომ სადაც მსგავსი მმართველობაა, იქ არის ეკონომიკური სიუხვე და სიძლიერეც. დემოკრატიული მართვა გულისხმობს ინფორმაციის სრულად გახმაურებას, გადაწყვეტილების მიმღებს უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება და კომპეტენცია. ძველი კვალიფიციური სპეციალისტების გამოცდილება ყოველთვის საჭიროა, თუმცა ახლა ხელმძღვანელებად ახალგაზრდები მოჰყავთ, რადგან ისინი ძველი მართვის სტილით არ არიან დამძიმებული.

დღეს ბევრი სტრუქტურა ძალიან გადატვირთულია, მინისტრს არ სჭირდება ოთხი მოადგილე, უნდა ჰყავდეს ერთი, რომელიც მას საჭირო შემთხვევაში შეცვლის, შეიძლება მოადგილეებისათვის ეს სასურველი არ იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, საქმე უკეთესად გაკეთდება. სამსახურში ხალხი ხელფასის გამო კი არა, უუნქციობის გამო უნდა შემცირდეს, ან პირიქით, თუ საქმისთვის საჭიროა – მოხდეს დამატება.

ამ ყველაფერს კი ადამიანის რესურსების მენეჯერი აკეთებს, რომელიც ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს.

ზოგიერთი ამბობს, რომ დემოკრატიულად მართავს, მაშინ, როცა იგი აზრს სხვას ეკითხება და გადაწყვეტილებას ისე იღებს. დემოკრატიულობა კი ნიშნავს, როცა გადაწყვეტილებას ის იღებს, ვინც უშუალო შემსრულებელია.

**– მმართველობაში ნაციონალური სპეციფიკა რა როლს თამაშობს?**

– ეს შეიძლება მხოლოდ შესრულების მანერაში ჩანდეს, ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. გასაკეთებელი უნდა გააკეთო, კანონი ყველასათვის კანონია. საბაზრო ეკონომიკაში მართვის სხვადასხვა ფორმები არსებობს.

თვითონ ქვეყანამ უნდა აირჩიოს, აქედან რომელია მისი განვითარებისათვის შესაბამისი. დღეს ჩვენმა მოსახლეობამ არ იცის, როგორი გზით მიდის ქვეყნის განვითარება. სახელმწიფომ ყველა ადამიანს უნდა გაუჩინოს არსებობისათვის სამომავლო პერსპექტივა. ბევრ ქვეყანაშია გაჭირვებული და ბიუჯეტი ვერ შეძლებს ყველას რჩენას, ამიტომ მათ უნდა მიეცეთ საკუთარი უნარით განვითარების საშუალება.

**– კერძოდ, რა საშუალებებს გულისხმობთ?**

– კანონმდებლობა უნდა იყოს მარტივი და გათვლილი ისე, რომ ადამიანს პატარა, საწყისი კაპიტალიდან შეეძლოს რაღაცის გაკეთება. ორი-სამი წლის განმავლობაში დამწყები ბიზნესმენი უნდა გათავისუფლდეს გადასახადისაგან, ასეა ყველა ნორმალურ ქვეყანაში.

**– თქვენ საწყისი კაპიტალი ახსენეთ, იგი საკრედიტო კავშირების მეშვეობით უკვე ჩაიდო, როცა სოფლად რეფორმა დაიწყო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამან ბოლომდე ვერ გაამართლა...**

– სულ არაფერს მაინც ხომ სჯობდა, ოცმა პროცენტმა მაინც მოინაცვლა ხელი და ასე თუ ისე ამოისუნთქეს. ბოლომდე კი იმიტომ ვერ გაამართლა, რომ წესდების ბევრი კომპონენტი დაცული არ იყო. მაგალითად, სესხი მცირე და მოკლევადიანი იყო...

უნდა დავეთანხმოთ ქალბატონ გუგულის, კრედიტებით სოფლად, ალბათ, ოცმა პროცენტმა მართლაც ამოისუნთქა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ოცის ნაცვლად ოთხმოცი ყოფილიყო, თუ ამ თანხებს ხელმძღვანელი პირები სწორად წარმართავდნენ?.. ამისთვის კი მხოლოდ პროფესიონალიზმი და დემოკრატიული მართვა არ კმარა, მთავარი პატიოსნება, ხალხის სიყვარული და ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა...

**ლელა მანაველიშვილი.**

## მელიორაცია

# აჯამეთის წყალი იმერეთის დაგვალულ მიწას გააცოცხლებს

აჯამეთის ცნობილი სარწყავი სისტემა, ხვადაუბნისა და ეწერის არხებთან ერთად, ადრე ერთგულად ემსახურებოდა ზესტაფონის, თერჯოლის და ბაღდათის რაიონებს. მაგრამ 1996 წელს მოსულმა წყალდიდობამ მწყობრიდან გამოიყვანა მაგისტრალური არხის წყალგამტარი, საჭირო გახდა „აკვედუკის“ მოწყობა, ნაგებობების აღდგენა, რისთვისაც რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით საქართველოს წყალთა მეურნეობის დეპარტამენტმა 140 ათასი ლარი გამოყო.

აღდგენითი სამუშაოები მაღალ დონეზე ჩაატარა შპს „მშენებელი-80“-მა (ხელმძღვანელები ვასილ სანაძე და ვალერი ბუცხრიკიძე), მაგრამ ნაწილი სამუშაოებისა კიდევ შესასრულებელია, რისთვისაც საჭიროა კიდევ 150 ათასი ლარი, – გვეუბნება ზესტაფონის წყალთა მეურნეობის სარაიონთაშორისო სამმართველოს უფროსი რეზო არაბიძე

რათა სრულად ამუშავდეს სათავე და წყლის დამჭერი ნაგებობები – წყლის დონის შესანარჩუნებლად. გასულ წელს 400 ათასი ჰექტარიდან მხოლოდ 2300 მოირწყო, დანარჩენი კი, განსაკუთრებით პირველი და მეორე სვირი, ზედა და ქვედა სიმონეთი, ბარდუბანი, ეწერი, სიქთარვა და სხვა სოფლები მოურწყავი დარჩა.

იხ. მე-12 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 130-131. პარასკევი, 31 მაისი, 2002 წელი.

თაობა

# ქართველი მოყმე დიდი ილიას საფლავთან



## ნამდვილი ამბავი

**„ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა, თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია“.**

**„უბედური მამულის შვილი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ იგი პირუტყვი არ არის, და თუ პირუტყვია, ისიც კი ბედნიერი არ არის, რადგან თავისი უბედურება ვერ გაუგია“.**

**ილია.**

მრავალ მტერმოძალებული ქართლ-კახეთის მეფე, ერეკლე მეორე, მტრებთან ბრძოლებში დაღლილი, იძულებული გახდა, მამულის გადასარჩენად, მისი ბედი რუსეთისათვის დაეკავშირებინა, რაც ოფიციალურად აისახა გეორგიევსკში 1783 წელს, ორივე ქვეყნისათვის მისაღები ხელშეკრულების სახით.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის უზნეობით შემფოთებულმა ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა, საპასუხოდ იწყეს მამულისა და ერის გადარჩენაზე ფიქრი და ზრუნვა. თავდახსნის მცდელობა იყო 1804 წლის მთიულეთის ამბოხი, 1812 წელს – კახეთის აჯანყება, 1832 წელს – შეთქმულება, 1841 წელს გურულების აჯანყება და სხვა. მამულიშვილთა მცდელობა, მართალია, მარცხით დამთავრდა და მრავალი ჭეშმარიტი ქართველი შორეული ციმბირის გზებსაც გაუყენეს, მაგრამ საქართველოში დარჩენილი პატრიოტი მამულიშვილები, მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას ღიად თუ ფარულად – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესო იყო „თერგდალე-



ულთა“ ბრძოლა – ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური თანასწორობის იდეოლოგიით მებრძოლი ილია, „თერგდალეულთა“ სახელით, პასუხს აძლევდა მთელი პირდაპირობით საქართველოს როგორც გარეშე მტრებს: კატკოვებს და იანოვსკებს, ხუდაბაშოვებს და ქიშმიშოვებს, სენკოვსკებს და ერცოვებს, ისე შინაურ, დენაციონალიზაციის გზაზე დამდგარ ყველა ქართველს, რომლებიც ერს მოუწოდებდნენ და უქადაგებდნენ დიდ ერებთან შერწყმას.

„თერგდალეულთა“ ბრძოლამ, მართალია, შეაფერხა ქართველი ერის რუსეთთან ასიმილაციის პროცესი, მაგრამ, ანტიეროვნულმა უმადურმა ძალებმა ბრძოლა მაინც გააგრძელეს ქართველი ერის სულიერი მოძღვრის, ილიას წინააღმდეგ. რა ბრალდება და სიბილწე არ დასწამეს დიდ მამულიშვილს და რა სამარცხვინო ბოძზე არ გააკრეს იგი! ლანძღვაც არ აკმარეს და წიწამურთან, მართლაც, ილიას „გოლგოთას გზაზე“, ჩასაფრებულმა მესამე დასელებმა, მოძღვარს მოუსწრაფეს ერისათვის კურთხეული სიცოცხლე – აღასრულეს!.. მერე და ვინ?! – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, დიდი საზოგადო მოღვაწე, ორატორი, ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი, მამულის უბადლო მოყვარული. დიდი უბედურება იყო ერისათვის ილიას სიკვდილი, რადგან, მიწაზე დაენარცხა მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა. „თქვენ ტყვია ესროლეთ არა ილიას, არამედ მთელ ერს“, – აცხადებდა იროდიონ ევდოშვილი, ილიას დაკრძალვაზე ბათუმიდან გამოგზავნილ ვერცხლის გვირგვინს კი ეწერა – „მაგ სიკვდილით დაობლდა ერი“.

სიკვდილის შემდეგაც არ შენელებულა მესამე დასელების ბრძოლა ილიას წინააღმდეგ. ილიას სულიერი საუნჯე – წიგნები ცეცხლს მისცეს საჯაროდ თბილისსა და ბათუმში. უფრო მოგვიანებით ინტერნაციონალიზმის მქადაგებელმა ზოგიერთმა მწერალმა მოითხოვა მწერალთა კავშირის დარბაზის კედლიდან, გიგო გაბაშვილის მიერ შესრულებული ილიას სურათის ჩამოხსნა, იმ სურათისა, დღესაც რომ ამშვენებს მწერალთა კავშირის დარბაზს. მაგრამ, საკადრისი პასუხი მიაგო ავისმზრახველებს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელმაც, სატევარით ხელშემართულმა, შეუძახა მათ: „ვინც კარგი ბიჭია, იმან შეახოს ხელი ილიას სურათს, აქვე ამ სატევრით თავს გავაგდებინებ... სანამ პირში სული მიდგას, აქედან ილიას სურათს ვერავინ გაიტანს“.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილი მეოცე საუკუნის დასაწყისის სავალალო ისტორიული ფურცელია, მაგრამ მისი შეხსენება დღეისთვისაც ალბათ, საჭიროა, რადგან ერი კვლავ განსაცდელში აღმოჩნდა და ლამის ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მივიდა. დღესაც იგი თითქოს ბეწვის ხიდზეა გასავლელად შემდგარი და, ღმერთმა ნუ ქნას, ეს ბეწვის ხიდი ჩაწყდეს...

თუმცა ჩვენი დიდი წინაპრების და ილიას ეროვნულ იდეებზე გაზრდილი ქართველი ჭეშმარიტი ახალგაზრდობა მაინც ცოცხალია და გააჩნია შინაგანი პოტენცია მამულის გადარჩენისათვის. ამის საუკეთესო დასტურია, ალბათ, მთაწმინდის პანთეონის წმინდა მიწაზე ერთ ახალგაზრდა ქართველთან ჩემი შეხვედრა.

მთაწმინდის პანთეონში შორეული ვიატკიდან სულ ახლახან გადმოსვენებული სოლომონ დოდაშვილის საფლავის ქვის წარწერის წაკითხვისას – „არა თავისა თავისათვის მხოლოდ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა“ – შევნიშნე პანთეონში კიბეზე შემოსული ოციოდე წლის სიმპათიური ახალგაზრდა, რომელიც გაემართა ერის სულიერი მოძღვრის, ილიას საფლავისაკენ. საფლავთან შეჩერებულმა სამჯერ გადაისახა პირჯვარი, დაიჩოქა დიდებული ნეშტის წინაშე, გადასწვდა საფლავის წმინდა ქვას და ეამბორა ფაქიზად. პანთეონში ორიოდ კაცი თუ იყო ჩვენიანად, ამ საოცარი გამოცხადების მოწმეს, უნებლიეთ გადმომედინა თვალთაგან ცრემლები და ახალგაზრდის მისამართით აღტაცებულს, აღმომხდა – „თქვენ არც კი იცით, რა ლამაზი ახალგაზრდა ხართ“. მოკრძალებული ნებართვის აღების შემდეგ, მოწიწებით ვეამბორე მის მხარს და განგებას შევთხოვე ასეთი წმინდა, ფაქიზი სულის ვაჟკაცების სიმრავლე საქართველოში.

მაინც რამ აიყვანა ეს სულით მშვენიერი ახალგაზრდა მთაწმინდაზე, მარტოდმარტო ილიას საფლავთან ზაფხულის ხვატში? პასუხი ერთადერთია – მამულის დიდმა სიყვარულმა.

ილია, მართალია, მოვკალით, მაგრამ ანდერძად დაბარებულმა მისმა ეროვნული იდეების უკვდავებამ განაპირობა შთამომავლობაში მარადიული თაყვანისცემის დამკვიდრება მისი სულისა და ნეშტის წინაშე.

ვინ იცის, დიდი ილიას თაყვანისმცემელი ქართველი მოყმე, ალბათ, ერისკაცის საფლავთან მამულის გადასარჩენ, საბრძოლო ფიცს დებდა!..

**ლილი ბოჭორიძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მელიორაცია

# აჯამეთის წყალი იმერეთის დაგვალულ მიწას გააცოცხლებს

(მეთერთმეტე გვერდიდან)

სარწყავ წყალზე საფასურის გადახდა და მელიორაციული ამხანაგობების ჩამოყალიბება ჩვენში წინათაც იყო მიღებული, ახლა კი როგორც ზესტაფონის, ასევე საჩხერის, ბაღდათის და თერჯოლის რაიონებში 1997 წლიდან ძალაში შევიდა მთავრობის კანონი „სარწყავი სეზონიდან ფასიანი წყალსარგებლობის შემოღების შესახებ“, ამასთან, სამელიორაციო სამსახურისათვის დადგინდა საბითუმო ტარიფები, ჩამოყალიბდა ადგილზე სამელიორაციო კოოპერატივები, ასოციაციები და დაიწყო მუშაობა.

აქვე დავძენ, რომ ზესტაფონის სამელიორაციო სამმართველოში მუშაობენ გამოცდილი მელიორატორები. მთავარი ინჟინერი გოგი ბულაშვილი, უბნის უფროსი ნუგზარ გოგბერაშვილი და სხვები, რომლებიც დიდად ემადლიერებიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მელიორაციის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თენგიზ ჩიკვაიძეს, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში მათ ყოველნაირად ეხმარება.

აი, რას გვეუბნება ზესტაფონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **ჯემალ სალაძე**: – ჩვენს რაიონში 1000-1200 ჰექტარი მიწის ფართობები ირწყვება. შარშან სოფლებში შექმნილმა ასოციაციებმა ამოიღეს მიწოდებული წყლის რაოდენობის საფასური 16950 ლარი, რომელიც ისევ ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთებას და გაწეული ხარჯების ანაზღაურებას მოხმარდა. თუმცა, ხარჯები მინიმუმამდე ვერ აკმაყოფილებს წყლით მომარაგების მოთხოვნებს...

თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის და სურსათის სამმართველოს უფროსმა ჯონდო ზარნაძემ კი აღნიშნა, რომ მათ წლეულს მხოლოდ 500 ჰექტარი მორწყეს და თუკი წყალდიდობისაგან დაზიანებული არხები კვლავ აღსდგება, კიდევ 1200 ჰექტარს მორწყავენ.

ასეთივე მდგომარეობაა ბაღდათის და საჩხერის რაიონებშიც, სადაც აღდგენითი სამუშაოები ეს-ესაა იწყება. გამართული სარწყავი სისტემა კი სახელმწიფოს, რაიონის, შესაბამისი სამსახურის და მეურნეობათა მესვეურების ერთობლივი საზრუნავია.



იმედია, წლეულს აჯამეთის სარწყავ არხებში გაშვებული წყალი იმერეთის დაგვალულ მიწებს გააცოცხლებს და აახმიანებს.

**ჰენრი შარიძაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

რეგიონი

# ცხოვრების ბორბალს წაღმა მხოლოდ ვაჟკაცები დაატრიალებენ

ღვთისგან ბოძებულ ბუნებაშია ჩაფლული მესხეთ-ჯავახეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი რაიონი, ულამაზესი ადიგენი. ოთხმოცდახუთი სალოცავი „ცად ასულა ლოცვა-ვედრებად“.

ზარზმა, პატარა ზარზმა, ჭულე, ოქროს ციხე და... ვინ მოთვლის, ქართული ჩუქურთმით მოჭედილ კულტურის უძველეს, საოცარ ძეგლებს.

ნიკო კეცხოველმა თქვა: „ერს, რომელსაც ისტორია არ აქვს, მიეცი ადიგენის ერთი სალოცავი, თუნდაც ჭულე და იმ ერს ისტორია ექნებაო“.

„ველურ ბუნებას“ ამკობს ზემოთ, მაღლა, შაშვის მთის კალთაზე ჩაგუბებულნი ტბები თრიალისანნი, ხოლო გოდერძის უღელტეხილს – ბუნების საოცრება, გაქვავებული ტყე, ფლატისა და ღალვის წყაროთი.

ბუნებას მეტ საოცრებას ისევ ტყეები მატებს: ზეკარის უღელტეხილი, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალი. დიახ, დედამიწის ზურგზე ღმერთს თუ ვინმესთვის „საოცრება შეუქმნია და უბოძებია“, ერთ-ერთი მათგანი აბასთუმნის რქაგრეხილია და იქ აღმართული ობსერვატორია. ამ დიდებულ ადგილას არაერთი პოეტი, მწერალი, მეცნიერი, მუსიკოსი მოსულა და ბუნების სიმშვენიერით გულალტკინებულს, გულისწყვეტით დაუტოვებია ეს მადლიანი კუთხე.

რამდენიმე წელიწადია, რაც დავიწყებას მიეცა ეს უძველესი მხარე. უპატრონობამ, უყურადღებობამ დაანგრია და გააპარტახა ერთ დროს აღორძინებული კუთხე. გაიყიდა ტყით, სანატორიუმებით, კაცობით, სინდისნამუსით, სანთელ-საკმევლით და ვინ მოთვლის, კიდევ როგორ და რით...

დღეს, როცა სიცოცხლის ბორბალი წაღმა დატრიალდა, სულ სხვა სიომ დაჰბერა: „მოვალს გრიგოლი“! დიახ, მოვიდა დრო და მოიყვანა დიდი ერისკაცი, შრომაში და გარჯაში გამოწრთობილ-გამობრძმედილი, პატრიოტი თავისი ხალხისა, თავისი კუთხისა და იმ წუთში დაეტყო მისი ხელი ადიგენის იერ-სახეს.

შემობრძანდებით თუ არა ადიგენში, თვალწინ გადაგეშლებათ მოვლილი გზები, ხიდები, სკვერი, პარკები, კლუბ-ბიბლიოთეკების და სკოლების შელამაზებულ-შეკეთებული კედლები, რომლის შემოქმედიც გახლავთ **ალექსანდრე (გოდერძი) ინასარიძე**.

ბარაქალა შენს მარჯვენას, შენს კაცობას, ბატონო გოდერძი! მე კი ის მაშინებს, „მარჯვენა არ მოგკვეთონ ურჩმა თავადებმა“, რომლებმაც არ იციან და არც უნდათ გაიგონ, თუ რას უქადიან თავიანთ მომავალს...

**შ. ჩიხორიშვილი,**
პოეტი, ღირსების ორდენის კავალერი.
**შ. კელოშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძოწულია, ლია ჭიღლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში**

# ფილიპ ტრუსიეს ვარდისფერი ოცნება




„შოცნებოდ ვერაფერს მიაღწევ" – ეს იაპონიის ნაკრების ახალანდელი მწვრთნელის, ცნობილი ფრანგი სპეციალისტის ფილიპ ტრუსიეს სიტყვები გახლავთ. ახლა არ იკითხავთ, რაზე ოცნებობს ეს პატივცემული პიროვნება? არც მეტი და არც ნაკლები, მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებაზე!

იაპონურ ფეხბურთს, როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლო წლებამდე რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონია. პროფესიული ლიგა ამომავალი მზის ქვეყანაში მხოლოდ 1993 წელს დაარსდა, ისე კი იაპონელებმა, როგორც მათ საერთოდ სჩვევიათ, საქმეს ძალიან სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. ლიგის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ აქ სათამაშოდ ჩამოვიდნენ განთქმული ფეხბურთელები ზიკო, ლუნგა, ლინეკერი, სტოიჩკოვი, სკილაჩი და სხვები, რომლებმაც უამრავი გულშემატკივარი მოიზიდეს. ეთქვათ ისიც, რომ ფეხბურთის ქომაგების ნახევარზე მეტს იაპონიაში... ქალები შეადგენენ!

მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში იაპონელები 1954 წლიდან მონაწილეობდნენ, მაგრამ ძალიან დიდხანს ვერაფერს გახდნენ. აქ მათ მხოლოდ ერთი მეტოქე ჰყავდათ – სამხრეთ კორეის რესპუბლიკა, რომელსაც შემდეგ ისრაელი და ავსტრალიაც დაემატნენ. 1998 წელს იაპონელებმა, ბოლოსდაბოლოს, მაინც მოიპოვეს ფინალის საგზური მას შემდეგ, რაც გადამწყვეტ შეხვედრებში ჯერ ფრედ (2:2) ითამაშეს ირანელებთან, შემდეგ კი მოიგეს (1:0). რაც შეეხება გამოსვლას საფრანგეთში, აქ დებიუტანტებმა სამი მატჩი წააგეს – არგენტინელებთან 0:1, იამაიკელებთან 1:2, თუმცა – შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ. შეუპოვრობა გამოავლინეს თუ არა, ამას იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია უკვე დიდად აღარ დაგიდევდათ და მწვრთნელი ტაკეში ოკადა მყისვე გაათავისუფლეს. სურდათ განთქმული არსენ ვენგერის მიწვევა, რომელიც ადრე წარმატებით მუშაობდა იაპონიის „ჯეი-ლიგაში". მისი უარის შემდეგ არჩევანი ფილიპ ტრუსიეზე შეჩერდა.

ტრუსიე თავს განთქმული იტალიელი სპეციალისტების არიგო საკისა და ფაბიო კაპელის მოწაფედ თვლის. 45 წლის სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო საფრანგეთში, უმნიშვნელო კლუბ „ვიმის" მწვრთნელად, სადაც არაფერი გამოვიდა. შემდეგ გადაბარგდა აფრიკაში, სადაც სხვადასხვა დროს სათავეში ედგა კოტ დ' ივუარის, ნიგერიის, ბურკინა-ფასოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებებს. ერთი სიტყვით, იუგოსლაველ ბორა მილუტინოვიჩის გზა გაიმეორა, რომელსაც სამშობლოში დიდი სახელი არ ჰქონდა, საერთაშორისო ავტორიტეტი კი მოიპოვა.

ტრუსიემ ხელი კონტრაქტს იაპონიის ფეხბურთის ფედერაციასთან 1998 წლის შემოდგომაზე მოაწერა, მაგრამ პირველ ხანებში მარცხს მარცხზე განიცდიდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1999 წელს ნაკრებმა 7 მატჩი წააგო და მწვრთნელიც ძლივს გადარჩა. კრიტიკას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ტრუსიეც იაპონელი ფეხბურთელებივით შეუპოვარი აღმოჩნდა. „რაც მეტს გვაკრიტიკებენ, მერწმუნეთ, მეტი წარმატება გვექნება". თავისებური ლოგიკაა, მაგრამ შედეგებმაც არ დააყოვნეს. 1999 წელს იაპონიის ახალგაზრდული ნაკრები, ცხადია, იმავე ტრუსიეს ხელმძღვანელობით, მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატში (20 წლამდე), იაპონელებმა მოიპოვეს სიდნეის ოლიმპიადის დასკვნით ნაწილში თამაშის უფლება, სადაც მეოთხედფინალამდე მივიდნენ. იაპონიის ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ მოიპოვა აზიის თასი და, რაც მთავარია, ზედიზედ მეორედ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში. ამის შემდეგ ტრუსიეს, რომ იტყვიან, უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს.

იაპონიის ნაკრების მოთამაშეების საშუალო ასაკი 25 წელია, ფინალისტთა შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. ტრუსიეს აზრით, მოთამაშეებს კარგი ტექნიკა აქვთ, თუმცა ფიზიკური მომზადების მხრივ ზოგი რამ გამოსასწორებელია.



ნაკრებში რამდენიმე ლეგიონერია. მეკარე იოშაკაცუ კავაგუჩი (1975) ინგლისის „პორტსმუტში" თამაშობს, ნახევარმცველი სინძი ონო (1979) – როტერდამის „ფეიენოორდში", კიდევ ერთი ნახევარმცველი იუნიჩი ინამოტო (1979) – ლონდონის „არსენალში", მაგრამ ყველაზე დიდი სახელი, ცხადია, განთქმულ სიდეტოში ნაკატას (1977) აქვს.

`ნაკატა შესანიშნავ გამთამაშებლად ითვლება. ადრე იგი „რომაში" გამოდიოდა, რომლის შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონი გახდა, ახლა „პარმას" ფეხბურთელია. ტრუსიე, რა თქმა უნდა, აფასებს ნაკატას ხელოვნებას, მაგრამ მასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. საქმე ის არის, რომ შარშან, კონფედერაციის თასზე, ფინალური მატჩის წინ ნაკატამ მიატოვა იაპონიის ნაკრები და თქვა, რომ აუცილებლად „რომას" უნდა დაუბრუნდეს. ტრუსიეს განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ნაკრები ლეგიონერების გარეშეც კარგად ითამაშებს.

იაპონიის ნაკრები, მიმომხილველთა აზრით, კარგად არის დაკომპლექტებული, ამასთან, აღნიშნავენ თავდამსხმელებს აკინორი ნიშიძავას (1976), მასაში ნაკაიამასა (1967) და ტაკაიუკი სუძუკის (1976). შესარჩევ მატჩებში სამივე შედეგიანად მოქმედებდა.

ახლა კი გაეცნოთ ნაწყვეტებს ფილიპ ტრუსიეს ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც უეფას საინფორმაციო მაცნემ გაავრცელა.

დასაწყისში მწვრთნელმა განაცხადა, რომ წილისყრის დროს იაპონელებს მაინცდამაინც არ გაუმართლათ, თუმცა, როცა მეტოქეთა მწვრთნელებს სახეში შეხედა, მიხვდა, რომ ოთხივე ნაკრებს დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

– ჩემი დიდი სურვილია იენისში მაყურებლებს იაპონური ფეხბურთის ყველა ღირსება და მიღწევა ვუჩვენოთ. მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაში უახლოესი 20 წლის განმავლობაში ფეხბურთის განვითარების დამატებითი სტიმული უნდა გახდეს. ჩვენი ამოცანაა ამ შეჯიბრებაში, სულ ნაკლები, მერვედფინალში გასვლა. ვფიქრობ, ეს ამბიციები ახლა არავის მოეჩვენება მეტისმეტად და გადაჭარბებულად! ის ეგონა, რომ ჩვენ წარმატებით ვითამაშებდით მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის, და, გნებავთ, სიდნეის ოლიმპიადაზე? ერთიც გავაკეთეთ და მეორეც. ჩვენ არც ისე დამოკიდებული ვართ საზღვარგარეთ მოთამაშე ლეგიონერებზე და ამიტომ მომზადებას ძალიან დიდი დრო მოვანდომეთ. შინ ვთამაშობთ, ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს – დიდ სიცხესა და მაღალ ტენიანობას კარგად ვეგუებით, ყველა სხვა ნაკრებს კი შეჩვევა მოუხდება.

– მე მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე ვოცნებობ, მხოლოდ მონაწილეობა არ მაკმაყოფილებს. ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ხელსაყრელი წილისყრა და ცოტაოდენი იღბალიც.

**– როგორ ფიქრობთ, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი და, კიდევ ერთი – ვინ იქნება ამ ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენა, ანუ ვინ მოუტანს ფეხბურთის სამყაროს მთავარ სიურპრიზს?**

– ვფიქრობთ, ჩემპიონობის მოპოვების ყველაზე კარგი შესაძლებლობა ფრანგებს აქვთ. იაპონელები ფრანგების ქომაგები იქნებიან (აქ ტრუსიე, უნდა ვიფიქროთ, საკუთარ ავტორიტეტსაც გულისხმობს). ბევრი ადგილობრივი გულშემატკივარი წარმატებას ბრაზილიელებს უსურვებს, ქვეყანას, რომელმაც იაპონიაში ფეხბურთის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა. რაც შეეხება ჩემპიონატის მთავარ აღმოჩენას, იგი, ჩემი აზრით, იაპონიის ნაკრები იქნება. მასპინძლები ხომ, როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონატებში წარმატებით მონაწილეობენ ხოლმე. საერთოდ კი, მე ვერ ვხედავ მიზეზს, რამ უნდა შეუშალოს ხელი იაპონიის ნაკრებს სიურპრიზის მოტანაში.

**გივი გამრეკელი.**

# მსხვერპლშეწირვიდან – დიდებამდე

მსაჯებმა მოედანზე პირველად 1878 წელს გამოჩნდნენ. მანამდე ისინი ტრიბუნებზე სავარძელში ისხდნენ ხოლმე, მოედანზე კი მხოლოდ მათი თანაშემწეები იყვნენ. მსაჯები მატჩების დროს დიდხანს იყენებდნენ ჩვეულებრივ სასკოლო ზარს. არაოფიციალური ვერსიით, სასტვენი მოედანზე შემთხვევით გაჩნდა. ერთხელ მატჩს პოლიციელი სჯიდა. როდესაც მოედანზე მოთამაშეებმა ჩხუბი დაიწყეს, რაც ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, მან ამოიღო სამსახურებრივი სასტვენი და მალე დაამყარა წესრიგი. მას შემდეგ გადაწყდა, რომ ყველა მსაჯს სასტვენი ჰქონოდა.

1855 წელს ფეხბურთის ისტორიაში შეიქმნა პირველი საფეხბურთო კლუბი – „შეფილდ იუნაიტედი".

1872 წელს გლაზგოში გაიმართა პირველი მატჩი ორი ქვეყნის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრები. ინგლისის გუნდში მინდვრის 10 მოთამაშიდან 1 ასრულებდა მცველის ფუნქციებს, 1 – ნახევარმცველისას, დანარჩენი 8 კი თავდამსხმელი იყო. შოტლანდიელებში როლები ასე განაწილდა: 2 მცველი, 2 ნახევარმცველი და 6 თავდამსხმელი. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

1878 წელს შეფილდში პირველად გაიმართა მატჩი ელექტრონით განათებულ მოედანზე. იმ დღეს „ბერამელ ლეინის" სტადიონზე თავი მოიყარა 14 ათასმა კაცმა.

1888 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა პირველი პროფესიული საფეხბურთო ლიგა.

1900 წლიდან ფეხბურთი შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

1902 წელს ჩატარდა პირველი საერთაშორისო შეხვედრები (ავსტრია – უნგრეთი, არგენტინა – ურუგვაი).

1904 წელს შეიქმნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა). მისი პირველი პრეზიდენტი იყო ფრანგი ჟიულ რიმე, რომლის სახელსაც 1970 წლამდე ატარებდა მსოფლიოს ჩემპიონატის თასი.

1930 წლიდან იმართება მსოფლიო ჩემპიონატები. 1958 წლიდან – ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, 1960 წლიდან – ევროპის თასის, ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება, 1968 წლიდან – ევროპის ჩემპიონატი.

1970 წლიდან დაწესდა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი პრიზი – ფიფას თასი.

1971 წლიდან იმართება უეფას თასის გათამაშება, 1972 წლიდან – სუპერთასის გათამაშებები. ამას შემდგომ დაემატა აზიისა და აფრიკის ჩემპიონატები და სხვ.

საქართველოში ფეხბურთის თამაში დაინერგა მე-20 საუკუნის დამდეგს ზღვისპირა ქალაქებში (ფოთი, ბათუმი, სოხუმი). 1912 წელს თბილისში გაიმართა პირველი ოფიციალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 4 გუნდი – სამი გიმნაზიისა და კომერციული სასწავლებლის გუნდები.

1925 წელს გაიმართა პირველი გასვლითი საერთაშორისო მატჩი: ბათუმის სახანძრო საზოგადოების გუნდი ტრაპიზონში შეხვდა ადგილობრივ ფეხბურთელებს. ერთი მატჩი მოიგეს ბათუმელებმა (7:1), ერთი – თურქებმა (2:1).

1936 წლის შემოდგომიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში (უმაღლესი ლიგა) მონაწილეობდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, 1962 წლიდან – ქუთაისის „ტორპედო", 1980 წლიდან – ლანჩხუთის „გურია".

1964 და 1978 წლებში თბილისის „დინამო" გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1976 და 1979 წლებში მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

1981 წელს გუნდმა ძალზე დიდ წარმატებას მიაღწია – დაეუფლა ევროპის თასების მფლობელთა თასს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 129.

**სულიკო ნუცუბიძე.**

**ქართული ჭიდაობა**

# აღდგენილ წრეში...



თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობამ და სპორტის სამსახურმა, განაახლა რა ზღვის უბანში არსებული ღია საჭიდაო სარბიელი (თემქა, მე-11 მიკრორაიონი, II კვარტალი), აქვე ქართული ჭიდაობაც გამართა. დიდი ხნის მესვენების შემდეგ აქაური არე-მარე ზურნა-დოლის წამქეზებელმა ჰანგებმა გამოაცოცხლა.

ამ კეთილ საქმეში წვლილი შეიტანეს რაიონის გამგებელმა ირაკლი ქორიძემ, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ოშაყმაშვილმა, ზღვის უბნის № 1 „სერვისული ცენტრის" დირექტორმა ამირან გაფრინდაშვილმა და უბნის მკვიდრმა, ცნობილმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ.

აღდგენილ ნახერხმოყრილ საჭიდაოზე ორთაბრძოლებიც მიმზიდველი გამოდგა. ხუთ წონით კატეგორიაში ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: ლევან ქოჩიევი (თბილისი), ალექსი მაქარაშვილი, ნოდარ მჭედლიშვილი (ორივე – საგარეჯო), ალექსანდრე ჩახუნაშვილი (ვანი) და მერაბ ფანცულაია (თბილისი).

როგორც ყოველთვის, ქომაგთა ყველაზე დიდი ინტერესი აბსოლუტურმა პირველობამ გამოიწვია, სადაც გამარჯვებულს ყოჩი ელოდა...

აბსოლუტური წონის ფინალში კასპელი სოსო პავლიაშვილი თბილისელ მერაბ ფანცულაიას შეერკინა. გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის 21 წლის სტუდენტმა სოსო პავლიაშვილმა გაიმარჯვა და მთავარი ჯილდოც დაიმსახურა.

სულ მალე გლდანი-ნაძალადევის რაიონში ქართული ჭიდაობის მორიგი შეჯიბრება გაიმართება. როგორც ჩანს, ძალლონეს იკრებს ჩვენი ეროვნული ჭიდაობის სეზონი. ვინ არის შემდეგი?!

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათზე: აბსოლუტური პირველობის გამარჯვებული სოსო პავლიაშვილი.**

**ავტორის ფოტო.**

# განცხადება
## კონკურსი შეჩერებულია

„საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2002 წლის 10 მაისის კანონის თანახმად და „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროში მოსალოდნელ სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით 2002 წლის 19 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ვაკანტურ თანამდებობებზე გამოქვეყნებული კონკურსი დროებით შეჩერებულია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო – საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: 380062 თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №70, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კადრების სამსახური. ტელ: 23-52-09.

**ფეხბურთი**

# ვლადიმერ ბარქაიას თასზე



ვლადიმერ ბარქაიას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ფეხბურთში, 29 ივლისს დაბადების 65 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღის დადგომამდე ჯერ კიდევ 2 თვეა, მაგრამ მოვლენას დაასწრო სპორტკლუბმა „გეორგიამ" (დირექტორი – საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ჟანი ლეჟავა), რომელმაც სპორტკლუბ „ფეიქრის" სტადიონზე ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირი გამართა 1989-90 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ფინალურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „შევარდენისა" (მწვრთნელი ვაჟა ხუბეჯაშვილი) და „XXI საუკუნის" კლუბები. ანგარიშით – 2:1 გაიმარჯვეს „შევარდენის" ფეხბურთელებმა, რომლებსაც ვლადიმერ ბარქაიამ თავისივე სახელობის თასი გადასცა.

ორკვირიან ტურნირში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა არმიის სპორტული კლუბის ჭაბუკთა გუნდი, რომელმაც ბრინჯაოს მედლებისათვის მატჩში ანგარიშით – 3:1 დაამარცხა „მერანი".

ჟიურიმ (მის შემადგენლობაში ვლადიმერ ბარქაიაც შედიოდა) საუკეთესო მეკარის პრიზი გადასცა „შევარდენის" კარის დარაჯს სოსო ბრეგვაძეს, დამცველისა – გიორგი ფაილოძეს („შევარდენი"), ნახევარმცველისა – ვასიკო ფურცელაძეს („მერანი"), თავდამსხმელისა – გიორგი ჯაკობიას („XXI საუკუნე"), ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისა – მურმან კარმელიას (სკა), ტურნირის პერსპექტიული მოთამაშისათვის განკუთვნილი ჯილდო იუბილარმა კახა მაისაიას (თემქა) გადასცა.

მანამდე კი დასრულდა ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირი 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელი" (პირველი) და „ნორჩი დინამოელი"(მეორე) გუნდები. მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში მეორე გუნდმა (მწვრთნელი ოლეგ იმნაძე) გაიმარჯვა და ვლადიმერ ბარქაიას თასიც მოიპოვა.

**შალვა ძორიძე.**




# „ლოკომოტივი" გვახარებს

დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი ფეხბურთში 1991 წლებში დაბადებულ ბიჭუნებს შორის. მასში 14 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა თბილისის „ლოკომოტივმა" (მთავარი მწვრთნელი ვახტანგ ჩოჩიშვილი). ნორჩმა რკინიგზელებმა შესანიშნავად წარმართეს ტურნირი – მათ ყველა (26 შეხვედრა, ორ წრედ) მატჩი მოიგეს ბურთების სარეკორდო შეფარდებით 136:7 (!).

თბილისის „ლოკომოტივის" (პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე) ფეხბურთელებმა ჩემპიონობასთან ერთად ლეგენდარული მოთა იამანიძის სახელობის თასიც დაისაკუთრეს.

26 მაისს მწყობრში ჩადგა „ლოკომოტივის" სათადარიგო სტადიონი. მინდვრისა და სათამაშო მოედნის ზომები შეესაბამება უეფას მოთხოვნებს, ხოლო ტრიბუნები 600-მდე მაყურებელს იტევს. ეს ლამაზი სპორტული ნაგებობა 5 თვეში აშენდა.

აქვე გაიმართა ამხანაგური მატჩი ზემოთ აღნიშნულ ქალაქის ჩემპიონებსა და ქუთაისის „ტორპედოს" 1991 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის (მწვრთნელი ალეკო კვერნაძე). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა". გოლი თამაშის მე-8 წუთზე გაიტანა გუნდის ბომბარდირმა მიხეილ კალიანდრამ.

**ვაჟა ჭიაურელი.**

**სურათზე: ტურნირში გამარჯვებული გუნდი.**

**ნოდარ შიუკაშვილის ფოტო.**

# „ედელვეისის" სტადიონზე

ამ დღეებში ვარკეთილის ტერიტორიაზე მდებარე „ედელვეისის" მომცრო სტადიონზე გაიმართა მოზარდთა და ბავშვთა ტურნირი. მთავარი ორგანიზატორები გახლდნენ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიხიაშვილი, მრეწველთა პარტიის ადგილობრივი ლიდერი ფრიდონ ნემსაძე. ასპარეზობას ესწრებოდნენ გოგი თოფაძე, რომან გოცირიძე, მწვანეთა პარტიის ლიდერი გია გაჩეჩილაძე და სხვები, რომლებმაც ფულადი და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს როგორც ბავშვთა, ისე უბნებს შორის გამარჯვებული გუნდები...

მოზარდთა ტურნირში ორ შესარჩევ ქვეჯგუფად დაყოფილი 8 კლუბი გამოდიოდა. ფინალში „ბერმუხას" ჭაბუკთა კლუბმა ანგარიშით 2:1 მოუგო „ვაზისუბნის" თანატოლებს და პირველი ადგილი დაიკავა. ჟიურიმ საუკეთესო მეკარედ მიიჩნია დიმიტრი სიჯოევი, ბომბარდირად – ლაშა ფილფანი (ორივე „ბერმუხა"), საუკეთესო მოთამაშედ – გია შიხიაშვილი („ვაზისუბანი").

ამავე „ედელვეისის" სტადიონზე მოეწყო ტურნირი სამგორის რაიონის უბნებს შორის. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის პროსპექტისა და VII კვარტლის ფეხბურთელები. დიდი ანგარიშით 7:1 გაიმარჯვეს მეშვიდე კვარტლის სპორტსმენებმა, რომლებსაც 300 ლარი გადაეცათ. მეორე პრიზიორმა – მოსკოვის პროსპექტის გუნდმა 200 ლარი მიიღო. საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს დიმა კაპანაძე (მოსკოვის პროსპექტი), ბომბარდირის პრიზი ხვდა ვახტანგ ცირდავას, რომელმაც 10 გოლი გაიტანა, ხოლო საუკეთესო მეკარის ჯილდო ზაურ ცხადაძემ მიიღო.

**შოთა გოკერია.**

**სურათებზე: ბავშვთა გუნდი „ბერმუხა"; ფინალური მატჩის მომენტი; უბნებს შორის გამარჯვებული VII კვარტლის გუნდი.**

**რობერტ ბაგიიანის ფოტო.**







**ათლეტიზმი**

# თელავი სათასო ქალაქია

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამარჯვებით დასრულდა პროფკავშირული სპორტის სააქციო საზოგადოება „ქარიშხალას" დარბაზში გამართული საქართველოს თასის გათამაშება ძალოსნობაში სამჭიდში. აღსანიშნავია, რომ თავის შეგირდთა მხარდამხარ იასპარეზა ამ გუნდის ჭარმაგმა თავკაცმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ათლეტიზმის საპატიო ოსტატმა, 52 წლის დავით ბეჟანიშვილმა.

საგულისხმოა ისიც, რომ სპორტის ოსტატთა რიგები კიდევ ორი ახალგაზრდით შეივსო – ეს ნორმატივი დაძლიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (დეკანი – პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე) III კურსის სტუდენტებმა ლევან ბიბილურმა და კოტე ელყანიშვილმა (მწვრთნელი – თორლვა მაგრაქველიძე).

ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა ეროვნული თასის გათამაშება ორი ასაკობრივი ჯგუფის – 18 და 23 წლის ახალგაზრდებს შორის, რომელსაც თსუ-მ უმასპინძლა. აქაც ბადალი არ ჰყავდათ თელაველებს (მწვრთნელები დავით ბეჟანიშვილი, ბექა მაზანიშვილი), რომლებმაც ორივე ასაკობრივ ჯგუფში იყოჩაღეს. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს 21 წლის თელაველი ათლეტი ზურაბ ძამუკაშვილი, რომელმაც სიღნაღელი სპორტის დამსახურებული ოსტატის დავით მერებიშვილის მიერ 11 წლის წინათ ესტონეთის ქალაქ კოხტლა-იარვეში 75 კგ-მდე წონით კატეგორიაში დამყარებული საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა ამოწევაში უფროსებს შორის 5 კილოგრამით – 272,5 კგ.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**სამბო**

## ერთი „ვერცხლი"

ჟყაზახეთის ქალაქ ურალსკში გაიმართა სამბისტთა მსოფლიო თასის გათამაშება. საქართველოდან აქ მოასპარეზე სამ ათლეტს შორის კარგად გამოვიდა მძიმე წონის ფალავანი **ზვიად წიკლაური**, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**ყოველი მხრიდან**



## ისევ და ისევ ბლატერი

გუშინ გაცნობეთ, რომ 66 წლის იოზეფ ბლატერი სეულში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 53-ე კონგრესზე კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად, თანაც თავისი ერთადერთი მეტოქე – აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი, 55 წლის კამერუნელი ისა აიიატუმან დიდი უპირატესობით დაამარცხა – 139 ხმა 56-ის წინააღმდეგ. კონგრესში მონაწილეობდნენ ფედერაციაში შემავალი 204 ქვეყნიდან 202 ქვეყნის დელეგატები, საიდანაც ხმის უფლება ჰქონდა მხოლოდ 197-ს (ორი ბიულეტენი გაუქმებულად ჩაითვალა).

შეგახსენებთ, რომ ბლატერი ძალზე გამოცდილი ფუნქციონერია, ის თითქმის 40 წელი მუშაობდა სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებში, აქედან თითქმის საუკუნის მეოთხედი – უშუალოდ ფიფაში, რომელიც 2 წელიწადში თავის საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს, შვეიცარიელის ამ მაღალ პოსტზე არჩევას ხელი ვერ შეუშალა იმან, რომ ფიფას აღმასკომის 24 წევრიდან თერთმეტი მას ბრალს სდებდა საფინანსო და სხვა მაქინაციებში.

გუშინწინ, არჩევნების შემდეგ, ბლატერმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა შეინარჩუნოს „საფეხბურთო ოჯახის" ერთიანობა.

– საფეხბურთო სამყაროს მოტყუება არ შეიძლება, – თქვა მან, – უნდა აღვადგინოთ მშვიდობა ჩვენს რიგებში და მე ამას გავაკეთებ.

ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ მესამედ აღარ იბრძოლებს 2006 წლის არჩევნებში. მაგრამ არ გამორიცხავს, რომ შეეცდება, თავისი უფლებამოსილება გააგრძელოს ერთი წლით, რათა პრეზიდენტის არჩევნები აღარ დაემთხვეს მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის ვადებს.

## ჩოგბურთი შემოსავლიანი ყოფილა!

როგორც მელბურნიდან იტყობინებიან, წლევანდელ იანვარში მწვანე კონტინენტზე გამართულმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატმა ჩოგბურთში ვიქტორიის შტატის ხაზინას 189 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოუტანა. ეს კი 37 პროცენტით მეტია 1999 წლის შემოსავალზე, ხოლო 83 პროცენტით მეტი 1997 წლისაზე. ეს ვეებერთელა მოგება მოდის 500 ათასი ბილეთის გაყიდვის, რეკლამის, ტელეტრანსლაციებისა და ლიცენზირებული საქონლის ანგარიშზე.

* * *

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს პარიზში, ქართველმა ჩოგბურთელმა **ირაკლი ლაბაძემ** პირველ წრეში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ფრანგი ბუტიე.

## ჯერ ღმერთი და შემდეგ ფეხბურთი

სამხრეთ აფრიკის საეკლესიო ლიდერები წინააღმდეგნი გამოვიდნენ დილის მესის დროის გადატანისა იმ მიზეზით, რომ ის ემთხვევა მსოფლიო ჩემპიონატზე მათი ნაკრების მატჩების დროს. ისინი აღაშფოთა კენტრბერის არქიეპისკოპოსის გადაწყვეტილებამ, რომლითაც გამოხატა რა ზრუნვა ინგლისელ გულშემატკივრებზე, დაეთანხმა დილის მესის სამი საათით გვიან გადაწევას, რათა მრევლს საშუალება ჰქონდეს, ნახოს ინგლისის ნაკრების მატჩი შვედებთან.

– „შეცბუნებულები ვართ არქიეპისკოპოსის გადაწყვეტილებით, – თქვა ეპისკოპოსმა მარტინ მორისონმა, – ჩვენ სპორტის წინააღმდეგ როდი ვართ, მაგრამ მრევლისათვის პირველ ადგილზე ღმერთი უნდა იყოს".

## ცდუნებას ვერ გაუძლეს

ახლა, როცა მთელი პლანეტა მოცულია „საფეხბურთო ციებ-ცხელებით", ცდუნებას ვერ გაუძლეს კორეელმა პოლიციელებმაც და სეულში, აშშ საელჩოს წინ ასეთი იმპროვიზირებული საფეხბურთო მატჩი გამართეს.



**ცინცხალი ამბები**



რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების სასტუმროს მახლობლად 62 წლის რადიკალურად განწყობილმა, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა იაპონელმა, რომლის ვინაობასაც არ ამხელენ, მოაწყო სკანდალი რუსეთის მიერ კურილიის კუნძულების ოკუპაციასთან დაკავშირებით.

იგი სასტუმროს ტერიტორიაზე სხვადასხვაგვარი ტრანსპარანტებით დამშვენებული ავტობუსით შეიჭრა, მაგრამ წესრიგის დამცველებმა იგი უმალ დააკავეს.



მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად კორეისა და იაპონიის ხელისუფლებმა მთელი ყურადღება გადაიტანეს ყოველგვარი ტერორიზის გამოვლენასა და მის აღმოფხვრაზე.

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ სტადიონზე დაიდგა სარაკეტო დანადგარები, ხოლო ჩემპიონატის დღეებში სტადიონების თავზე პატრულირებას გასწევენ ავიაგამანადგურებლები.

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს სურათი მე-20 საუკუნის 40-იან წლებშია გადაღებული და მასზე გამოსახულნი არიან ახალგაზრდა ოზურგეთელი ექიმები (მარცხნიდან მარჯვნივ): ლიდა შარაშიძე-რამიშვილისა, ლიდა ინწკირველი-ხუციშვილისა და დარეჯან ვაშაყმაძე-დუმბაძისა.

მოგვაწოდა თენგიზ კუნჭულიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



როცა სასწრაფო დახმარების მანქანას ვხედავ, გული მეკუმშება იმ გაჭირვებულის გამო, რომელიც მანქანაშია: ყველგან საცობებია, შუქნიშნები არ მუშაობს, გზას არავინ გითმობს და ზურგს უკან ვიღაცა საცოდავად კვნესის.

***

— გუშინდელი ქეიფის მერე გაღვიძებულიც არა ვარ. ვდგავარ სარკის წინ. მომდგომია ეს ტიპი და მპარსავს. სულ დამიჩეხა სახე.
— ვინ ტიპი?
— ის ტიპი — სარკიდან.

***

აფთიაქში ხანდაზმული ქალი შედის. მიეგებება ახალგაზრდა აფთიაქარი და დახმარებას შესთავაზებს.
— გმადლობთ, — უპასუხებს ქალი, — მაგრამ ჯერ მითხარით, გაქვთ თუ არა სამედიცინო განათლება?
— დიახ, — დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.
— ალბათ, „სამიანებზე"?
— არა, წითელ დიპლომზე.
— მაშ, შემიძლია მშვიდად ვიყო. გამიხვიეთ, გეთაყვა, ბამბა...

***

ორი ექიმი გინეკოლოგი რესტორანში ვარიეტეს უყურებს. მოწყენილები სხედან. ერთი შენიშნავს:
— ეს არის ვარიეტე?!
— მართალი ხარ! წავიდეთ სამსახურში.

***

ერთ საავადმყოფოში რეფორმის განხორციელება ექიმების კაბინეტებზე წარწერების ნაცვლად სიმბოლოების გამოსახვით დაიწყეს. თვალის ექიმის კარს — თვალი მიახატეს, ტრავმატოლოგისას — გატეხილი კაკალი, ფსიქიატრის კარი ნაირ-ნაირი ფერებით შეღებეს და ა. შ.

გინეკოლოგიური კაბინეტის კარი კი ოდნავ გაღებული დატოვეს.

## პრემიერის წინ

# სანამ ფარდა დაეშვებოდეს

პრემიერით აპირებს დახუროს სეზონი თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრმა. იგი მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანს ირლანდიელი დრამატურგის ჯონ სინგის ნაწარმოების მოტივების მიხედვით რეჟისორ ზურაბ გეწაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „გმირს". ეს იქნება ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის სარეჟისორო დებიუტი.

სინგის პიესას ქართულმა თეატრმა მიმართა 78 წლის შემდეგ: მაშინ მისი გმირები გაცოცხლდნენ თბილისურ სცენაზე კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლში.

– დიდი ხანია ვოცნებობდი მომესინჯა ძალები რეჟისურაში სწორედ ამ ნაწარმოებით, – განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას ზურაბ გეწაძემ. – ამ ნაწარმოებში მხიბლავს პრობლემა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ადამიანი და საზოგადოება. უფრო დაწვრილებით თუ მიუდგებით საკითხს, ეს არის პიესა – გროტესკი, რომელიც მოგვითხრობს იმაზე, თუ საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებას როგორ შეუძლია შექმნას პიროვნებისაგან გმირი. ხოლო როცა დასჭირდება, ისევ და ისევ საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, დაამხოს იგი... ვფიქრობ, რომ ეს მარად აქტუალური თემა და პიესაა, რომელიც შექმნილია მე-19 საუკუნის დამლევისა და მე-20 საუკუნის დამდეგისათვის, თუმცა ეხმიანება ჩვენს სინამდვილეს...

ახლა მიმდინარეობს რეპეტიციები. ივნისის დამლევისათვის უნდა დასრულდეს მუშაობა და თეატრის სეზონი „გმირით" დაიხუროს.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები გიორგი ყიფშიძე, ნინო ბურდული, ნანა ლითანიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, ზურაბ ბეგალიშვილი და გია აბესალაშვილი.

საქინფორმი.

## ხსოვნა

### ჯემალ ხაჭალია



არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პროფესიონალიზმით, ვაჟკაცობით, მხედრული ფიცის ერთგულებითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ჩვენი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების, კერძოდ პოლიციის საქმიანობასა და ავტორიტეტს. ამ ღირსეულ ადამიანთა პლეადას ამშვენებდა თადარიგის პოლკოვნიკი ჯემალ გიორგის ძე ხაჭალია, რომელსაც ხვალ, 1 ივნისს უკანასკნელ გზაზე გააცილებენ და მშობლიურ ქართულ მიწას მიაბარებენ მისი თანამებრძოლები, მის მიერ აღზრდილი და დაფრთიანებული სამართალდამცველთა რამდენიმე თაობის წარმომადგენლები და მისი მესანიშნავი ოჯახის წევრები, მადლიერი საზოგადოების წარმომადგენლები.

ჯემალ ხაჭალია დაიბადა 1930 წელს, სოფელ ნაბაკევში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილში.

1965 წლიდან საკუთარი მოწოდებითა და სურვილით სამუშაოდ გადავიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც მან 26 წელი იმოღვაწეა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში გამობრძმედილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცის ღრმა თეორიული განათლება, ორგანიზატორული ნიჭი, ამოუწურავი ბრძოლის უნარიანობა და ოპერატიული ალღო განსაკუთრებით გამოჩნდა იმ წლებში, როცა ჯემალ ხაჭალია იყო თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ კი სათავეში ედგა მცხეთისა და გარდაბნის რაიონის მილიციის განყოფილებებს. მისი ნაყოფიერი შრომა, თავდადება და მიღწეული შედეგები მრავალჯერ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, მადლობებითა და სხვა წახალისებებით.

სამი გამორჩეული ღირსება ახლდა ბატონ ჯემალ ხაჭალიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას: მაღალი პროფესიონალიზმი, შეუვალი პრინციპულობა და შეუბღალავ წესიერებასთან შერწყმული კაცთმოყვარეობა. ამ პრინციპებით აღზარდა მან ახალგაზრდა სამართალდამცველთა რამდენიმე თაობა და საკუთარი შვილები.

შესანიშნავი მოქალაქისა და მოღვაწის, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის – ჯემალ ხაჭალიას სახელი, ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილებისა და მადლიერი საზოგადოების გულში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო.

### მარკოზ ალელიშვილი

დამსახურებული აგრონომის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვეტერანის ბატონ მარკოზ ალელიშვილის გარდაცვალებით საქართველოს აგრარულმა დარგმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

ბატონი მარკოზი დაიბადა 1924 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. კილდაში. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და იმ დღიდან ჩაება დაუღალავ შრომაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალქალაქის რაიონში აგროსამრეწველო სექტორს, იყო გამოცდილი და მაღალკვალიფიციური თავკაცი და სპეციალისტი.

ბატონი მარკოზის მოღვაწეობა ღირსეულად იქნა შეფასებული სახელმწიფოს მიერ და მრავალი საპატიო სიგელის და მედლის გარდა საქართველოს ღირსების ორდენიც მიენიჭა.

მარკოზ ალელიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ახალი თაობის აღზრდაში, რომელიც წარმატებით აგრძელებს მისგან მიღებული ცოდნის დანერგვას.

ჩვენ, ბატონი მარკოზის კოლეგები და მეგობრები პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

## სადიმილოდ

# სურათები კუკურის ცხოვრებიდან

## მოულოდნელი განცდები

„მგონი, მართლა მიწისძვრაა", – გაიფიქრა კუკურიმ, როდესაც მაგარი რყევა იგრძნო, თუმცა ცოლს ხმა რომ ჩაესმა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

მეუღლე მხარში ჩაპფრენოდა, ძლიერად ანჯღრევდა და, ადექი-ადექიო, – ჩასძახოდა ყურში.

– რა მოხდა, ადამიანო? – ახედა ცოლს.

– როგორ თუ რა მოხდა, მიწისძვრა იქნება დილითო, ხომ გვითხრეს, ადექი, ადექი, შვიდი საათია უკვე, ქვეყანა გარეთაა გასული!

– არსად არ მივდივარ მე! – მტკიცედ გამოაცხადა კუკურიმ.

– რას ამბობ, კაცო! მალე ჩაიცვი, თორემ დაგვემხობა ეს სახლი თავზე.

– რამდენი სულელი რაღაცას იტყვის, იმდენს რომ დავუჯერო, კარგად წავა ჩემი საქმე! გითხარი მე შენ – არსად არ მივდივარ. ბავშვები წაიყვანე და წადით.

– ბავშვები უკვე ეზოში არიან, ჩვენ გველოდებიან!

– ჰოდა, ძალიან კარგი! მე ჩემს სახლში ვრჩები, რაც მოსასვლელია, მომივიდეს.

– უყურე ახლა ამას! რას ჯიუტობ, კუკური, შეიძლება ბუნებასთან შეჭიდება?

– მე უკვე გითხარი სათქმელი, აღარ უნდა ამას ლაპარაკი! – თქვა და კედლისკენ გადაბრუნდა.

– მაშინ მეც არსად არ წავალ! – რადიკალურად შეიცვალა აზრი ცოლმა და სკამზე ჩამოჯდა.

– შენი საქმე შენ იცი, – წაიბურტყუნა კუკურიმ.

– რაც მოგვივა, ორივეს ერთად მოგვივიდეს! უშენოდ ცხოვრება რად მინდა! – ამოუჯდა გული ცოლს!

– ბავშვები გაუშვი, ბავშვები! – დაავალა ცოლს.

ცოლი აივანზე გავიდა.

– წადით თქვენ, ჩვენ ცოტა გვიან წამოვალთ! საქმე გვაქვს! ვაკის პარკში წადით! ჰაერზე იქნებით! – ჩასძახა ლევანს და ქეთინოს.

... ოთახში შემობრუნდა.

– რა გაატანე? – ჰკითხა კუკურიმ.

– რა გაგვაჩნია, არ იცი? ჩვენი ქორწინების ბეჭდები, საყურეები, დედაჩემის ნაქონი მძივები და ვერცხლის დანა-ჩანგალი. ცოტა ფულიც, რაც მქონდა გადანახული და საჭმელი, თბილი ტანსაცმელი, გარეთ რომ დავრჩეთ!!

– ნუ გეშინია, – დააწყნარა მეუღლე კუკურიმ, – ღმერთმა არ ქნას და, თუ ღმერთი გაგვიწყრება, სასწრაფოდ წამოვხტეთ და ღია კარების ქვეშ დავდგეთ, ის ადგილი უძლებსო, ასე მაქვს წაკითხული.

მეუღლე აღარ გაეპასუხა, გახდა დაიწყო და ქმარს გვერდით მიუწვა.

... რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზორში მოსალოდნელ ქარიშხალზე ატეხეს აურზაური: 20 და 40 მეტრია წამში მოსალოდნელი საქართველოშიო, ხეებს დათხრის, სახლებს დაანგრევს, მანქანებს გაიტაცებსო.

– მაინც, ნიშანდობლივ ეპიცენტრი სად იქნება? – ეკითხებოდა კორესპონდენტი, პალტომოსხმულ შუახნის კაცს (ეტყობა, შინ მიეჩქარებოდა).

– აღმოსავლეთ საქართველოში, ხაშურში, გორში, კახეთში, – აკონკრეტებდა რესპოდენტი.

– რა გვემუქრება, კონკრეტულად? – არ ეშვებოდა გოგონა.

– წარღვნა, ნგრევა და, რა ვიცი, კიდევ რა! – მთლად მოგვილო ბოლო პალტომოსხმულმა.

– რა ვიღონოთ? – კვლავ შეეკითხა.

– ბავშვები გარეთ არ გაუშვათ და საერთოდ სახლიდან ცხვირი არ გამოყოთ...

„ეს არი ცხოვრება? რა გვეშველება! ხან გვეუბნებიან, გადით სახლებიდან დედა-ბუდიანადო, ხან – ფეხი არ გადგათ გარეთო!"

არა, მართლა, რა ქნას კუკურიმ?

გურამ გომართელი.

## ყველა ქართველი პოეტია

# ჩემი ედემი

მე ვხვდები, ქვეყნად
რისთვის ვარსებობ,
როდესაც ვეტრფი
ძველ ქართულ მეგლებს...
მათ წმინდანების მადლი
მფარველობს
და მაშორებენ
გულიდან ეკლებს...

მე ვხვდები, ქვეყნად
რისთვის ვარსებობ,
როდესაც ვეტრფი
ოჯახის წევრებს...
სიკეთის რჩევით
მუდამ ვსარგებლობ
და შეცდომებზე
ვასწორებ ჩვევებს.

საქართველოში
ლაღად ვხეირნობ,
ვეალერსები ჩემს მთებს
და ველებს...
ლაჟვარდოვან ცის ემხით
ვნებივრობ
და ცისარტყელის
შევხარი ფერებს...

ჩემი ედემი ერთი არსებობს,
სადაც ხშირად ვრგავ
სიკეთის ნერგებს...
ჩემს საქართველოს
ღმერთის მფარველობს,
მრავალჟამიერ მის
ძლიერ ფესვებს?

***

ცისარტყელას ფერებით
მოვიარე მთა-ბარი,
მალე უნდა მოვნახო
დაკარგული ზღაპარი...
მართალია, ნისლია...
მაგრამ დარი დადგება,
რუსთაველის სამშობლო
სიყვარულით გათბება...
ღმერთო, რწმენით მაცხოვრე;
დამილოცე მამული;
ბედნიერი მანახე
ჩემი მიწა ქართული!

თეიმურაზ ნაყოფია.
02.02.01.

## კონტაქტები

# ატამანები შეთანხმდნენ



მოსკოვში „სრულიად დონის ლაშქარისა" და „კავკასიის კაზაკთა კავშირის" მეთაურებმა ვიქტორ კოდოლოცკიმ და პეტრე ნეტკაჩევმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ორი მეზობელი ხალხის მეგობრობის, ურთიერთდახმარების, თანამშრომლობის განმტკიცებას და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

– ჩვენ ვალდებულება ავიღეთ ერთმანეთთან შეთანხმებულად ვიმოქმედოთ კულტურის, სამეცნიერო-ტექნიკურ, სავაჭრო ეკონომიკურ და ტურიზმის სფეროში. მოეწყობა ერთობლივი თემატური შეხვედრები, სხდომები, კონფერენციები, – თქვა კაზაკთა ატამანმა პეტრე ნეტკაჩევმა.

ხელშეკრულება, აგრეთვე, ითვალისწინებს რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირის გაღრმავებას.

პეტრე ნეტკაჩევმა „სრულიად დონის ლაშქრის" ატამანს, გენერალ ვიქტორ კოდოლოცკის „კავკასიის არწივის" ორდენი გადასცა.

მოსკოვში „კავკასიის კაზაკთა ატამანს" შეხვედრები ჰქონდა მოსკოვის ცენტრალურ კაზაკთა ჯარის მეთაურთან ბორის იგნატიევთან და ჩრდილო-დასავლეთის კაზაკთა ოლქის მეთაურთან ევგენი პოლიაკოვთან, სექტემბერში პეტრე ნეტკაჩევი მიწვეულია კაზაკთა შეხვედრაზე დონის როსტოვში.

ნანა სულავა.

სურათზე: პეტრე ნეტკაჩევი (მარცხნივ) და ვიქტორ კოდოლოცკი.

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 2002 წლის პირველი ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, ექვსი თვით – 78 ლარი.

**მსურველებს** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა შეუძლიათ პრესის გამავრცელებელ შემდეგ ორგანიზაციებში: სს „საქპრესა" (ტელ: 93-30-54); სს „მაცნე" (ტელ: 37-47-49); შპს „უწყებანი" (ტელ: 93-64-72); შპს „ექსპრესი" (ტელ: 96-23-11); შპს „პლანეტა-ფორტე" (ტელ: 93-38-73); შპს „რუბიკონი" (ტელ: 93-46-00); შპს „პილონი" (ტელ: 34-77-43); შპს „ინფოსერვისი" (ტელ: 95-48-82).

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს შს მინისტრის მოადგილის ზურაბ ხაჭალიას

მამის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქ. შს სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შს მინისტრის მოადგილის ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის საოლქო სასამართლო თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახურის პირადი შემადგენლობა გამოხატავს ღრმა მწუხარებას და თანაუგრძნობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" თანაგრძნობას უცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

მარლენ ცაცუა ოჯახით თანაუგრძნობს შს მინისტრის მოადგილეს ზურაბ ხაჭალიას მამის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

რომან მეგრელიძე ოჯახით თანაუგრძნობს ზურაბ და გოგი ხაჭალიებს მამის ბატონ

ჯემალის

გარდაცვალების გამო.

---

საშა მუსელიანი, ირაკლი ჯაფარიძე, სოლომონ ღვალი, გივი ტატიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალების გამო.

---

ბიძინა ზურებიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

ჯემალ ხაჭალიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო და დიღუბის რაიონული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შპს „უნიკაკონტინენტალის" დირექტორი

რევაზ (რეზო) ბიგოლაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მათემატიკური ანალიზის კათედრის დოცენტი

გიორგი ანდროს ძე ჩხაიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლალი ქინქლაძე ოჯახით თანაუგრძნობს ისიდა ქინქლაძეს, ძვირფასი მეუღლისა და შესანიშნავი პიროვნების

გოგი ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლეილა, მამა ჯანიკო, ძმა ზაზა, ბებია მარიამი, ბიძები რევაზ, ლერი კაკულიები, ფრიდონ ნადარეიშვილი, რძალი თამუნა, ძმისწულები მარიკა, გიორგი, მაკა კაკულიები, დეიდები ციალა, ლამარა ნადარეიშვილები ოჯახებით, ბიცოლები იზოლდა, მანანა, ციცო, ბიძაშვილები მერაბ, მამუკა, ლელა, კახა, ლაშა კაკულიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია ჯანიკოს ძე კაკულია

პანაშვიდი 1, 2, 3, VI, დაკრძალვა 4 VI, 6 სთ.
აბაშაში, თავისუფლების ქ. №68.

---

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო თანაგრძნობას უცხადებს დირექტორის მოადგილეს რევაზ კაკულიას ძმისწულის

გია კაკულიას

გარდაცვალების გამო.

---

შვილები კუსა, თემურ გელოვანები, შვილიშვილები მერაბ, ხათუნა, გიორგი გელოვანები, რძლები ჯუმა როინიშვილი, ნანა აგლაძე, თეიკო ხუცურაული, სიძე ნუგზარ მიქელაძე, შვილთაშვილები ირაკლი, თორნიკე, კონსტანტინე გელოვანები, ანანო ცინაური მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქსენია მიხეილის ასული ახობაძე-გელოვანისა

პანაშვიდი 31 V, 1 VI, 5 სთ.
გამოსვენება 2 VI, 3 სთ. მიცკევიჩის ქ. №24.

---

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ თურმანიძეს დედის

ელენე ბერძენიშვილი-თურმანიძის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭო" აცხადებს, რომ 2001 წლის 8 ოქტომბერს საქართველოსა და აშშ მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს უსასყიდლოდ გადმოეცა 35.000 ტონა სასურსათო ხორბალი. 2002 წლის 13 აპრილს ქ. ფოთის პორტში შემოვიდა ზემოხსენებული ხორბლით დატვირთული გემი „სინტია ფაგანი". მიღებული ხორბალი მაღალი ხარისხისაა და მისი მაჩვენებლები შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებს. ხორბალი დაბინავებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ქ. ფოთში, ქ. ქუთაისში, ქ. გორში, ქ. თბილისში და ქ. რუსთავში) არსებულ მარცვალშემნახავ ელევატორებში. ხორბლის რეალიზაცია, ზემოხსენებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხორციელდება საბირჟო წესით. დღეისათვის ხორბლის სარეალიზაციო ფასი განსაზღვრულია 150 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს გარეშე.

---

# განცხადება

*სს „საქქალაქმშენპროექტის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ*

სს „საქქალაქმშენპროექტის" დირექტორატი იწვევს თავის აქციონერებს სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2002 წლის 19 ივნისს 14 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74, II სართული

**დღის წესრიგი**

1. წესდების ახალი რედაქციის მიღება
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა
3. სხვადასხვა

დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „საქქალაქმშენპროექტის" დირექციაში.

აქციონერთა მოთხოვნები, დღის წესრიგის საკითხად, შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექტორატს 2002 წლის 12 ივნისამდე. კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ყველა აქციონერი, რომელიც 31 მაისის (რეგისტრაციის დღე) მდგომარეობით, არის სს „საქქალაქმშენპროექტის" აქციათა მფლობელი.

9-დან 19 ივნისამდე აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება სს „საქქალაქმშენპროექტის" ბუღალტერიაში (ქ. ბერიშვილი, ლ. მაყულაშვილი), ი. ჭავჭავაძის გამზ. №74, IV სართული.

დირექტორატი.

---

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი „სამტრესტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ღვინის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, მეღვინე-ტექნოლოგი, კოლეგა, მეგობარი

რევაზ ივანეს ძე ზალდავაძე

დეპარტამენტი „სამტრესტი", საქართველოს მეღვინეთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით, თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ივა და ნიკოლოზ კუზანოვები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელეონორა კუზანოვა

პანაშვიდი 2, 3 VI, 5 სთ. გამოსვენება 4 VI, 3 სთ. მარჯანიშვილის ქუჩა № 42.

---

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ ბოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში. რჟანიშვილის ჩიხი 20